ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## არჩევნებზე ოპოზიცია ჩაფლავდება

გვ.6



ჯანზე მოსული სააკაშვილი არაფერს დათმობს

სამშაბათი, 17 ნოემბერი, 2009 | №297 (5038) | ფასი: 30 თეთრი

# ინგა გრიგოლია ჩუღურეთში კენჭს იყრის?



გვ.2

გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლებამ ჩუღურეთის რაიონში არც კი დააყენოს კანდიდატი და ირითადი კონკურენცია ოპოზიციურ კანდიდატურებს შორის იყოს



გვ.5

## საქართველოში სიკვდილიანობა ორჯერ გაიზარდა

შალვა ნათელაშვილის პარტია გუშინვე რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ გამოვიდა და ეს კომპანიები ხელისუფლებასთან კორუფციულ გარიგებაში ამხილა



გვ.2

## ლარსის გახსნა სარისკოა

ვადამდელი არჩევების დანიშვნა პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული

# რუსეთი ჩვენ გამო არ დაისჯება

გვ.6

## ინა გუდავაძის განცხადება



ბოლო დროს, ქართულ მედიაში, საეჭვო ინტენსიურობით ვრცელდება დეზინფორმაცია ჩემ შესახებ. მე შეგნებულად არ ვპასუხობდი ჩემ წინააღმდეგ აგორებულ ბინძურ პიარკამპანიას, თუმცა, უკანასკნელად გავრცელებულმა „ინფორმაციამ", ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა. ამიტომ, თავს ვალდებულად ვთვლი, განცხადება გავაკეთო, რათა საზოგადოება შეცდომაში არ იქნეს შეყვანილი.

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში, ჩემ წინააღმდეგ არანაირი სისხლის სამართლის საქმე არ არის აღძრული და არც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის (ან რომელიმე სხვა სახელმწიფო ორგანოსთვის) არ მიმიმართავს დახმარებისთვის.

ნამდვილად არ ვიცი, ვინ დგას ამ ცრუ განცხადებების უკან, თუმცა, ისინი საეჭვოდ დაემთხვა ინგლისის სასამართლოსთვის ახალი მტკიცებულებების წარდგენას — ჩემი მეუღლის, ბადრი პატარკაციშვილის ანდერძის გაყალბებისა და ამ პროცესებში ჯოზეფ კეის როლის შესახებ. ამ დღეებში ჩვენი იურისტები იგივე მასალებს საქართველოს სასამართლოს მიაწვდიან და დაინტერესებულ პირებს მათი გაცნობის საშუალება ექნებათ. აქვე აღვნიშნავ, რომ ხსენებული მტკიცებულებები საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ ინგლისის სასამართლომ ჯოზეფ კეის პირადი ქონება დააყადაღა და მისი ოფისის ჩხრეკის ორდერი გასცა.

მე და ჩემმა ოჯახმა მსოფლიოს არაერთ სასამართლოში მივაღწიეთ სამართალს და უკვე დავიბრუნეთ კონტროლი იმ აქტივების დიდ ნაწილზე, რომელიც ჩემი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მიითვისეს ავაზაკებმა. ეს ფაქტი საშუალებას მაძლევს, იმედით განვაცხადო, რომ უახლოეს ხანში მე და ჩემი ოჯახი საქართველოში ისევ აღვადგენთ იმ საქველმოქმედო პროექტების დაფინანსებას, რომლებიც 2008 წლის 12 თებერვალს დროებით იქნა შეჩერებული.

## ხელისუფლება ცესკოს მალავს

გვ.3





გვ.4

## ვის გადაურიცხა უგულავამ 200 ათასი ლარი



გვ.4

## კიდნეპინგში ეჭვმიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის



გვ.5

## აფხაზეთს და ცხინვალს ევროკავშირი სატელიტით დააკვირდება

2 ბაქოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აშენდება

6 „მაესტრო" ახალი ფორმატით ეთერში 1 თებერვლიდან გავა

2 ინფექციური პათოლოგიის ცენტრში მამაკაცი ცოფით გარდაიცვალა

3 ვინ უნდა უმკურნალოს „ლორის გრიპით" მსუბუქად დაავადებულ მოქალაქეებს?

# ინგა გრიგოლია ჩუღურეთში კენჭს იყრის?

ნანა მიშელაშვილი

**გაზაფხულზე პარლამენტის გამოკლებული წევრების არჩევნები ჩატარდება. პარლამენტში კიდევ 3 ადამიანს აქვს შესვლის შანსი. არჩევნები უნდა ჩატარდეს: ჩუღურეთში, ოზურგეთსა და გურჯაანში.**

ჩუღურეთის რაიონში შესაძლოა კენჭი ჟურნალისტმა ინგა გრიგოლიამ იყაროს. მის კანდიდატურას სავარაუდოდ გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა წარადგენს.

მართალია, ჯერ გრიგოლიას პოლიტიკაში წასვლა გადაწყვეტილი არა აქვს, მაგრამ გამორიცხული არაფერია, მით უმეტეს, რომ ინგა გრიგოლიას გადაცემა ეთერში აღარ გადის და ამჟამად ლონდონში სასწავლებლად არის წასული. ლონდონიდან დაბრუნებული გრიგოლია ისევ ჟურნალისტიკაში დაბრუნდება თუ პოლიტიკაში წავა, ეს ალბათ იმაზეა დამოკიდებული, იმ პერიოდისთვის როგორი სიტუაცია იქნება.

ინგა გრიგოლიას და გიორგი თარგამაძეს საკმაოდ დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებთ. ისინი ერთად მუშაობდნენ „იმედში", გრიგოლია გაცილებით ადრე წავიდა „იმედიდან", ვიდრე დანარჩენი ჟურნალისტები. გარკვეული პერიოდის შემდეგ გიორგი თარგამაძე პოლიტიკაში წავიდა, გრიგოლიამ კი პირველ არხზე თავისი გადაცემა გააკეთა.

დაუკავშირებს თუ არა ინგა გრიგოლია პოლიტიკურ საქმიანობას ქრისტიან-დემოკრატებს, ამის შესახებ ჯერ გრიგოლიას არაფერი უთქვამს. როგორც „ახალი თაობისთვის" სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, ქრისტიან-დემოკრატებმა გრიგოლიას ჩუღურეთის რაიონში კენჭისყრა უკვე შესთავაზეს, თუმცა, გრიგოლიას საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია.

იმ შემთხვევაში, თუ გრიგოლია ჩუღურეთის რაიონში კენჭს იყრის, დიდი შანსი აქვს, რომ გამარჯვება მოიპოვოს, რადგან მას ცნობადობის საკმაოდ მაღალი ხარისხი აქვს, რაც არჩევნების დროს დიდ როლს თამაშობს.

გამორიცხული არ არის, რომ ხელისუფლებამ ჩუღურეთის რაიონში არც კი დააყენოს კანდიდატი და ძირითადი კონკურენცია ოპოზიციურ კანდიდატურებს შორის იყოს.

ჩუღურეთის რაიონში საკუთარი კანდიდატურის დაყენებას სხვა ოპოზიციური პარტიებიც გეგმავენ. არაოფიციალური ინფორმაციით, მაჟორიტარულ ოლქებში კანდიდატურის დაყენებას ალასანიას პარტიის წევრებიც ფიქრობენ, თუმცა, ჯერ კონკრეტულ კანდიდატურებზე



გადაწყვეტილება მიღებული არა აქვთ.

ამჟამად ალიანსის წევრია კოკა გუნცაძე, რომელიც ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს ჩუღურეთის რაიონში იყრიდა კენჭს. მან ჩუღურეთში იმდენი ხმები „აკრიფა", რომ მაშინდელ სახელისუფლებო კანდიდატს ლაშა ჟვანიას ლამის მეორე ტური „გაუჩალიჩა". მართალია მაშინ მეორე ტური არ დაინიშნა და ჩუღურეთის რაიონის მაჟორიტარი ლაშა ჟვანია გახდა, რომელიც შემდეგ ეკონომიკის მინისტრად წავიდა, მაგრამ ამ რაიონში ოპოზიციამ ხმების დიდი ნაწილი რომ მოიპოვა, ფაქტია.

თუ ალიანსმა პარლამენტის გამოკლებული წევრის არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა, გამორიცხული არ არის, რომ არჩევანი კოკა გუნცაძეზე შეაჩერონ, თუმცა, რამდენად მოინდომებს გუნცაძე მაჟორიტარად კენჭისყრას, ამის თქმა ახლა ძნელია.

ჩუღურეთის რაიონის გარდა, პარლამენტის გამოკლებული წევრის არჩევნები უნდა ჩატარდეს კიდევ 2 რაიონში — ოზურგეთსა და გურჯაანში. ოზურგეთის რაიონის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ანზორ ერქომაიშვილი პარლამენტიდან საკუთარი სურვილით წავიდა, რის გამოც ამ რაიონში ხელახალი არჩევნები უნდა ჩატარდეს. რაც შეეხება გურჯაანს, ამ რაიონის ყოფილი მაჟორიტარი გიორგი ღვინიაშვილი კახეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებული გახდა და თითქმის ერთი წელია ამ რაიონს მაჟორიტარი დეპუტატი არა ჰყავს.

იმ შემთხვევაში, თუ 3 რაიონში ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები გაიმარჯვებენ, პარლამენტში ახალი ფრაქციის შექმნის შანსი ჩნდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პარლამენტში ახალი ოპოზიციური კონფიგურაცია იქნება.

ამჟამად პარლამენტში დამოუკიდებელი დეპუტატების რიცხვი ერთი ფრაქციის შესაქმნელად საკმარისია, თუმცა, ახალი ფრაქცია იმის გამო ვერ იქმნება, რომ დამოუკიდებელ დეპუტატებს ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა არა აქვთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ერთ ფრაქციაში ვერ იქნებიან.

იმ შემთხვევაში თუ 3 ოპოზიციონერი დეპუტატი შევა პარლამენტში, ოპოზიციის რიგები გაიზრდება და უფრო მეტი შანსი ჩნდება, რომ ოპოზიციური ფლანგი გაძლიერდეს. თუმცა, ეს ყველაფერი არჩევნების შედეგებზეა დამოკიდებული.

ჩუღურეთში, ოზურგეთსა და გურჯაანში გამოკლებული დეპუტატების არჩევნების გარდა, გაზაფხულზე ადგილობრივი არჩევნებია ჩასატარებელი. ყველაზე მნიშვნელოვანი დედაქალაქის მერის პოსტია. ამჯერად დასახელებულ ორ ოპოზიციურ კანდიდატურას, ნოემბრის ბოლოს მესამე შეემატება.

ირაკლი ალასანიასა და კობა დავითაშვილის შემდეგ, თბილისის მერის პოსტზე საკუთარი კანდიდატურა ეყოლება გიორგი თარგამაძის ქრისტიან-დემოკრატიულ მოძრაობას.

გავრცელებული ინფორმაციით, ქრისტიან-დემოკრატები კონსულტაციებს აწარმოებენ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ყოფილ პრეზიდენტთან გია ჭანტურიასთან. მართალია, ქრისტიან-დემოკრატები ჭანტურიასთან კონსულტაციებს არ ადასტურებენ, თუმცა, კვამლი უცეცხლოდ არ არსებობს.

საბოლოო გადაწყვეტილება გია ჭანტურიას ჯერ მიღებული არა აქვს. როგორც ამბობენ, მას ჯერ არ გადაუწყვეტია, სურს თუ არა პოლიტიკაში წასვლა. უფრო სწორად, თბილისის მერის პოსტზე კენჭისყრა.

ამბობენ იმასაც, რომ ქრისტიან-დემოკრატებს გია ჭანტურიას გარდა კიდევ ერთ ადამიანთან აქვთ კონსულტაციები. სწორედ ამ ადამიანის ვინაობას ასაიდუმლოებს თარგამაძის პოლიტიკური მოძრაობა.

ბოლო პერიოდში, ვრცელდება ხმები იმის თაობაზეც, რომ ქრისტიან-დემოკრატებსა და ირაკლი ალასანიას პარტიას შორის გარკვეული კონსულტაციები მიმდინარეობს. იმაზეც საუბრობენ, რომ ამ კონსულტაციების დროს მიღწეული შეთანხმებები ზოგჯერ ირღვევა, რაც უკმაყოფილების მიზეზი ხდება.

იმ დროს, როდესაც თბილისის მერის არჩევის დროს, ალასანიას პარტიის წევრები 50%-იან ბარიერს ითხოვენ, ქრისტიან-დემოკრატები კომპრომისზე მიდიან და 30%-იან ბარიერზე თანხმდებიან.

ბარიერის საკითხი ალასანიას პარტიას იმდენად აინტერესებს, რომ ამის გამო ირაკლი ალასანია და დავით ბაქრაძე ერთმანეთს ერთ-ერთ რესტორანში ღიად შეხვდნენ. თბილისში თითქმის ყველა ყველას იცნობს, ამიტომ ალასანიასა და ბაქრაძის შეხვედრა დამალული არ დარჩენილა.

ამ შეხვედრიდან ცოტა ხნის შემდეგ, ხელისუფლება თბილისის მერის არჩევის დროს 30%-იან ბარიერს დათანხმდა, ალასანიას გუნდი კი კვლავ 50%-იან ბარიერს მოითხოვს.

მაისში ადგილობრივი არჩევნები ჯერ ოფიციალურად დანიშნული არ არის, თუმცა, ოპოზიციაში მიმდინარე პროცესები იმის მიმანიშნებელია, რომ ერთიან კანდიდატურაზე შეთანხმება თითქმის შეუძლებელი იქნება.

# საქართველოში სიკვდილიანობა ორჯერ გაიზარდა

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას ფულის გამოძალვაში ადანაშაულებს და იმ უკანონობებზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების თანმდევია და რომელმაც ქვეყანა კატასტროფამდე მიიყვანა.**

ლეიბორისტული პარტია მტკივნეულად აღიქვამს ჯანდაცვის სისტემაში არსებულ უმძიმეს ვითარებას და ამ სფეროში არსებულ პრობლემებს პარტიის ლიდერებმა არაერთი პრესკონფერენცია მიუძღვნეს.

ლეიბორისტული პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა გიორგი გუგავამ გუშინ სპეციალური პრესკონფერენცია გამართა და კიდევ ერთხელ გაამახვილა ყურადღება ჯანმრთელობის დაცვის კუთხით არსებულ მძიმე მდგომარეობაზე და სახელმწიფოს მხრიდან ამ კუთხით გატარებულ უარყოფით პოლიტიკაზე ისაუბრა.

გიორგი გუგავას თქმით, ჯანდაცვის კუთხით ქვეყანაში მძიმე მდგომარეობაა, ადამიანებს არ აქვთ მკურნალობის თანხები და მდგომარეობის გამოსწორებაც არ იგრძნობა.

შალვა ნათელაშვილის პარტია გუშინვე რამდენიმე სადაზღვევო კომპანიის წინააღმდეგ გამოვიდა და ეს კომპანიები ხელისუფლებასთან კორუფციულ გარიგებაში ამხილა.

— მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ყველაზე მძიმე და კატასტროფული მდგომარეობა შექმნილია ჯანდაცვაში, მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს საშუალება, გაიკეთოს გადაუდებელი ოპერაცია. შესაბამისად, გაორმაგდა დაავადებულთა და სიკვდილიანობის როდენობა, — განაცხადა გიორგი გუგავამ, რომელიც მნიშვნელოვნად მიიჩნევს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე სოციალურად



გაჭირვებული მოსახლეობისთვის სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობას და უფასო სრულყოფილი სამედიცინო დახმარების გაწევას.

ლეიბორისტების ინფორმაციით, ხალხისთვის გამოყოფილი თანხების მითვისება ხდება და რეალურად დაზღვევის სფეროში გამოყოფილი თანხები ავადმყოფი ადამიანების მხრიდან სათანადოდ ვერ იქნა ათვისებული. გუგავას თქმით, დაავადებულ ადამიანთა რიცხვი 52 ათასს არ აღემატებოდა, დღეისათვის კი ეს ციფრი გაორმაგებულია.

— ნაცვლად იმისა, რომ ხელისუფლება ზრუნავდეს ამ პობლემის გადაწყვეტისთვის, ისინი დაკავებული არიან ხალხის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ხარჯზე მილიონების კეთებით. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. დაზღვევა, რომლის სასარგებლოდაც მომავალი წლის ბიუჯეტში გამოყოფილი არის 170 მლნ ლარი. ეს თანხა გადაიქაჩება სააკაშვილისა და მისი გარემოცვის საოჯახო ბიზნესში, — განაცხადა გიორგი გუგავამ და კიდევ ერთხელ მოუწოდა ხელისუფლებას, სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობისთვის სათანადო ჯანდაცვის განხორციელება უზრუნველყოს.

## ბაქოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აშენდება

ბაქოში ქართული მართლმადიდებლური ეკლესია აშენდება.

ამის შესახებ კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ აზერბაიჯანის კომიტეტის ხელმძღვანელთან



ჰიდაიათ ორუჯევთან გუშინ გამართული შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

როგორც უწმინდესმა ბრძანა, აღნიშული გადაწყვეტილება აზერბაიჯანში მისი ვიზიტის დროს მიიღეს.

— მინდა აზერბაიჯანელ ხალხს მადლობა გადავუხადო და ვუსურვო, რომ აზერბაიჯანთან ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდება, რაც ორივე ქვეყნისთვის სტაბილურობის გარანტია იქნება, — განაცხადა უწმინდესმა.

შეხვედრაზე ილია მეორემ და ორუჯევმა ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობები და რელიგიის საკითხები განიხილეს.

სრულიად საქართველს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე აზერბაიჯანში 4-8 ნოემბერს იმყოფებოდა.

**პარაიმ-ნიუსი**

## ინფექციური პათოლოგიის ცენტრში ცოფით მამაკაცი გარდაიცვალა

ჰიდროცეფალიის (ცოფი) დიაგნოზით თბილისის ინფექციური პათოლოგიის ცენტრში ხარაგაულელი მამაკაცი გარდაიცვალა.

როგორც „პირველს" დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილემ შოთა ცანავამ აცნობა, ხარაგაულიდან თბილისის ინფექციურ საავადმყოფოში 60 წლის მამაკაცი გუშინ იქნა გადმოყვანილი, ღამით კი იგი გარდაიცვალა.

ცანავას ცნობით, ოჯახის წევრებმა არ იციან, როდის დაკბინა ძაღლმა მამაკაცი.

აღნიშნული ფაქტის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი ხარაგაულის რაიონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს აცნობებს, საიდანაც შეტყობინება ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გადაეგზავნება, რათა ადგილზე ცოფის საწინააღმდეგო ღონისძიებები ჩატარდეს.

**პირველი**

## თბილისში საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა

გუშინ გათენიისას თბილისში, ძველი თბილისის რაიონში ორსართულიანი საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა.

როგორც „მედიანიუსს" თბილისის მერიის საგანგებო სიტუაციების საქალაქო სამსახურში განუცხადეს, მომხდარი შედეგად არავინ დაშავებულა. კედლის ჩამონგრევა, სავარაუდოდ, წვიმებს მოჰყვა. შემთხვევის ადგილზე საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები მუშაობენ.

**მედიანიუსი**

## გალში რუსებმა სამშენებლო მასალა და სპეცტექნიკა შეიყვანეს

გალის რაიონის სოფლებში რუსი ოკუპანტები სამხედრო ბაზების მშენებლობას აგრძელებენ. აღნიშნული მშენებლობისთვის ორი ეშელონი სამშენებლო მასალა და სპეცტექნიკა ოჩამჩირის რკინიგზასთან განთავსდა. ამის შესახებ აფხაზეთის მედიაცენტრი იუწყება.

როგორც ცნობილი გახდა, რუსმა სამხედროებმა ტერიტორიის მავთულ-ხლართებით შემოღობვა უკვე დაიწყეს. ამასთან, ოკუპანტები ბაზების პარალელურად სამხედრო სახლების მშენებლობასაც იწყებენ.

**მედიანიუსი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# ხელისუფლება ცესკოს მალავს

**ოპოზიციონერი დეპუტატი გიორგი ცაგარეიშვილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადგილმდებარეობის ხშირ-ხშირი ცვლილების საკითხით დაინტერესდა. რატომ მალავს სააკაშვილის ხელისუფლება ცესკოს და რატომ ხდება დასავლეთის მიმართულებით მისი გადატანა? ეს შეკითხვები გუშინ გამართულ ბრიფინგზე გიორგი ცაგარეიშვილმა დასვა. ამ კითხვებზე პასუხი მან თავად გასცა და გაიხსენა სხვადასხვა წლებში სად მდებარეობდა ცენტრალური საარჩევნო კომისია.**

ნანა მიშელაშვილი

ცაგარეიშვილის ინფორმაციით, 2007 წელს ცესკო მთაწმინდაზე იყო, უზენაესი სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაზე, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს ცესკო გადატანილ იქნა ე.წ. აკადემქალაქის ტერიტორიაზე, 2008 წლის 21 მაისის საპარლამენტო არჩევნების დროს კი — საავტომობილო გზების დეპარტამენტის ტერიტორიაზე. ამჟამად ცესკო გადატანილია ქალაქის შემოსასვლელში, დიღმის ტერიტორიაზე.

გუშინდელ ბრიფინგზე ცაგარეიშვილმა თბილისის რუკა იმისთვის მოიტანა, რომ ჟურნალისტებისთვის ეჩვენებინა, როგორი ტრაექტორიით მოძრაობს ცესკო დასავლეთის მიმართულებით.

— ამ 2 წლის მანძილზე 4-ჯერ შეიცვალა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ადგილმდებარეობა. ხელისუფლება ეტყობა გაურბის თავის ხალხს, მალავს ცესკოს, მალავდა თარხნიშვილიანად, ეს იყო აბსოლუტურად შეგნებული ნაბიჯი. მთაწმინდიდან დაიწყეს და გავიდნენ დიღომში. ამ ტემპით, ორი წლისთავზე ცესკო ცხრუკვეთში ამოყოფს თავს. მე ამ სოფელს არაფერს არ ვერჩი, მაგრამ ვერჩი ამ ტენდენციას, რაც საშინელებაა, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერი დეპუტატი ამბობს, რომ დიღმის ტერიტორიაზე ცესკო სპეციალურად არის გადატანილი, თანაც იმ შენობაში, სადაც საპატრულო პოლიციაა განთავსებული. მის გვერდზე კი საკუთრების დაცვის პოლიციაა.

ცაგარეიშვილის თქმით, მიტინგებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონით, ასევე პოლიციის შესახებ კანონში პირდაპირ წერია, რომ პოლიციის შენობის გვერდით, 20-მეტრიან რადიუსში არ შეიძლება მიტინგების და მანიფესტაციების მოწყობა. გიორგი ცაგარეიშვილის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებლის გვერდითაც „ჩააკვეხეს“ პოლიციის შენობა, რადგან იქ ადგილი არ იყო.

— 2 წლის მანძილზე მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 16 მილიონი ლარია გამოყოფილი ცესკოს მომსახურებაზე, მისი ხარჯების ანაზღაურებაზე — ასეთია ცაგარეიშვილის პოზიცია.



დეპუტატის განცხადებით, ცესკოს ქალაქის ცენტრიდან შორს გადატანა იმის მაჩვენებელია, რომ მოსახლეობას გაუჭირდება იქ მისვლა.

— ყოველი არჩევნების შემდეგ მიტინგები და მანიფესტაციები ტარდება, არჩევნები როცა ყალბდება არ უნდათ, რომ ცესკოსთან ადამიანები მივიდნენ. არადა, სექტემბერში, 345 ათასი ლარია გამოყოფილი ცესკოს შენობის გადატანისთვის, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ბრიფინგზე დეპუტატმა ხელისუფლება გააფრთხილა, რომ მოსახლეობა ნებისმიერ ადგილას მივა და სადაც არ უნდა გადაიტანონ ცესკო, მის წინ მოსახლეობა თავის განწყობას მაინც გამოხატავს.

— სადაც არ უნდა გადაიტანონ ცესკოს შენობა, აღშფოთებული ხალხის ხელი ყველაგან მისწვდება ამ ხელისუფლებას. ცესკო სადაც არ უნდა გადაიტანონ — მყინვარწვერზე, უშგულში ან ბათუმში, მნიშვნელობა არა აქვს, ყველგან მივა ხალხი, თუ არჩევნები გაყალბდება — ასეთია ცაგარეიშვილის პოზიცია.

რაც შეეხება ცესკოს თავმჯდომარის პოსტს, უკვე გადაწყვეტილია, რომ მომავალ არჩევნებს ლევან თარხნიშვილი აღარ ჩაატარებს. ანუ ეს პოსტი სულ მალე ოფიციალურად გახდება ვაკანტური. როგორი წესით იქნება ცესკო არჩეული, ეს საარჩევნო კოდექსში გაიწერება.

ერთ-ერთი წინადადებით, ცესკოს თავმჯდომარის სამ კანდიდატურას პრეზიდენტი წარადგენს და ოპოზიცია ერთ კანდიდატს აირჩევს. ცაგარეიშვილი ხუმრობს, ამ პოსტზე სამივე თარხნიშვილის კანდიდატურა იქნება წარდგენილი.

— ჩემთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება ცესკოს თავმჯდომარე, თუ ადამიანი სულით გამყალბებელია, მისი გვარი არაფერ შუაში არ არის. სააკაშვილი ეცდება სამი ისეთი კანდიდატურა შემოგვთავაზოს, რომელიც აბსოლუტურად მიუღებელი იქნება ოპოზიციისთვის, — აღნიშნა ცაგარეიშვილმა.

ოპოზიციონერმა დეპუტატმა ჟურნალისტებთან საუბრისას თბილისის მერის არჩევის დროს 50%-იან ბარიერზეც ისაუბრა, რასაც ალასანიას პარტია მოითხოვს. ცაგარეიშვილს იმედი აქვს, რომ ბარიერი აიწევს და 40%-მდე მაინც გაიზრდება, ამ შემთხვევაში კი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას აზრი მიეცემა.

ცაგარეიშვილი ამტკიცებს, რომ ბარიერის დაწესების ხელისუფლებას ეშინია, ოპოზიცია კი ხელისუფლებას თუნდაც 30%-იანი ბარიერის პირობებში დაამარცხებს.

— ხმები ჟონავს, რომ ოპოზიციიდან ვიღაც ფიქრობს თბილისის მერის პოსტზე ახალი კანდიდატი დაასახელოს, რაც საერთო საქმეს არ წაადგება. ზოგიერთი პარტია, რომელიც ახლა საარჩევნო კოდექსის შემმუშავებელ ჯგუფში მონაწილეობს, 4%-იან ბარიერს ვერ გადალახავს. ამიტომ, ეს ადამიანები სხვანაირ პოლიტიკურ თამაშებში იღებენ მონაწილეობას, ეს გარიგებები თეთრი ძაფით არის ნაქსოვი, — ამბობს ცაგარეიშვილი.

ოპოზიციონერი დეპუტატის აზრით, თბილისში პარტიის მიერ 4%-იანი ბარიერის გადალახვა იმას ნიშნავს, რომ 50 ათასი ხმა უნდა აიღოს. ცაგარეიშვილის თქმით, ზოგიერთი ოპოზიციური პარტიისთვის, რომელიც მარტო გადის არჩევნებში, ბარიერის გადალახვა საკმაოდ რთული იქნება.

# ერთიანი კანდიდატის გარეშე ოპოზიცია მერის არჩევნებში დამარცხდება

თბილისის მერის არჩევნებისთვის აქტიურად ემზადება როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება. მართალია, ხელისუფლებას თავისი კანდიდატი ჯერ ოფიციალურად არ დაუსახელებია, მაგრამ მათ ქმედებებში წინასაარჩევნო კამპანიის ნიშნები უკვე შეიმჩნევა. თბილისის მერის თანამდებობა ოპოზიციისთვისაც და ხელისუფლებისთვისაც სტრატეგიული „სიმაღლეა“. კერძოდ, არჩეულ თბილისის მერს შემდგომი პოლიტიკური წინსვლისთვის უფრო მეტი საშუალება მიეცემა. თუმცა, პოლიტოლოგი მალხაზ მაცაბერიძე არ მიიჩნევს, რომ თუ თბილისი მერის არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატი გაიმარჯვებს, ის ავტომატურად მიხეილ სააკაშვილის „მემკვიდრე“ გახდება.

— არ მგონია, ის ავტომატურად „მემკვიდრე“ გახდეს. თბილისი მერის არჩევნებში სახელისუფლებო კანდიდატის გამარჯვება, თუ რა თქმა უნდა, არჩევნები არ გაყალბდება, ოპოზიციის დიდი მარცხი იქნება. საპრეზიდენტო არჩევნები კი, შედარებით შორეული პერსპექტივაა.

***— ხომ არ ფიქრობთ, რომ ხელისუფლება მერობის კანდიდატად გიგი უგულავას დასახელებას აჭიანურებს და საერთოდ, ხელისუფლებაში უგულავას კანდიდატურას აქვს ალტერნატივა?***

— არა, უგულავას კანდიდატურას ალტერნატივა არ ჰყავს. ხელისუფლებამ სხვა კანდიდატურა რომ დაასახელოს, ელემენტალურად, ის ვერ აუხსნის საზოგადოებას, თუ რატომ მოიქცა ასე.

***— თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, უგულავას ხელისუფლებაში საკმაოდ გავლენიანი ოპონენტები ჰყავს.***

— ეს ჩვეული ამბავია. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, უგულავას კანდიდატურას ალტერნატივა არ ჰყავს და დარწმუნებული ვარ, რომ მას დაასახელებენ მერობის კანდიდატად.

***— მით უმეტეს, მერის არჩევნებში ამბიციური უგულავას გამარჯვების შემთხვევაში, მისი ამბიციები კიდევ უფრო არ გაიზრდება? ორ მილიონიანი ქალაქის არჩეული მერი ხომ, ფაქტობრივად, "პატარა პრეზიდენტი" იქნება.***

— ეს, პირველ რიგში, ხელისუფლების გამარჯვება იქნება და სულაც არ არის აუცილებელი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებშიც უგულავამ იყაროს კენჭი. ის სახელისუფლებო გუნდის წევრია და არა მგონია, ოპოზიციაში გადავიდეს და რადიკალურად დაუპირისპირდეს სააკაშვილს. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე კი, დიდი დროა.

***— ოპოზიცია მიიჩნევს, რომ მერის არჩევნებში გამარჯვებისთვის მის კანდიდატურებსაც დიდი შანსები აქვს. ვთქვათ, გაიმარჯვა ოპოზიციის კანდიდატმა არჩევნებში - ეს კრიზისს ხომ არ გამოიწვევს? ოპოზიციონერ მერს, შესაძლოა, გაუჭირდეს თანამშრომლობა ცენტრალურ ხელისუფლებასთან?***

— არა მგონია. მერს სულ სხვა ფუნქციები აქვს, ის მეურნე უნდა იყოს. თუ მერი აქტიურად ჩაება პოლიტიკურ ბრძოლაში, ეს დააზარალებს დედაქალაქს და მერის რეიტინგზეც აისახება. ჩემი აზრით, თუ არჩევნებში ოპოზიციურმა კანდიდატმა გაიმარჯვა, ის შეეცდება ცენტრალურ ხელისუფლებასთან კონსტრუქციულად ითანამშრომლოს.

***— გასაგებია, რომ მერობა უფრო სამეურნეო საქმიანობაა, მაგრამ შეგახსენებთ, რომ მიხეილ სააკაშვილის აღმასვლა საკრებულოს თავმჯდომარეობიდან დაიწყო.***

— მაშინ ქვეყანაში რევოლუციური განწყობა იყო. დღეს ასეთი განწყობა აღარ არის. ოპოზიცია დაშლილია, რაც მოქმედებს მათ მომხრეებზე.

***— თქვენი აზრით, რომელ ოპოზიციონერ კანდიდატს აქვს შანსი, რომ რეალური კონკურენცია გაუწიოს გიგი უგულავას?***

— თუ ოპოზიცია ერთიან კანდიდატზე არ შეთანხმდება, ისინი თბილისის მერის არჩევნებში აუცილებლად დამარცხდებიან.

**მედიანიუსი**

## ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის მშენებლობას ყატარელები დააფინანსებენ

უახლოეს მომავალში საქართველოს ყატარელი ბიზნესმენები ეწვევიან.

ამის შესახებ გუშინ ავლაბრის საპრეზიდენტო რეზიდენციაში პრეზიდენტ სააკაშვილისა და უმრავლესობის შეხვედრის დასრულების შემდეგ დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ გიორგი მელაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი სხვა საკითხებთან ერთად, ქართული დელეგაციის ყატარში ვიზიტის შედეგებსაც შეეხო.

— შეხვედრაზე საუბარი იმ ძირითად ეკონომიკურ ინიციატივებს შეეხო, რომლებიც მთავრობამ პარლამენტში წარადგინა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს უახლოეს მომავალში ყატარელი ინვესტორები ეწვევიან და საკმაოდ დიდ ინვესტიციას განახორციელებენ. საუბარია კონკრეტულ პროექტებზე, მათ შორის - ვაკე-საბურთალოს გზატკეცილის მშენებლობაზე, — განაცხადა მელაძემ და დასძინა, რომ ყველა ამ პროექტის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება და რამდენიმე თვეში დასრულდება.

გარდა ამისა, მისივე თქმით, შეხვედრაზე საუბარი თვითმმართველობის არჩევნებს შეეხო.

**პირველი**

## აღმოსავლეთ საქართველოში კვლავ თოვაა მოსალოდნელი

აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში კვლავ თოვაა მოსალოდნელი.

როგორც „პირველს“ გარემოს დაცვის სამინისტროს ამინდის მონიტორინგისა და მოკლევადიანი პროგნოზის სამსახურის წარმომადგენელმა თამარ გულედანმა განუცხადა, გუდაური-კობი-სტეფანწმინდას ტერიტორიებზე ღამით კვლავ შესაძლოა, მოთოვოს.

რაც შეეხება საქართველოს სხვა რეგიონებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში იწვიმებს.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, ყველაზე თბილი ამინდი - +22 გრადუსი სითბო 1970 წელს, ხოლო ყველაზე ცივი - -5 გრადუსი 1948 წელს დაფიქსირდა.

**პირველი**

## ვინ უნდა უმკურნალოს „ღორის გრიპით“ მსუბუქად დაავადებულ მოქალაქეებს?

ვინ უნდა უმკურნალოს „ღორის გრიპით“ მსუბუქად დაავადებულ საქართველოს მოქალაქეებს? ამ საკითხთან დაკავშირებით რადიო „კომერსანტმა“ გაარკვია, რომ სახელმწიფო უფასოდ მხოლოდ ვირუსის რთული ფორმით დაავადებულებს უმკურნალებს. როგორც დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, მოქალაქემ, რომელსაც ამ ვირუსისთვის დამახასიათებელი სიმპტომები აღმოაჩნდება, სამედიცინო დაწესებულებას უნდა მიმართოს, რათა ექიმმა განსაზღვროს, არის თუ არა პაციენტი „ღორის გრიპის“ ვირუსის მატარებელი, შემდეგ კი დაადგინოს, დაავადების რთულ თუ შედარებით მარტივ მიმდინარეობასთან აქვს საქმე.

მათივე თქმით, ვირუსის სიმპტომატიკა უკვე კარგადაა ცნობილი, რის გამოც პაციენტების დამატებითი ლაბორატორიული გამოკვლევა საჭირო აღარ არის. ექიმმა რთული ფორმის დადგენის შემთხვევაში პაციენტს უფასო ანტიბაქტერიული მკურნალობა უნდა დაუნიშნოს. ამისთვის ქვეყანაში საკმარისი რესურსი არსებობს მედიკამენტების სახით.

— მსუბუქი ფორმის დადგენის შემთხვევაში კი თავად ექიმის გადასაწყვეტია, მკურნალობის უფასო კურსს დანიშნავს იგი, თუ თავად პაციენტს მოუწევს შესაბამისი მედიკამენტების შეძენა, — აცხადებენ ცენტრში.

აქვე შეგახსენებთ: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციის მიუხედავად, რომ ღორის გრიპის ვირუსის სიმპტომების გამოვლენის პირველივე ეტაპზე პაციენტებმა ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები უნდა მიიღონ, თუმცა, როგორც აღინიშნა, საქართველოს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში საწინააღმდეგო პოზიცია აქვთ.

**მედიანიუსი**

## დიმიტრი ლორთქიფანიძემ შესაძლოა პარტია „ჩვენ თვითონ“ დატოვოს

დეპუტატმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ შესაძლოა პარტია „ჩვენ თვითონ“ დატოვოს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ლორთქიფანიძემ განუცხადა, პარტიასთან დაკავშირებით ის გარკვეული გადაწყვეტილების მიღების წინაშე დგას, რომელსაც რამდენიმე დღეში გაახმოვანებს.

— არ გამოვრიცხავ, რომ რამდენიმე დღეში პარტიის თაობაზე გარკვეული გადაწყვეტილება მივიღო, — აღნიშნა დეპუტატმა.

დიმიტრი ლორთქიფანიძე „ჩვენ თვითონ“-ის წევრი 2008 წელს გახდა, მას შემდეგ, რაც 21 მაისის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატის მანდატი მოიპოვა. არჩევნებისთვის კი ლორთქიფანიძე, ერთიანი ოპოზიციის სიაში, სალომე ზურაბიშვილის პარტიის — „საქართველოს გზის“ მიერ იყო წარდგენილი.

**ინტერპრესნიუსი**

## უმაღლესი განათლების მიღების გზაზე დამატებითი ბარიერები უნდა მოიხსნას

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ წევრების მოსაზრებით, უმაღლესი განათლების მიღების გზაზე საჭიროა დამატებითი ბარიერების მოხსნა. როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე მოძრაობის ერთ-ერთმა წევრმა ოთარ გელაშვილმა აღნიშნა, პარტიის თავმჯდოამრის, ზურაბ ნოღაიდელის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემის დანერგვა განათლების რეფორმირების საქმეში უდიდეს წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა. თუმცა, დღეს ეს რეფორმა სტაგნაციის სტადიაშია შესული და უამრავი ნაკლოვანებით ხასიათდება.

მან აბიტურიენტების უკმაყოფილების გამომწვევ ერთ-ერთ მიზეზად საგამოცდო ტესტები დასახელა, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებს არ ემთხვევა.

— ამიტომ, საჭირო ხდება რეპეტიტორებთან მოსწავლის მომზადება, რაც საკმაოდ სოლიდურ თანხებთან არის დაკავშირებული. ამას დაემატა მეოთხე სავალდებულო გამოცდა, რაც მშობლებს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს. გარდა ამისა, საგამოცდო ტესტებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის ერთმანეთთან შეუსაბამობის გამო, აბიტურიენტებს ეკარგებათ სკოლაში სიარულის მოტივაცია, — აცხადებს ოთარ გელაშვილი.

—სამართლიანი საქართველოსთვის“ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიამართავს, რათა აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შესაბამისი ზომები მიიღოს.

**პრაიმ-ნიუსი**


გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან“, „მაგთიდან“, „ბილაინიდან“ ნომერზე 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.

ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ „იავნანას“ ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

**შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!**

*ფონდი „იავნანა“, გაზეთი „ახალი თაობა“*

# კიდნეპინგში ექვემიტანილი, გოლდსმიტისაგან მიტოვებული გუდავაძე რუსეთს მიმართავს დახმარებისთვის



რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროდან კონფიდენციალურმა ინფორმაციამ გამოჟონა, რომ ამ უწყების კანცელარიაში შემოვიდა რუსეთის მოქალაქის ინა გუდავაძის ოფიციალური წერილი. გუდავაძე მოითხოვს რუსეთის ხელისუფლებისგან — ლეგიტიმური საშუალებებით განახორციელონ ზეწოლა საქართველოს მთავრობაზე, რათა დაცული იყოს რუსეთის ფედერაციის მოქალაქის ინა გუდავაძის ბუნებრივი უფლებები და თავისუფლებები.

საზოგადოებისთვის უკვე კარგად არის ცნობილი იმის შესახებ თუ რა სკანდალში გაეხვა გარდაცვლილი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძე. მას ბრალად ადამიანის მოტაცება ედება და უახლოეს მომავალში შესაძლოა გუდავაძის დაკავება და მისი აშშ-ში ექსტრადაცია მოხდეს. რომ არა ასეთი სკანდალური და ექკლუზიური ინფორმაცია, ჩვენ ამ საკითხს აღარ დავუბრუნდებოდით.

მკითხველმა, რომელმაც არ იცის თუ რა ხდება ინა გუდავაძის ირგვლივ და რატომ გაეხვა პატარკაციშვილის ქვრივი ასეთ სკანდალში, გეტყვით, რომ მას ბადრი პატარკაციშვილის ყოფილი ადვოკატი ემანუელ ზელცერი უჩივის. სწორედ ის გახლავთ ამ კრიმინალურ ისტორიაში ყველაზე მეტად დაზარალებული პირი.

პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონებით საკმაოდ ბევრი პირი დაინტერესდა. ყველაზე დიდი აქტიურობით კი მისი უახლოესი მეგობარი ბორის ბერეზოვსკი გამოირჩეოდა. განსაკუთრებით კი მას შემდეგ დაკარგა მოსვენება, როდესაც შემთხვევით გაიგო, რომ ის პატარკაციშვილის ანდერძში არ იყო მოხსენიებული და რომ აწ გარდაცვლილი თავის ქონებას მხოლოდ ოჯახის წევრებს და ახლო ნათესავებს უტოვებდა. ყველაზე მეტად ბერეოვსკის გაღიზიანება გამოიწვია იმ ფაქტმა, როდესაც გაიგო, რომ ანდერძის მიხედვით, აღმსრულებლის მისია და მემკვიდრეთა ინტერესების დაცვა ჯოზეფ კეის ეკისრებოდა. ზელცერი მაშინ შეცდა, როცა ინა გუდავაძეს და ბორის ბერეზოვსკის გაანდო, რომ ანდერძის დედანი მასთან ინახებოდა. სწორედ ამის შემდეგ მისი თავგადასავალი დეტექტიური ჟანრის და მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სიუჟეტს დაემსგავსა.

ბადრი პატარკაციშვილის გარდავალებიდან რამდენიმე დღეში ბორის ბერეზოვსკი ლონდონის ერთ-ერთ სასტუმროს რესტორანში ხვდება ემანუელ ზელცერს. უკანასკნელი სვამს ერთ ფინჯან ყავას კარგავს გონებას და ჩნდება ბერეზოვსკის საკუთარ თვითმფრინავში, რომელიც მიემგზავრება მინსკში, სადაც მას ტრაპთანვე აკავებენ, ადებენ ხელბორკილს და მიჰყავთ საპყრობილეში. ზელცერი რომ ბელარუსის კაგებეს დაეპატიმრებინა, ამაზე ინა გუდავაძემ და მისმა ადვოკატმა ზელცერის მინსკში გამგავრებამდე იზრუნეს. გუდავაძის ადვოკატმა წერილით მიმართა ბელარუსის კაგებეს, რომ ზელცერი ჩართულია საბუთების გაყალბებაში და ასევე სხვა სახის მაქინაციებში.

ზელცერის დაპატიმრების სკანდალური საქმე ამერიკისა და ბელარუსის სახელმწიფოების ხელმძღვანელთა დონეზე განსახილველი საკითხი გახდა. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი: ზელცერი 2008 წლის 12 მარტს დააკავეს, 2008 წლის 18 მარტს კი ბელორუსის შინაგან საქმეთა სამინისტროს ზეწოლით ბელორუსში აშშ-ის ელჩს კარენ სტიუარტს მინსკი დაატოვებინეს. მთელი ამ დროის განმავლობაში ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი კატეგორიულად მოითხოვდა ბელორუსის სამართალდამცველი ორგანოებისაგან ემანუელ ზელცერის გათავისუფლებას. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ძალისხმევის შედეგად პრეზიდენტი ლუკაშენკო იძულებული გახდა შეეწყალებინა ზელცერი.

ბერეზოვსკის მიერ პატარკაციშვილის ანდერძის დედანის ხელში ჩაგდების მიზნით დაიგეგმა და განხორციელდა ზელცერის მინსკში გამგზავრება და დაპატიმრება, ამ პროცესებში ჩართული აღმოჩნდა გარდაცვლილი ბიზნესმენის, ბადრი პატარკაციშვილის მეუღლე ინა გუდავაძე.

შეიძლება ითქვას, რომ ბოლო ერთი თვის განმავლობაში ინა გუდავაძეს რამდენიმე უბედურება ერთდროულად დაატყდა თავს: მთავარი მაინც ის ფაქტია, რომ ემანუელ ზელცერმა მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი წამოიწყო და არ არის გამორიცხული სულ მალე გუდავაძე დააკავონ. ალბათ ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ამ საქმით ამერიკული მხარე სერიოზულადაა დაინტერესებული და გუდავაძის ექსტრადირებას კატეგორიულად ითხოვს. ყველა სიკეთესთან ერთად, მისმა ადვოკატმა ბატონმა გოლდსმიტმა მოულოდნელად უარი განაცხადა გუდავაძის დაცვაზე. ფაქტია, რომ საქმე სერიოზულადაა და გოლდსმიტი თავის გადარჩენას ცდილობს, რადგან მასაც დიდი წვლილი მიუძღვის ზელცერის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებში. გარდაცვლილი ბიზნესმენის ქვრივი საკმაოდ მძიმე სიტუაციაში აღმოჩნდა. ოჯახი მიმდინარე პროცესებზე არანაირ კომენტარს არ აკეთებს, მათი აქტივობა მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დადიან საქართველოში აკრედიტირებულ საელჩოებში და მათგან საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლას მოითხოვენ. გუდავაძემ არა ერთხელ მიმართა საქართველოს პეზიდენტს, რომ დაცული ყოფილიყო მისი უფლებები და როდესაც ეს უკანასკნელი რესურსიც ამოწურა, მან ახალ ხერხს მიმართა: სწორედ აქ გაახსენდა ქალბატონ გუდავაძეს, რომ რუსეთის მოქალაქეა. მით უმეტეს, რომ სწორედ რუსეთში მოიგო ოლიგარქის მეორე ცოლის ოლგა საფონოვას წინააღდეგ წამოწყებული ერთადერთი პროცესი, რომელმაც ასევე განაცხადა პრეტენზია ბადრი პატარკაციშვილის ქონების ნაწილზე.

კონფიდენციალურ წყაროზე დაყრდნობით, ინა გუდავაძე სთხოვდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გამოსულიყო „საკუთრების უფლების ინტერესების და რუსეთის კონსტიტუციით უზრუნველყოფილი უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად“, მიემართა „საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის ლეგიტიმური მეთოდებისთვის“ „რფ-ის მოქალაქე ინა გუდავაძის ბუნებრივი უფლებებისა და თავისუფლებების“ უზრუნველყოფის მიზნით. როგორც წერილიდან, ჩანს სააკაშვილის რეჟიმი არა მარტო ატერორებს საქართველოს საზოგადოების უმეტეს ნაწილს, არამედ აქტიურად ახორციელებს რეპრესიულ კამპანიას ყოფილი რუსი ოლიგარქის ქვრივის წინააღმდეგ.

**მამუკა ჟღენტი**

# ვის გადაურიცხა უგულავამ 200 ათასი ლარი

## ინტერვიუ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერ პაატა ჯიბლაძესთან

*შორენა კოწოწაშვილი*

***— ბატონო პაატა, არაერთი განცხადება გაკეთდა საბიუჯეტო თანხების არამიზნობრივ ხარჯვასთან დაკავშირებით. რა შეგიძლიათ თქვათ ამ კუთხით, როგორც თბილისის საკრებულოს წევრმა, რამდენად მიზნობრივად იხარჯება დედაქალაქის ბიუჯეტი?***

— ამ საკითხებთან, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ ბიუჯეტთან დაკავშირებით ლეიბორისტულ პარტიას არაერთი პრესკონფერენცია ჩაუტარებია და ღიად უთქვამს იმ უკანონობების შესახებ, რასაც ამ ხელისუფლების პირობებში ადგილი აქვს. ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა დღეს დედაქალაქის მერის გიგი უგულავას მიერ საკრებულოს სახელზე შემოტანილი ქალაქ თბილისის მთავრობის 2009 წლის 28 ოქტომბრის დადგენილება თბილისის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შედეგების შესახებ. ეს დადგენილება თბილისის საკრებულომ უახლოეს სხდომაზე უნდა განიხილოს. როდესაც ამ 9 თვის შედეგებს თვალი გადავავლე, ძალიან საინტერესო ფაქტებს წავაწყდი. მოგეხსენებათ, ბიუჯეტში კანონიდან გამომდინარე ჩადებულია ინფორმაცია მერის სარეზერვო ფონდის შესახებ. უნდა ითქვას, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან მიმდინარე წლის 9 თვეში გამოყოფილ იქნა 5 229 200 ლარი. ძალიან ბევრი კითხვებს სვამს გიგი უგულავას სარეზერვო ფონდის ხარჯვის მიზნობრივობასა და მისი მიზანშეწონილობის შესახებ. ამით იმის თქმა მინდა, რომ ასეულ ათასობით ლარი არის გაწერილი უშუალოდ ნაციონალური მოძრაობის აქტივისტების და ალბათ, იმ მომღერალი ადამიანების, თუ რიგი არასამთავრობო ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ ამ ხელისუფლების შეკვეთას და ნაციონალებს დითირამბებს უმღერიან. მაგალითისთვის გეტყვით, დედაქალაქის მერის №160 განკარგულებით მსოფლიო კულტურული ინტეგრაცია „ფაგის არტს“ გამოეყო 20 000 ლარი. მოგეხსენებათ, დედაქალაქის სარეზერვო ფონდი — ეს არის განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოსაყენებელი თანხები. ეს თანხები უნდა იქნეს მიმართული მიწისძვრით დაზარალებულთა დახმარებისთვის; სტიქიური უბედურების დროს დაზარალებულებისთვის და ა.შ. დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ ვინმე დავით გოგიჩაიშვილს მერის №231 განკარგულებით 45 000 ლარი აქვს გამოყოფილი. მე ძალიან დიდ პატივს ვცემ მეოთხე ხელისუფლებას, მაგრამ რატომ მოხდა ისე, რომ ქალაქ თბილისის მერის 10 აპრილის 323-ე განკარგულებით გაზეთ „პრაიმ-ტაიმს“ უსინათლოთათვის ბრაილის შრიფტით 150 ცალი გაზეთის დაბეჭდვისთვის მერის სარეზერვო ფონდიდან 200 000 ლარი გამოეყო. უსინათლო ადამიანებზე ზრუნვა აუცილებელია, მაგრამ ფაქტია, ეს 200 ათასი ლარი რამდენ უსინათლოს გამოადგებოდა სხვადასხვა პრობლემის მოსაგვარებლად. რაც მთავარია, ეს თანხა არ უნდა გასულიყო მერიის სარეზერვო ფონდიდან. თუ ასე ძალიან უნდოდა გიგი უგულავას, რომ დახმარება გაეწია გაზეთის გამოცემის კუთხით უსინათლოებისთვის, მაშინ კონკურსი გამოეცხადებინა, სადაც ნებისმიერი გაზეთი მიიღებდა მონაწილეობას. შეიძლება ამ პირობებში სულ სხვა თანხა გამხდარიყო საჭირო ამ 150 ცალი გაზეთის დასაბეჭდად. ეს არის მერიის სარეზერვო ფონდის არამიზნობრივი ხარჯვის მაჩვენებელი.

***— ეს არის სრული სია მერის სარეზერვო ფონდიდან არამიზნობრივად გახარჯული თანხებისა?***

— არა, რა თქმა უნდა. ჩამონათვალი დიდია. მერის 346-ე განკარგულებით 20 000 ლარი გამოეყო ასოციაცია „კახეთი იორს“ პიკასოს ნამუშევრების გამოფენის მოსაწყობად. ხელოვნებას დიდ პატივს ვცემ, მათ შორის პიკასოს ნამუშევრებსაც, მაგრამ, რა შუაში იყო პიკასოს გამოფენასთან დედაქალაქის ბიუჯეტი? აქვე მინდა გითხრათ, რომ 527 ლარი არის გადარიცხული მიუსაფარ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა დღის ცენტრს „რწმენისთვის“. სასაცილოდ მიზერული თანხებია ამ კუთხით გაღებული, გული გეტკინება. არ ვიცი, ვინ არის მოქალაქე ეთერ გაბადაძე, რომელსაც 92 856 ლარი გამოეყო. წარმოიდგინეთ, რამხელა თანხებზეა აქ საუბარი.

***— თუ არ ვცდები, „საქართველოს წიგნის გამავრცელებელთა“ ასოციაციასაც გამოეყო მერის სარეზერვო ფონდიდან თანხები. ასეა?***

— კი, ამ ასოციაციისთვის გამოყოფილ იქნა 31 500 ლარი. მერის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა თანხა 15 000 ლარის ოდენობით აგრეთვე კოალიცია „დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ პროექტის — „გამოფენა-ფორუმის“ ჩასატარებლად. რას ემსახურებოდა ამ თანხის გამოყოფა, იოლი მისახვედრია.

***— ბატონო პაატა, გაზეთ „პრაიმ-ტაიმისთვის“ დედაქალაქის ბიუჯეტიდან 200 000 ლარის ჩარიცხვა ერთჯერადად მოხდა თუ სხვა თანხებიც იქნა ამ გაზეთის ანგარიშზე გადარიცხული?***

— დიახ, ერთჯერადად მოხდა. ეს არის პირდაპირ კანონის დარღვევა. მე კითხვას ვუსვამ ხელისუფლებას: როდესაც ასეთი აღტკინებით ყოველდღიურად ვუყურებთ მასმედიით სხვადასხვა ჩინოვნიკის დაპატიმრების ფაქტებს სახელმწიფო ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვასთან და გაფლანგვასთან დაკავშირებით, მაინტერესებს, რატომ ეპატიება ბიუჯეტის არამიზნობრივად ხარჯვა და გამოყენება დედაქალაქის მიერ გიგი უგულავას და არ ეპატიება საშუალო ჩინოვნიკებს? კანონის წინაშე ყველა დამნაშავემ თანაბრად უნდა აგოს პასუხი, მაგრამ ქვეყანაში არ უნდა იყოს ელიტარული კორუფცია, რაც დღეს სახეზე გვაქვს. ადამიანებმა როგორც ათასობით ლარის, ისე მილიონობით ლარის არამიზნობრივად ხარჯვისთვის უნდა აგონ პასუხი. მაგრამ დღეს სახეზე გვაქვს არათანაბარი პასუხისმგებლობის ფაქტები. ვიღაცამ პური თუ მოიპარა იმის გამო, რომ შიოდა, დღეს ის ციხეშია. იგივე დედაქალაქის მერს, რომელიც „პრაიმ-ტაიმს“ 200 ათას ლარს ურიცხავს და სხვა ფირმების სასარგებლოდ ასეულ ათასობით ლარს რიცხავს, მისთვის კანონის უზენაესობა რატომღაც არ არსებობს. უგულავას რატომღაც ყველაფრის უფლება აქვს. ამაშია საქმე, რომ დღეს ქვეყანაში ამ დონეზეა ელიტარული კორუფცია განვითარებული. უამრავი დარღვევაა მერის სარეზერვო ფონდიდან გასულ თანხებთან მიმართებაში. ეს კანონდარღვევით გახარჯული ბიუჯეტი საკრებულომ უნდა დაამტკიცოს. მაგრამ, როგორც ჩანს, ამათ კანონის უზენაესობა ფეხზე ჰკიდიათ.

***— რამდენად კანონიერად ხვდება უგულავას ფონდში თანხები?***

— ეს სხვა საკითხია. შეიძლება აქაც იყოს დარღვევა, არ ვიცი. თუ უგულავას ძალიან უნდოდა „პრაიმ-ტაიმისთვის“ ფულის გამოყოფა, ეს შეიძლებოდა ბიუჯეტში ჩადებულიყო და ტენდერი გამოცხადებულიყო. საუბარი იმაზეა, რომ არ სრულდება მოთხოვნა სარეზერვო ფონდის მიზნობრივად ხარჯვასთან დაკავშირებით. ამ საკითხებთან მიმართებაში უკვე მივმართე იუსტიციის მინისტრს, შს სამინისტროს და პრეზიდენტს, რათა გაეტარებინათ შესაბამისი ღონისძიებები უგულავას ამ უკანონო ქმედებებთან დაკავშირებით და დაყენებულიყო სისხლის სამართლის დევნის საკითხი. საჭიროების შემთხვევაში, აღძრულიყო სს საქმე უგულავას წინააღმდეგ სარეზერვო ფონდის არადანიშნულებისამებრ გამოყენებასთან დაკავშირებით.



***— წინასაარჩევნოდაც იქნა გამოყოფილი თანხები თბილისის ბიუჯეტიდან?***

— რა თქმა უნდა. თანაც საკმაოდ სოლიდური თანხები დაიხარჯება წინასაარჩევნო პერიოდში. შეგნებულად მოხდა თბილისის 30 ოლქად დაყოფა და იქ მაღალანაზღაურებადი წარმომადგენლების დანიშვნა, რომელსაც 1600 ლარიანი ხელფასი ექნებათ. მოადგილეებს — 1 100 ლარი. ამიტომაც არის, რომ ჩვენ მოვუწოდეთ ოპოზიციურ პარტიებს, ბოიკოტი გამოგვეცხადებინა ამ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის. ოპოზიციამ არ უნდა შეუქმნას სააკაშვილს დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ანტურაჟი.

***— დაბოლოს, ბატონო პაატა, უგულავას ქმედებაში კრიმინალი იკვეთება?***

— იკვეთება. ამას კომპეტენტური ორგანოები უკეთ დაადგენენ.

### პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში მედიკამენტებს შეიტანენ

პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში სეზონური ვირუსების პრევენციის მიზნით დამატებით მედიკამენტებს შეიტანენ.მედიკამენტების გადაცემის პროცესს დღეს, 11:00 საათზე, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მინისტრის მოადგილეები კოკა სეფერთელაძე და ლევან ზარანდია დაესწრებიან.

**ინტერპრესნიუსი**

### საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე თსუ-ს ეწვევა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილი დღეს თსუ-ს ეწვევა.როგორც „ინტერპრესნიუსს“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს, გაფორმდება თანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტები, ცოდნის გაღრმავების მიზნით, საკონსტიტუციო სასამართლოში პრაქტიკულ კურსებს გაივლიან.

მემორადუმის გაფორმების შემდეგ გიორგი პაპუაშვილი საჯარო ლექციას წაიკითხავს, თემაზე — „საკონსტიტუციო სასამართლოს როლი მართლმსაჯულების სისტემაში“.

**ინტერპრესნიუსი**

### პარლამენტში ეროვნული გვარდიის სარდალს ელოდებიან

დღეს პარლამენტში ეროვნული გვარდიის სარდალს ზურაბ არსოშვილს ელოდებიან.

ეროვნული გვარდიის ხელმძღვანელი საკანონმდებლო ორაგნოში ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ გაფართოებულ სხდომაში მიიღებს მონაწილეობას, დეპუტატებს ეროვნულ გვარდიაში დაგეგმილ რეფორმებს გააცნობს და იმ ცვლილებების ერთგვარ პრეზენტაციას გამართავს, რომლის განხორციელება სარეზერვო სამსახურთან დაკავშირებით იგეგმება.

**პირველი**

# ლარსის გახსნა სარისკოა

## ვადამდელი არჩევნების დანიშვნა პრეზიდენტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული

ნონა ცაბა ე

### ინტერვიუ პოლიტოლოგ სოსო ცისკარიშვილთან

*— ბატონო სოსო, რა შეფასებას მისცემდით ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მიმდინარე კონსულტაციებს ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით? საარჩევნო რეფორმაზე მომუშავე ჯგუფის კონსულტაციები დღესაც მიმდინარეობს, მოხერხდება პოზიციების შეჯერება?*

— ჩემი აზრით, ხელისუფლებას დასამტკიცებელი აქვს საზოგადოებისთვის, რომ მის ინტერესებში შედის თავისუფალი არჩევნები. ასეთი გამოცდილება, სამწუხაროდ, ჩვენს ხელისუფლებას არა აქვს და არა მგონია, რომ საკმარისი პირობა პატიოსანი არჩევნებისთვის იყოს საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის გამოცვლა. მით უმეტეს, როცა ახალი კანდიდატურები უცნობია მისთვის. ამავე დროს საარჩევნო ბარიერზე ასეთი ინტენსიური კონსულტაციები და აზრთა სხვადასხვაობა მიუთითებს იმას, რომ ხელისუფლების მთავარ ამოცანად რჩება კვლავ ძალაუფლების შენარჩუნება და დემოკრატია მისთვის კვლავ უცხო ხილად რჩება. საზღვარგარეთის ქვეყნების ის მაგალითები, რომელიც მოჰყავს ზოგიერთ პოლიტიკოსს, რომ იქ უფრო ნაკლები პროცენტული ბარიერია მერობის კანდიდატებისთვის, შესაძლებელია ისეთი ქვეყნებისთვის, სადაც დემოკრატია ცხოვრების წესია და არა მუდმივად მისი ყალბ რეჟიმში მოხსენიების. და კიდევ ერთი, ოპოზიციის გაერთიანება ერთი კანდიდატურის ირგვლივ, მეტი ალბათობით არის შესაძლებელი, თუ იქნება 50%-იანი ბარიერი. ეს გახლავთ ძირითადი მიზეზი მიუღებლობისა ამ მაღალი ბარიერის ხელისუფლებისთვის, რადგან გაყალბების ტექნოლოგიები, რომელიც არჩევნებიდან არჩევნებამდე იხვეწება, მათ საშუალებას მისცემს, თუ არ იქნა შესაბამისი კონტროლი, მიიღონ თუ გნებავთ 90%-იანი შედეგიც. წვრილმანს ეძახიან ვიდეოთვალის საკითხს, ვფიქრობ, რომ ეს უნდა ყოფილიყო შეთანხმების თავი და თავი. თუ ვიდეო თვალი არ დამონტაჟდა ყველა საარჩევნო უბანზე, თუ ამ ვიდეო თვალის მეპატრონე არ გახდა ეუთოს წარმომადგენლობა საქართველოში თავისი უცხოელი დამკვირვებლებით, თუ ეუთო არ იქნა პასუხისმგებელი იმ ინფორმაციაზე, რაც იქნება ამ ვიდეო თვალზე და მის შენახვაზე და გავრცელებაზე, მაშინ მივიღებთ კიდევ უფრო უარეს ვარიანტს იმისა, რაც ორჯერ უკვე ვნახეთ 2008 წელს. ამიტომ ნდობა უნდა დაეფუძნოს ურთიერთკონტროლის ინსტრუმენტებს. ასეთი ინსტრუმენტი არც ჰქონდათ და ჯერჯერობით არც ჩანს ოპოზიციის ხელში.

*— ბარიერი ახსენეთ ბატონო სოსო და ოპოზიციაშიც არ არის მიღწეული შეთანხმება ამასთან დაკავშირებით, ნაწილი 30%-იანის მომხრეა, ალიანსი კი აცხადებს, რომ 50% ბარიერი უნდა იყოს...*

— იცით, ტერმინი ოპოზიცია იმდენად მრავალმნიშვნელოვანია ქართულ რეალობაში, რომ პრაქტიკულად თუ არ ხარ აქტიური წევრი ნაციონალური მოძრაობის, უკვე შეგიძლია საკუთარ თავს ოპოზიცია უწოდო და ასეთად მიაჩნიხარ ხელისუფლებას. ამ დროს ოპოზიციური სპექტრი სულაც არ არის ერთგვაროვანი, ოპოზიციურ სპექტრში მკაფიოდ ჩანს თავად ხელისუფლების სიმპათიები და ანტიპათიები, ამიტომ კვალიფიცირებული პარტიის ცნება არსებობს და კეთილი ვინებოთ და გავიზიაროთ ეს ცნება. რამდენიმეკაციანი პარტია, თუნდაც ის თავს ოპოზიციონერად თვლიდეს, არ უნდა იყოს ხელისუფლების სიხარულის საგანი, რადგან მას შეიძლება უფრო ახლოს ჰქონდეს ხედვა ასეთ პარტიასთან. არსებობს 5-6 მეტ-ნაკლებად სერიოზული პოლიტიკური ძალა და როცა ამათგან არც ერთი არ საუბრობს — 30%, ვგულისხმობ არასაპარლამენტო ოპოზიციას, ამ პირობებში თქმა იმისა, რომ კონსესუსი მიღწეულია, ეს არის წინა პირობა კიდევ უფრო დიდი სიყალბის, რომელიც ჩაფიქრებულია მომავალი არჩევნებისთვის.

*— ბატონო სოსო, თქვენ იმის თქმა გინდათ, რომ საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლების კურსის გამტარებელია?*

— მე მაგას არ ვამბობ, მაგრამ ის, რომ საპარლამენტო ოპოზიციას მეტი მიზეზი აქვს იყოს გამზიარებელი ხელისუფლების პოზიციის, ვიდრე არასაპარლამენტოს, რომ იტყვიან, ეს ბუნების კანონია. მით უმეტეს, პარტიები, რომლებიც შეგნებულად არ შევიდნენ დღევანდელ პარლამენტში, უფრო პრინციპული მოწინააღმდეგენი არიან ხელისუფლების, ვიდრე ისინი, ვინც მათთან თანამშრომლობენ თუნდაც საპარლამენტო ფორმატში. ეს არ გახლავთ მხოლოდ ქართული ფენომენი.

*— ოპოზიციის ნაწილი პრაიმერის ჩატარებას ითხოვს, როგორ ფიქრობთ, უფრო მომგებიანი იქნება ოპოზიციისთვის, მერობის ერთიან კანდიდატზე თუ შეთანხმდებიან?*

— რასაკვირველია, უპრიანია, რომ ერთიანი ლიდერი არსებობდეს. თუ პრაიმერის გარდა



სხვა ტიპის კონსესუსი ვერ იქნა მიღწეული, დაე, იქნას პრაიმერი, მაგრამ პრაიმერი გახლავთ ის ინსტრუმენტი, რომელსაც საკმაოდ უფრთხის ხელისუფლება და ამიტომ არ უნდა, რომ მაღალი ბარიერი იყოს მერობის კანდიდატისთვის, რომ ამან არ უბიძგოს ოპოზიციას გაერთიანებისკენ.

*— რაც შეეხება ხელისუფლების კანდიდატს, ითქვა, რომ მათი კანდიდატი გიგი უგულავა იქნება. თქვენი აზრით, რატომ გაკეთდა არჩევანი ძველ კადრზე? კულუარულად საკმაოდ ბევრის გვარი სახელდებოდა...*

— ვერ გავიზიარებ იმ მოსაზრებას, რომ არსებობს რომელიმე კონკრეტული პიროვნება ხელისუფლების კანდიდატად წოდებული არჩევნებისთვის, რომელიც ჯერ არ დანიშნულა. ჩვენ გვაქვს არაერთი მაგალითი, როდესაც ამა თუ იმ თანამდებობაზე მოაზრებული ფავორიტი საერთოდ გამქრალა პოლიტიკური სცენიდან. ამიტომ ეს ეს საკითხი გადაწყდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დაინიშნება არჩევნები და რაც შეიძლება ახლოს საარჩევნო კამპანიის პიკამდე.

*— ჯერჯერობით ხელისუფლება თავს იკავებს არჩევნების თარიღის დასახელებისგან...*

— ერთხელ წამოსცდათ 30 მაისი, მაგრამ ცდილობენ დაივიწყონ საკუთარი ნათქვამი.

*— რატომ?*

— იმიტომ, რომ სულაც არ არის გამორიცხული, ასეთი არჩევნები გაზაფხულზე არ შედგეს, თუ ვერ იგრძნო თავი კომფორტულად ხელისუფლებამ და თუ ეჭვი შეეპარა საკუთარ უნარში არჩევნების გაყალბებისა.

*— უკან წაიღებს პრეზიდენტი თავის სიტყვას?*

— რა ვიცი, მე ასეთი მაგალითი რამდენიმე შემიძლია მოგიყვანოთ, როცა ასე ხდებოდა. თუ ასე აღარ მოხდება, ეს დიდი პროგრესი იქნება ქვეყნისთვის.

*— ოპოზიციის ნაწილი არც ვადამდელ საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნებს გამორიცხავს. ეს რამდენად რეალურია?*

— ეს დამოკიდებულია პრეზიდენტის ნებაზე. ეს ნება კი აღარ ყალიბდება, მხოლოდ ინდივიდუალური სურვილების საფუძველზე, ეს გახლავთ კოლექტიური ნება ადამიანთა ძალიან მცირე ჯგუფის, რომელიც დღეს ქვეყანას მართავს და აგრეთვე დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის გახდება საერთაშორისო პოლიტიკა დასავლეთის ქვეყნების პრიორიტეტი, რამდენად სწრაფად გაართმევენ ისინი თავს შიდა ეკონომიკურ კრიზისებს და მიმოიხედავენ დედამიწის რუკაზე. ეს ეხება არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთსაც, ანუ როდის აღარ იქნება სულ ერთი დასავლეთისთვის, დემოკრატიის რა ხარისხი სუფევს მათ პარტნიორ ქვეყნებში.

*— თქვენ რუსეთი ახსენეთ და რა შეფასებას მისცემდით ლარსის სასაზღვრო გამშვები პუნქტის გახსნას? ხელისუფლებას მიაჩნია, რომ საფრთხის შემცველი არ არის ამ პუნქტის გახსნა.*

— ეს ის ხელისუფლება ხომ არ არის, რომელიც მიიჩნევდა, რომ 58-ე არმიისგან არანაირი საფრთხე არ მოელის საქართველოს. ჩემი აზრით, საომარ მდგომარეობაში მყოფ ორ ქვეყანას შორის რაიმე ტიპის ღია საკომუნიკაციო არხის არსებობა, შესაძლებელია მხოლოდ სერიოზული საერთაშორისო დამკვირვებლების ინსტიტუტის პირობებში. ვიდრე ორივე მხარეს არ იდგება საერთაშორისო პოლიციური ძალა, ამ საზღვრის ნდობა არის წინდაუხედავი ნაბიჯი, რომელიც არ იქნება სასიკეთოდ გამოყენებული ჩვენი ქვეყნისთვის.

*— მაშინ რატომ წავიდა ამაზე ხელისუფლება?*

— ამაზე უკეთ გაგცემთ პასუხს იმ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ფიქრობს, თავიდან რომ დაბადებულიყო, მაინც იგივე უნდა აეტეხა, რაც ატეხა გასული წლის აგვისტოში.

# აფხაზეთს და ცხინვალს ევროკავშირი სატელიტით დააკვირდება

**საგარეო საქმეთა სამინისტროში ტრადიციული ბრიფინგი გაიმართა. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნინო კალანდაძემ რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე ისაუბრა. ერთ-ერთი საკითხი ევროკავშირის მისიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების შესაძლო სატელიტიდან გადაღებას ეხება. საქართველოს ხელისუფლების თხოვნით, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის მისიას არ ეძლევა საშუალება მონიტორინგი განახორციელოს უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზე, შეიძლება სატელიტური გადაღება განხორციელდეს.**

ნათია ხურცილავა

ამის შესახებ მოლაპარაკებას დიდხანს აწარმოებდა საქართველოს ხელისუფლება ევროკავშირთან. როგორც ჩანს, ეს პროცესი არცთუ მარტივია. თუმცა, ამ იდეას უკვე დაეთანხმა საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის ხელმძღვანელი ჰაბერი. რუსების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სატელიტით მოხდება დაკვირვება.

სატელიტური მონიტორინგი მიზნად ისახავს კონტროლს, თუ რა შეიარაღებული ძალა და ტექნიკა შედის რუსეთიდან საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. სატელიტური მონიტორინგი მიუღებელი აღმოჩნდა რუსი ოკუპანტებისთვის.

ევროკავშირს ჯერ კიდევ ხუთი თვის წინ მიმართა საქართველოს ხელისუფლებამ აღნიშნული თხოვნით.

— ევროკავშირს აქვს შესაძლებლობა, რომ სატელიტური დაკვირვება აწარმოოს ზოგადად ტერიტორიებზე. შესაბამისად, ოკუპირებულ ტერიტორიებზე მათ შეუძლიათ სადამკვირვებლო ფორმატის ფარგლებში სატელიტიდან ფოტო მასალა გადაიღონ, რომ მიიღონ ინფორმაცია, თუ რა ხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების მონიტორინგი ვერ ხორციელდება. ამიტომ აფხაზეთის და ცხინვალის ტერიტორიებზე სატელიტური კონტროლი უნდა განხორციელდეს. ამაზე ჩვენ რამდენიმე ხნის განმავლობაში ვაწარმოეთ მოლაპარაკება. მიუხედავად ამისა, ეს მოლაპარაკებები წარმატებით არ დასრულდა. ჩვენთვის არ არის მნიშვნელოვანი ის, რომ ეს ფოტოები აუცილებლად ქართულმა მხარემ მოიპოვოს, ჩვენთვის საკმარისი იქნება, რომ ამ ფოტოების მეშვეობით ობიექტური სურათი თვითონ ევროკავშირმა შეიქმნას, — განაცხადა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ.

ნინო კალანდაძემ ტირძნისიდან გატაცებულ სკოლის მოსწავლეებზეც ისაუბრა. მისი თქმით, საქართველოს ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვები გაათავისუფლონ. თუმცა, როგორც ჩანს, მხოლოდ ქართული მხარის ძალისხმევა უშედეგოა.

საქართველოს ხელისუფლება უფრო ქმედითი დახმარებისკენ მოუწოდებს ევროკავშირს და საერთაშორისო თანამეგობრობას. 14 დღის წინ ტირძნისიდან გატაცებული მოზარდები ისევ ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან. მათ ბრალი ოსმა სეპარატისტებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთასა და ტერაქტების მოწყობაში დასდეს.



ერთ-ერთი მოზარდის ჯანმრთელობის მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია, მას ფილტვების პრობლემა აქვს. ტირძნისიდან გატაცებული მოზარდები წითელი ჯვრის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოინახულა. როგორც ცნობილია, წითელმა ჯვარმა ბავშვებს ცხინვალის იზოლატორში მედიკამენტები და თბილი ტანსაცმელი შეუტანეს.

— 14 დღეა ტირძნისიდან გატაცებული ბავშვები ცხინვალის იზოლატორში იმყოფებიან მიუხედავად საერთაშორისო თანამეგობრობის აქტიური მოწოდებებისა თუ განცხადებებისა. მათი განცხადებები ამ ეტაპზე სრულიად არის უგულებელყოფილი სეპარატისტების მიერ. ჩვენი თხოვნა და მოწოდება იქნება უფრო მეტი აქტიურობისკენ. მხოლოდ განცხადებებით შემოფარგვლა არ არის საკმარისი. აუცილებელია ყველა მხარემ გააკეთოს მაქსიმუმი იმისთვის, რომ ბავშვების უპირობო და დაუყოვნებლივი განთავისუფლება მოხდეს, — განაცხადა ნინო კალანდაძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც გუშინ ყურადღება გაამახვილა საგარეო საქმეთა მინისტრომ, საქართველოშო ოკუპირებული ტერიტორიებისთვის, სამხრეთ ოსეთისთვის და აფხაზეთისთვის რუსული სატელეფონო კოდების მინიჭება იყო.

საქართველოს ხელისუფლებამ უკვე მიმართა საერთაშორისო საკომუნიკაციო ქსელს პროტესტის ნიშნად. საქართველოს მთავრობა საერთაშორისო ორგანიზაციიდან პასუხს ელოდება.

— ჩვენ უკვე გავუგზავნეთ ოფიციალური წერილი საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო ქსელების სააგენტოს და ასევე საპროტესტო ნოტა შვეიცარიის საელჩოს, რომ ეს საპროტესტო ნოტა გადაეცეს რუსეთის ფედერაციას. კოდები სამართლებრივად გაეროს მიერ აღიარებულ სახელმწიფოებს გადაეცემა. ჩვენ მივაწვდინეთ მათ ჩვენი სამართლებრივი დასაბუთება და ვთხოვთ მათ რეაგირებას, რაზეც აუცილებლად ველით სათანადო პასუხს, — აღნიშნავს ნინო კალანდაძე.

დღეს თბილისში ვიზიტით ამერიკიდან დელეგაცია ჩამოდის. ამერიკის დელეგაცია საქართველოში ამერიკასა და საქართველოს შორის გაფორმებული სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში ჩამოდის.

სწორედ ამ ქარტიის ფარგლებში მოხდა ამერიკის თავდაცვის მდივნის მოადგილის ვიზიტი თბილისში ცოტა ხნის წინ.

მაშინ ალექსანდრ ვერშბოუმ ღიად განაცხადა, რომ საქართველოს აქვს უფლება ნატოს წევრი ქვეყანა გახდეს, მაგრამ ამისთვის მან დემოკრატიისკენ უნდა გადადგას ნაბიჯი. სწორედ დემოკრატიის განვითარებისთვის საჭირო ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით ჩამოდიან ამერიკელები აღნიშნული ქარტიის ფარგლებში.

საქართველოში დემოკრატიაზე ამერიკელების მონიტორინგი რომ საჭიროა, ეს არაერთხელ დამტკიცდა. ამერიკასა და საქართველოს შორის სტატეგიული თანამშრომლობის შესახებ ქარტია ჯორჯ ბუშის დროს გაფორმდა. „რესპუბლიკური“ ადმინისტრაციის მიერ გაფორმებული ქარტია არ უარყო ობამას ადმინისტრაციამ.

# „მაესტრო“ ახალი ფორმატით ეთერში 1 თებერვლიდან გავა

ტელეკომპანია „მაესტრო“ ახალი ფორმატით ეთერში სავარაუდოდ, მომავალი წლის 1 თებერვლიდან გავა.

როგორც „პირველს“ ტელეკომპანიაში განუცხადეს, ამ ეტაპზე მიღებული არ არის არც ერთი საკადრო გადაწყვეტილება. შესაბამისად, ჯერჯერობით უცნობია, რომელი ცნობილი ტელესახეები გამოჩნდებიან “მაესტროს“ ეთერში.

— ჯერ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მიმდინარეობს პოზიციების შეჯერება და აქტიურად ვმუშაობთ არხის პლატფორმაზე. რაც შეეხება კადრებს, ჯერ არც ერთი საკადრო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. იმის თქმა, რომ არხზე ძირითადად „რუსთავი 2“-ის მაყურებლისთვის ნაცნობი სახეების მოწვევა მოხდება, არასწორია. ჩვენ კონსულტციები გვექნება ყველა არხის და ყველა საინფორმაციო საშუალებების ჟურნალისტებთან, იმის მიხედვით, რა რესურსი დასჭირდება „მაესტროს“, — განუცხადა „პირველს“ „მაესტროს“ ახალმა გენერალურმა დირექტორმა ეროსი კიწმარიშვილმა.

როგორც ცნობილია, ტელეკომპანია „მაესტროს“ ერთ-ერთმა დამფუძნებელმა მამუკა ღლონტმა ეროსი კიწმარიშვილი გენერალური დირექტორის რანგში საზოგადოებას 12 ნოემბერს წარუდგინა. შეთანხმების მიხედვით, ეროსი კიწმარიშვილი „მაესტროს“ 3 წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

**პირველი**

# არჩევნებზე ოპოზიცია ჩაფლავდება

## ჯანზე მოსული სააკაშვილი არაფერს დათმობს

**ოპოზიციამ 7 ნოემბრის აქციით თარიღებიც ამოწურა და სათქმელიც. ეს დღე სააკაშვილთან მოლაპარაკებებზე სირბილით გასავათებული და გაცუცურაკებული ოპოზიციისთვის ერთგვარი ტესტი იყო იმისა, თუ რა რეიტინგი შერჩა. თუ აქციაზე მისული ხალხის რაოდენობით ვიმსჯელებთ, სამწუხაროდ, დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთება ოპოზიციის საკეთილდღეოდ რაც არ უნდა მოვინდომოთ, მაინც ვერ ხერხდება. ოპოზიციამ ხალხთან სათქმელი ტყუილიც და მართალიც უკვე საბოლოოდ ამოწურა. ოპოზიციამ აქციაზე მისულ ხალხს ახალი მხოლოდ ის შესთავაზა, რომ რამდენიმე ასეული ადამიანი ვარდისფერ სადღესასწაულო ხელებდათხუპნული დაბრუნდა სახლებში. პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი თვლის, რომ ოპოზიცია დაკარგულ რეიტინგს ვერ დაიბრუნებს, ჭიპაშვილი არც მოახლოებულ არჩევნებში უწინასწარმეტყველებს ოპოზიციას რაიმე წარმატებას.**


„მედია-ნიუსის" ფოტო

შორენა გონგლა ე

*— ბატონო ჰამლეტ, რა შესთავაზა ოპოზიციამ ახალი 7 ნოემბერს აქციაზე შეკრებილ ხალხს და რა მხარდაჭერის იმედი შეიძლება ჰქონდეს არჩევნებში ოპოზიციას?*

— ოპოზიციამ ამოწურა თავის შესაძლებლობა, მას ფაქტიურად სათქმელი აღარაფერი აღარ აქვს და საზოგადოება ამას დიდი ხანია მიხვდა და არ აპირებს მიიღოს მონაწილეობა მიტინგებში. 7 ნოემბრის მიტინგად წოდებული ეს თავყრილობა, რომელშიც სულ რამდენიმე ასეული კაცი იღებდა მონაწილეობას, იყო იმის დამადასტურებელი, რომ ფაქტიურად ოპოზიცია აღარ არსებობს. ოპოზიცია, რომელიც დაბეჯითებით ცდილობს, რომ მიიღოს მონაწილეობა ადგილობრივ არჩევნებში, თითქმის ყველა ამბობს ამას, მე მგონი ნათელაშვილის გარდა, ერთი ოპოზიციონერი უკვე შევიდა პარლამენტში და დაიბრუნა თავის მიერ დახეული სადეპუტატო მანდატი და აქედან გამომდინარე, უკვე საზოგადოებისთვის ნათელია, თუ რას წარმოადგენს ეს ოპოზიცია. ოპოზიციას არაფერი აქვს ხალხისათვის სათქმელი და არც რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი გააჩნია, რაც არის ხელისუფლებისგან განსხვავებული. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციის და ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა არის ერთი და იგივე, რადგან საშინაოც და საგარეოც ერთმანეთზე არის დამოკიდებული, თუ საგარეოში შენ გაქვს ისეთი მსოფლმხედველობითი მიდგომა, როგორიც ხელისუფლებას, მაშინ ეს არის ხელისუფლების გაგრძელება, ოღონდ ე.წ. ოპოზიციაში, თორემ რეალურად გამოდის, რომ ოპოზიცია ფაქტიურად აღარ არსებობს. სამი წლის განმავლობაში ხალხს ატყუებდნენ და როგორც იქნა, მიხვდა საზოგადოება, რომ ოპოზიცია აღარ არსებობს. თუ რა იქნება მომავალში, ამის თქმა ძნელია, მაგრამ ის, რომ ამ ოპოზიციისგან საზოგადოება არაფერს ელის, ეს დამტკიცდა კიდევაც ამ აქციის დროს. ხალხი არ მივიდა მიტინგზე, მართალია ოპოზიციონერები კი იმშვიდებდნენ თავს, რომ უთქმელად მოვიდა ხალხიო, მაგრამ მე ამაში ვერ დაგეთანხმები, ჯერ ერთი, აქუბარდიას ტელევიზიით ყოველდღე ამაზე იყო ლაპარაკი და პრესაშიც იწერებოდა, რომ 7 ნოემბრისათვის ოპოზიცია ემზადებოდა გრანდიოზული დემონსტრაციისათვის, მაგრამ ეს გრანდიოზულობა არ გამოვიდა, რამაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ეს ოპოზიციური მოძრაობა ჩაშლილია.

*— ოპოზიცია უკვე საარჩევნო რეჟიმში გადავიდა, რამდენად ექნება არჩევნებში მათ საზოგადოების მხარდაჭერა?*

— არჩევნებიც ასევე ჩაფლავდება ოპოზიციისათვის, როგორც ეს მოხდა წინა არჩევნების დროს, ვიდრე ეს მოხდა იმის წინა არჩევნების დროს, რადგანაც მაშინ ჯერ კიდევ ჰქონდა რეიტინგი ოპოზიციას და ხალხსაც ჰქონდა რაღაცის იმედი, მაგრამ ამჯერად ადგილობრივი არჩევნების ჩატარებისას მე არა მგონია ქუჩის ოპოზიციამ რაიმე მიიღოს. მიიღებენ ის პარტიები, რომლებიც წარმოდგენილი არიან პარლამენტში და რომლებსაც ჰქვიათ ე.წ. ოპოზიცია. ისინი მიიღებენ ძალიან მოკრძალებულ მხარდაჭერას მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დახმარებით, ამ ხელისუფლებას უნდა, რომ საკუთარი თავისთვის შექმნას დემოკრატიულობის იმიჯი და აქედან გამომდინარე ერთ-ორ პატარა ლუკმას გადაუგდებს საპარლამენტო ოპოზიციას, დანარჩენებმა, ეჭვი მეპარება, რომ რამე მიიღონ.

*— ანუ არასაპარლამენტო ოპოზიცია თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდება?*

— ცხადია. მე როგორც ვიცი, ძალიან ბევრს გაუჩნდა უკვე ქალაქის მერობის სურვილი, ალასანია უკვე რახანია აცხადებს ამას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ალასანია ამ თამაშს წააგებს ისე, როგორც დანარჩენები. არა მგონია, ჯანზე მოსულმა სააკაშვილმა პოზიციები დათმოს. როგორც მე ვხედავ, ადგილობრივი არჩევნების დროს გაიმარჯვებს ნაციონალური მოძრაობა.

*— როგორ ფიქრობთ, თუ ოპოზიცია შეთანხმდა ერთიან კანდიდატზე, ამ შემთხვევაში თუ შეიცვლება სურათი, ერთი პერიოდი პრაიმერის ჩატარებაზეც ჰქონდა ოპოზიციას საუბარი...*

— არაფერიც არ შეიცვლება. ჯერ ერთი, ოპოზიცია ვერ შეთანხმდება ერთიან კანდიდატზე, დავითაშვილი დიდი მსურველი იყო იმისა, რომ პრაიმერი ჩატარებულიყო, მაგრამ ალასანია თავს დიდი ხანია მერობის კანდიდატად აყენებს, დავითაშვილსაც გაუჩნდა სურვილი, ასევე არიან სხვებიც. ამიტომ, ეჭვი მეპარება, რომ ერთიან კანდიდატზე შეთანხმდნენ, რადგანაც ერთიანი კანდიდატობა ნიშნავს იმას, რომ წინასწარ გამოუტანონ თავიათ თავს განაჩენი. საქართველოში, სადაც ყოველ მეორე პოლიტიკოსს თავისი თავი ყველაზე საუკეთესო ჰგონია, არა მგონია, რომ წინასწარ დათმონ პოზიციები, ამას მე ნამდვილად არ მოველი. ქუჩის ოპოზიციიდან უკვე დასახელდა კანდიდატები,და ახალის დამატება შესაძლებელია უკვე პარტიების „აპეტიტიდან" გამომდინარე, მაგრამ ერთიანობის პრინციპი უკვე დარღვეულია.

*— ბოლო პერიოდში კვლავ დაიძაბა სიტუაცია კონფლიქტის ზონაში, რა არის ამის საფუძველი?*

— რუსეთთან ურთიერთობის დაძაბვას აქვს მთელი რიგი წინა პირობები, უპირველეს ყოვლისა, გრძელდება ეს გაუთავებელი ლანძღვა-გინება ჩვენი ხელისუფლების მხრიდან რუსეთის მიმართ, ამას სათავეში უდგას პრეზიდენტი და გამუდმებით არის რუსეთის პოლიტიკოსების გინება, ეს ყველაფერი ძალიან კარგად მიდის რუსეთში და, ცხადია, ეს აღიზიანებს რუსეთის ხელისუფლებას. როდესაც რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა გააკეთეს განცხადება, რომ საქართველოში გარკვეული ორგანოები ეხმარებიან ბოევიკებს იარაღით, იყო ასეთი განცხადება რუსეთის ოფიციალური პირების მხრიდან პანკისთან დაკავშირებით. შემდეგ ამას მოჰყვა პარლამენტის წევრების ვიზიტი პანკისში და მათი განცხადება, რომ მსგავსი იქ არაფერი არ ხდება, თითქოს პანკისში მათი ჩასვლის წინ ის ბოევიკები გამოვიდოდნენ ქუჩებში და შეეგებებოდნენ ჩვენს პარლამენტარებს, ეს ყველაფერი, ცხადია, იყო დადგმული სპექტაკლი ჩვენი ხელისუფლების მხრიდან და იყო თარგამაძის განცხადებები, რომ მათ იქ ვერაფერი შენიშნეს და ა.შ. თარგამაძე რომ იქ ბოევიკების მომზადებას შენიშნავს, მაშინ დაღუპულია საქმე. ე.ი. რუსეთს ალბათ ჰქონდა ამის თქმის გარკვეული საბაბი და ინფორმაცია და აქედან გამომდინარე, იყო განცხადებები, რომ საქართველოში ადგილი აქვს ასეთ რამეს. ცხადია, ამან ვითარება დაძაბა, არანაკლებ რეაქციული განცხადება იყო საქართველოს მხრიდან, ამას თან დაერთო სასაზღვრო ინციდენტები, დაკავება ქართველი მოსახლეობის, რომლებმაც გადაკვეთეს ე.წ. საზღვარი. ალბათ, ამას მართლაც ჰქონდა ადგილი, ვინაიდან იმ გლეხისთვის, რომელიც შეშას ჭრის და სასოფლო საქმიანობით არის დაკავებული, წარმოუდგენელია ამ საზღვრის არსებობა გუშინდელ სოფლებს შორის, სადაც ისინი თავისუფლად დადიოდნენ. მაგრამ დღეს ამას უკვე ოსური მხარე აღიქვამს როგორც ძალიან სერიოზულ დარღვევას. შემდეგ ამას დაერთო იმ არასრულწლოვანების დაკავება. ამ ყველაფრის უკან, ცხადია, არსებობს ერთი რამ, რომ ვიდრე ორივე მხრიდან არ აილაგმება პროვოკაციული გამოხტომები, ვიდრე არ მოხდება მოსახლეობის გაფრთხილება ხელისუფლების მხრიდან, რომ ამ ე.წ. საზღვრის გადალახვა იწვევს გარკვეულ პრობლემებს, მანამ ეს საკითხები არ მოგვარდება და რაც მთავარია, ვიდრე რუსეთთან არ შეწყდება ასეთი ფარული კინკლავი და ვერბალური ომი, მანამ ეს ყველაფერი გაგრძელდება.

# კონფლიქტების დროს დაღუპულთა ოჯახების სოციალური გარანტიები იზრდება

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ, უგზო-უკვლოდ დაკარგულ, მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილთა ოჯახების სოციალური დაცვის გარანტიები გაიზრდება. სწორედ ამას ითვალისწინებს კანონპროექტთა პაკეტი, რომლის ინიცირებაც პარლამენტის ბიუროს გუშინ გამართულ სხდომაზე მოხდა.

საკანონმდებლო პაკეტის ინიციატორები პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე გიორგი წერეთელი და ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ თოიძე არიან. როგორც ოთარ თოიძემ "მედიანიუსს" განუცხადა, საკანონმდებლო პაკეტი მთელ რიგ ცვლილებებს ითვალისწინებს.

ერთ-ერთი ცვლილება ის არის, რომ აღნიშნული კანონპროექტის მოქმედების სფეროში იმ გარდაცვლილთა ოჯახებიც მოხვდებიან, რომლებსაც აქამდე შესაბამისი სოციალური გარანტიები არ ეხებოდათ. ლაპარაკია გალის ცნობილი მოვლენების დროს დაღუპულ 100 პირზე, 2004 წელს ცხინვალთან მომხდარი შეტაკების დროს დაღუპულებზე, ასევე იმ ადამიანებზე, რომლებიც საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ პატრულირების ან სხვა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას სნაიპერების ტყვიას ემსხვერპლნენ.

ამავე ცვლილებებით, ობლად დარჩენილ მოზარდებს სახელმწიფო დახმარება არა 18, არამედ 22 წლის ასაკშიც მიეცემათ. ასევე, იზრდება კონფლიქტების დროს დაინვალიდებული პირების სოციალური შემწეობა. ოთარ თოიძის განმარტებით, ასეთი პირები სხეულის დაზიანების სიმძიმის მიხედვით 70 და 84 ლარის დახმარებას იღებდნენ. ამიერიდან კი 84-ლარიანი შემწეობა 129, ხოლო 70-ლარიანი შემწეობა 80 ლარამდე გაიზრდება. ცვლილებების თანახმადვე, ოჯახებს, რომლებმაც კონფლიქტების დროს ორი ან სამი წევრი დაკარგეს, სათანადო პენსია ან კომპენსაცია თითოეული დაღუპულის მიხედვით მიეცემათ. პარლამენტში იმედოვნებენ, რომ აღნიშნულ კანონპროექტთა პაკეტის მიღება წლის ბოლომდე მოესწრება და ის უკვე 2010 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდება.

**მედიანიუსი**

# რუსეთი ჩვენ გამო არ დაისჯება

## კოსოვოს აღიარების გამო ჩვენ არ უნდა დავზარალდეთ

**დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან დღემდე საკმაოდ დიდი პერიოდი გავიდა და საქართველოც თანდათან უფრო ჩიხში შევიდა. ჩიხიდან გამოსავალი კი, ჯერჯერობით, არ ჩანს. საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი თენგიზ დიხამინჯია, რომელსაც დამოუკიდებლობის აქტზე ხელი აქვს მოწერილი, აცხადებს, რომ დღეს საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა.**

გულიკო ბალა ე



მისი თქმით, ქვეყნის სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზი კი ისაა, რომ საქართველოს პოლიტიკას მოუმწიფებელი ადამიანები წარმართავენ. მოუმწიფებელი ადამიანები მართავენ ქვეყანას და ამიტომაა სავალალო მდგომარეობაში.

შედარებისთვის, თენგიზ დიხამინჯიას ფეხბურთში საქართველოს ნაკრების ყოფილი მწვრთნელის, ჰექტორ რაულ კუპერის სიტყვები მოჰყავს. „როდესაც ჰექტორ რაულ კუპერს ფეხბურთში ეროვნული ნაკრების წარუმატებლობის შესახებ ჰკითხეს, მან განაცხადა: იმიტომ ვაგებთ, ძვირფასო გულშემატკივრებო, რომ ვინც თამაში იცის, ის არ თამაშობს, თავს არ იკლავს, ანუ ბოლომდე არ იხარჯება, ხოლო ვინც თამაში არ იცის, ის ბოლომდე იხარჯება, მაგრამ აქედან არაფერი გამოდისო. ამიტომ თამაშიც უნდა იცოდე და შესაბამისი მონდომებაც უნდა გქონდეს. ეს ვრცელდება როგორც ფეხბურთზე, რომელიც, სხვათა შორის, ყველაზე მეტად ასახავს საქართველოს პოლიტიკურ-სოციალურ-ფინანსურ თუ სულიერ ცხოვრებას, ასევე საზოგადოებრივ ფენებზე, განსაკუთრებით პოლიტიკოსებზე".

*— ბატონო თენგიზ, ე.ი. არსებული ვითარებიდან გამოსავალი რომ ვერ ვიპოვეთ, იმის ბრალია, რომ როგორც ფეხბურთში, ისე პოლიტიკაში შემთხვევითი ადამიანები არიან?*

— დიახ, ძირითადად შემთხვევითი ადამიანები არიან მოსული. უფრო სოლიდურად რომ ვთქვათ, ეს ხალხი მოუმწიფებელია იმ ამოცანებისათვის, რომლის წინაშეც ქვეყანა დგას. ქვეყანა კი ყოფნა-არყოფნის ზღვარზეა. მომწიფება ნიშნავს ცნობიერებას, პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, მორალურ სიმტკიცეს, წინდახედულებას, წინასწარ განჭვრეტას და ა.შ. ამის გარეშე წარმატებაზე ლაპარაკი ზედმეტია. მით უმეტეს, ჩიხიდან გამოსვლაზე. ასეთი პრობლემების წინაშე ვდგავართ.

*— სხვათა შორის, წლების წინ, როცა კოსოვოში ვითარება გამწვავებული იყო და სერბეთი იბომბებოდა, მითხარით, რომ იქ მიმდინარე მოვლენები საქართველოზე ცუდად აისახებოდა. ახლა ისეთი რაღაც ხდება, უნდა დავიმახსოვროთ, რადგან მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს კონფლიქტებზეო.*

— სერბეთში მაშინ განვითარებული მოვლენები საქართველოზე პირდაპირპროპორციულად ძალიან ცუდად აისახა.

*— როცა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს, ქართველი პოლიტიკოსები ამბობდნენ, რომ კოსოვოს აღიარება აფხაზეთსა და ცხინვალის პრობლემაზე გავლენას არ მოახდენდა. ამ დროს რუსეთი პირდაპირ აცხადებდა, თუ კოსოვოს აღიარებდნენ, ის აფხაზეთსა და ცხინვალს აღიარებდა. როგორც ვნახეთ, რუსეთმა ეს ფაქტორი შესანიშნავად გამოიყენა და ჩვენი ტერიტორიები დამოუკიდებლად აღიარა კიდეც. რატომ ვერ განჭვრიტეს ეს შედეგი ქართველმა პოლიტიკოსებმა და პრევენციული ზომები რატომ ვერ მივიღეთ?*

— პრევენციული ზომები ვერ მივიღეთ, რადგან იმჟამად ხელისუფლებაში შესაბამისი გუნდი არ იყო, რომელი გუნდიც პროცესებს წინ აღუდგებოდა. საჭირო პოლიტიკური და სულიერი მომწიფებულობის ხარისხი ამ ადამიანებს არ გააჩნდათ და ახლაც არ გააჩნიათ. საერთოდ, კოსოვოს კონფლიქტზე ზვიად გამსახურდიამ ერთ-ერთ ინტერვიუში ერთი ორი სიტყვით ისეთი გენიალური ფრაზები თქვა, რომ მისი გაშიფრვა საკმარისი იყო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ აქ მოვლენები ძალიან ცუდი სცენარით გავითარდებოდა. ისეთი პროცესები განვითარდებოდა, რომელიც არც მართლმადიდებლების, არც მუსლიმანებისა და, საერთოდ, ეთიკური თვალსაზრისით, არანაირი წესრიგის საზღვრებში არ მოექცეოდა. ამით ვერავინ მოიგებს, ანუ ის სცენარი, რომელიც მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორებმა დაგეგმეს იმ რეგიონში, ავის მომტანი იყო ყველასთვის. თვითონ იდეაში იყო ისეთი კომპონენტი, რომელიც ფეთქებადი გახლდათ და დროთა განმავლობაში ძალიან ცუდად იმუშავებდა. ზვიად გამსახურდიას ნათქვამი სრულად დადასტურდა. სერბეთში მომხდარს კარლა პონტი იძიებდა, რომელიც შემდგომ გაუჩინარდა. კარლა პონტიმ საშინელი დასკვნები დადო სერბეთთან დაკავშირებით. ვინ დაიჯერებს იმას, რომ ჰაჩინ ტაჩი, რომელიც ახლაკოსოვოს პრემიერმინისტრია, ჰუმანური ადამიანია, კანონმორჩილია, დანარჩენები კი კრიმინალები არიან. ამიტომ სამართლებრივი და პოლიტიკური კრიტერიუმები ყველასთვის მისაღები უნდა იყოს. თამაშის წესები კი — სწორი, არაორაზროვანი, არატენდენციური. თუ ასეთი თამაშის წესები დაცული არ არის, მაშინ მივიღებთ ისეთ შედეგს, რომელიც ახლა მივიღეთ. რაც მოხდა, ეს არის ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორების ჩანაფიქრი.

გაგრძელება მე-7 გვერდზე

# კონფლიქტურ ზონებში დამკვირვებლების ყოფნა აუცილებელია

## ევროპა რუსეთთან სეპარატისტულ გარიგებებს უნდა მოეშვას

გერა მამულაშვილი

**ევროკავშირი მსჯელობს იმაზე, რომ აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში სამხედრო აქტიურობებს კოსმოსური თანამგზავრის საშუალებით დააკვირდეს. გაერთიანების ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს ნაბიჯი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე დამკვირვებლების შესვლას ვერ შეცვლის, თუმცა, მათივე თქმით, ამ კუთხით საერთოდ არაფრის გაკეთებას ეს ნაბიჯი მაინც სჯობს.**

ოფიციალური თბილისი ამ თემაზე ევროკავშირთან მოლაპარაკებებს განაგრძობს. საქართველოს ხელისუფლება მოითხოვს, რომ სწორედ სატელიტური დაკვირვების მეშვეობით შეძლოს ევროკავშირმა ოკუპირებულ რეგიონებში არსებული ვითარების კონტროლი. საგარეო მინისტრის მოადგილე ნინო კალანდაძე განმარტავს, იმის გათვალისწინებით, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიები ე.წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში შესვლას ვერ ახერხებენ, დღის წესრიგში ოკუპირებულ რეგიონებზე სატელიტური ზედამხედველობის საკითხი დადგა.

**„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ვახტანგ ხმალაძე აცხადებს, რომ სატელიტური დაკვირვება ვერანაირად ვერ შეცვლის უშუალოდ კონფლიქტურ რეგიონებში ევროკავშირის დამკვირვებლების არსებობას. მისივე თქმით, თანამგზავრული დაკვირვება პლუს ფიზიკური ყოფნა მონიტორების, გაცილებით უფრო ეფექტური იქნება. ხმალაძე აცხადებს, რომ ევროპელი დამკვირვებლები მხოლოდ მაშინ შეძლებენ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შესვლას და გადაადგილებას, როდესაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები რუსეთთან ცალ-ცალკე სეპარატისტულ მოლაპარაკებებს თავს დაანებებენ და ერთიანი პოზიციით გამოვლენ.**

— როგორ აფასებთ ევროკავშირის გადაწყვეტილებას საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე კოსმოსური თვალყურის დევნების შესახებ?

— *რამდენადაც ვიცი, ნათქვამი იყო, რომ ჩვენ შეგვიძლია თანამგზავრებით დავაკვირდეთ, მაგრამ ეს ადგილზე უშუალოდ დამკვირვებლების ყოფნის საჭიროებას ვერ შეცვლისო. სხვა დაწვრილებით ამ გადაწყვეტილების შესახებ არ მომისმენია და რამდენად დაზუსტებით გაქვთ ამის შესახებ ინფორმაცია?*

— ჩვენმა საგარეო უწყებამ უკვე დაადასტურა ინფორმაცია ევროკავშირში ამაზე მსჯელობის ოფიციალურად დაწყების შესახებ; სადაც, რა თქმა უნდა, მთავარი აქცენტი ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ტიპის აქტიურობებზე კეთდება.



— *ცნობილია, რომ ამ ტიპის თანამგზავრული დაკვირვების განხორციელება სავსებით შესაძლებელია. ამ დაკვირვების განხორციელება დღეს ლამის ქუჩაში ერთი ადამიანის გადაადგილების დონეზე არის შესაძლებელი. ეს პრობლემა არ არის, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცედურაა. რაც უფრო მცირე ობიექტზე დაკვირვების განხორციელება გინდათ, რაც უფრო ზუსტად გინდათ გაიგოთ, რა ხდება კონკრეტულ წერტილში, მით უფრო ძვირი ჯდება ეს დაკვირვება. მაგრამ კონკრეტული მიზნისთვის, კონკრეტულ სამხედრო ობიექტზე, თუ გარკვეულ სამხედრო ძალების გადაადგილებაზე დაკვირვება, რასაკვირველია, უფრო ადვილია და შედარებით იაფიც დაჯდება. მაგრამ ეს ვერანაირად ვერ შეცვლის უშუალოდ დამკვირვებლების არსებობას კონფლიქტურ ზონებში. ვინაიდან მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრი დარღვევაა — ადამიანის უფლებების ხელყოფა, ადამიანების გატაცებები თუ სხვ. და ყოველივე ეს ცნობილი ხდება მას შემდეგ, რაც ფაქტი უკვე მომხდარია. უშუალოდ თანამგზავრის საშუალებით დაკვირვებისას ეს ფაქტები ვერ აღმოჩნდება ობიექტივში. თუ იგი შემთხვევით არ აღმოჩნდა ამ სატელიტური დაკვირვების არეში.*

ამიტომ დამკვირვებლების ფიზიკურ ყოფნას ალტერნატივა არ გაჩნია. ვისთვისაც მიმართვის საშუალება იქნება მაშინვე, როდესაც იქ რაიმე ინციდენტი მოხდება, როდესაც მათ ექნებათ საშუალება, რომ მომხდარ ინციდენტზე მაშინვე მოახდინონ რეაგირება; ეს არის სრულიად სხვა რამ და მკვეთრად გაზრდის დარღვევების შემცირების ალბათობას. და საერთოდაც, რაიმე ტიპის დარღვევების ალბათობას. მით უფრო, რომ საერთაშორისო დამკვირვებლებს რეალურად ჩარევის უფლებამოსილება ექნებათ და არა მხოლოდ დარღვევების დაფიქსირებისა და ამის გამის გამოხატვის უფლება. მაგრამ როდესაც სხვა რამის მიღწევა ჯერჯერობით შეუძლებელია, ესეც კარგი ნაბიჯია. იმიტომ, რომ სულ არარაობას, სულ არანაირ დაკვირვებას ოკუპირებულ რეგიონებზე, ნამდვილად სჯობს ამ ნაბიჯის გადადგმა. იქ უშუალოდ ფიზიკური დამკვირვებლების ყოფნა მთლიანად ვერ ცვლის იმ შესაძლებლობებსაც, რისი გაკეთებაც ვთქვათ თანამგზავრების საშუალებით არის შესაძლებელი. მოგეხსენებათ, რომ თანამგზავრებით დაკვირვებისას რასაც უყურებენ-აკვირდებიან, იმ ყველაფერს იწერენ კიდევაც. ამიტომ თუ რაიმე მოხდა და თანამგზავრმა ეს დაინახა, ეს უკვე ფაქტობრივი მასალა და ფაქტობრივი მტკიცებულება იქნება. ასეთ დროს ვერ იტყვიან, რომ დამკვირვებლები იყვნენ არაობიექტურნი, ანდა სწორად არ აღწერეს ის, რაც მოხდა. შესაბამისად ორივე ერთოდ, თანამგზავრები პლუს ამას ფიზიკური დამკვირვებლები, ცხადია, რომ გაცილებით უფრო ეფექტური იქნება. მაგრამ იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ბოლო საკითხიც ადრე თუ გვიან გადაწყდება.

— ***თქვენი პროგონოზით, რა ეტაპზე გახდება შესაძლებელი, რომ რუსები დათმობებზე წავიდნენ და ევროპელი მონიტორები ოკუპირებულ მიწებზე შევიდნენ?***

— ეს იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ ევროკავშირის წევრი ქვეყნები რუსეთთან სეპარატისტულ გარიგებებს შეეშვებიან. სეპარატისტულში ვგულისხმობ არა როგორც ერთიანად ევროკავშირის მოლაპარაკებას რუსეთთან, არამედ ცალ-ცალკე; ამით თავისი ქვეყნისთვის გარკვეული უპირატესობების და შეღავათების მოპოვებას. ისიც ვთქვათ, რომ როდესაც ერთი ქვეყანა უფრო შეღავათიან ურთიერთობებს ამყარებს რუსეთთან, ამ დროს ცხადია, რომ გარკვეულწილად ილახება სხვა ქვეყნების შესაძლებლობები. იმ ქვეყნებისა, რომლებიც რუსეთთან ასეთ გარიგებებზე არ მიდიან. თუ ერთიანი პოზიცია იქნება და ყველა შეეცდება იმოქმედოს ერთიანი ევროპული პოლიტიკით, მაშინ იზრდება იმის ალბათობა, რომ რუსეთი დაითანხმონ იმაზე, რისი გაკეთებაც დღეს რუსეთს არ სურს. მაგრამ ფაქტია, რომ ეს ძალიან რთული საქმეა.

— ***ერთ-ერთი მთავარი გარანტი რუსეთთან შეთანხმებებისა არის საფრანგეთი. ბოლო დღეებში ტირძნისიდან გატაცებულ ბავშვებთან დაკავშირებით რამდენჯერმე გაჟღერდა, რომ პრეზიდენტმა სარკოზიმ ამაზე ხმა უნდა აღიმაღლოს. მაგრამ მსგავსი რეაქციები რატომღაც ნაკლებად იგრძნობა. ასეთი მდგომარეობა რაზე მიგვანიშნებს?***

— მიანიშნებს ცნობილ ანდაზაზე — ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილოო. სწორედ ამაზე მიანიშნებს, მეტი არაფერზე. იმაზე, რომ უპირველეს ყოვლისა ჩვენ თვითონ უნდა შევქმნათ ისეთი პირობები, რაც შესაძლებლობას მოგვცემს სხვის გარეშეც რაიმე ქვეყნისთვის საჭირო და აუცილებელი გავაკეთოთ; და რომელიც ჩვენ საჭიროს გაგვხდის ამ სხვებისთვის, საჭიროს, მიმზიდველს და ა.შ. იმიტომ, რომ საბოლოო ჯამში ჩვენს გასაკეთებელ საქმეს სხვა არ გააკეთებს. პოლიტიკაში ალტრუიზმი საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი, რაც შეგვიძლია, უნდა შევეცადოთ შევქმნათ ისეთი პირობები, როდესაც სხვას გაუჩნდება დახმარების სურვილი. ეს დახმარება შეიძლება არ იყოს დიდი და გრანდიოზული, მაგრამ შეიძლება საკმარისი იყოს იმისთვის, რომ მძიმე მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

— ***ხომ არ ფიქრობთ, რომ ამ მხრივ ქართველი საზოგადოება დღესაც გარკვეული ილუზიების ტყვეობაშია, რომ მოვა ვინმე და ერთი ხელის მოსმით დაგვეხმარება ჩვენივე პრობლემების გადაწყვეტაში?***

— დიდი ხანია ასეთი რამ ხდება ჩვენ გარშემო, მაგრამ მე როგორც დღევანდელ ვითარებას ვაფასებ, ასეთი დამოკიდებულება შეიცვალა და საკმაოდ საგრძნობლადაც შეიცვალა. ანუ რაღაც ისეთი უტოპიური ოცნება, რომ არიქა, ახლა მოვა კეთილი ძია და ჩვენს გასაკეთებელს ის გააკეთებს, ქეყანას უშველის და გადაგვარჩენს, ეს დამოკიდებულება მგონია, რომ ჩვენს საზოგადოებაში გაბატონებული აღარ არის. საზოგადოება უფრო და უფრო მეტად ხვდება, რომ ჩვენ თავად უნდა მივხედოთ ჩვენივე გასაკეთებელ საქმეს. და არ უნდა ვიყოთ მუდმივად სხვისი ხელის შემყურენი.

— ***ხომ არ ფიქრობთ, რომ შექმნილი რეალობების უფრო მეტად აღქმაში გასული წლის აგვისტოს ომმა დიდი როლი ითამაშა?***

— რასაკვირველია. მაგრამ არა მარტო აგვისტოს ომმა. იგივე სხვა, გავლენიან სახელმწიფოთა პერმანენტულმა დამოკიდებულებამ მაგალითად ჩვენთან მიმდინარე არჩევნებისადმი. როდესაც თქვენც და მეც ძალიან კარგად ვიცით, რომ ადგილი ჰქონდა დიდ გაყალბებას და ამ სხვება კი ეს გაყალბება საერთოდ ვერ დაინახეს. ვერ დაინახეს ბრჭყალებში ცხადია.

# რუსეთი ჩვენ გამო არ დაისჯება

დასაწყისი მე-6 გვერდზე

— ***ხმამაღლა არ ამბობენ, რომ ბრძოლა ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად მიმდინარეობს. თუმცა, ჩვენთან ზოგიერთი პოლიტიკოსი იმასაც ამბობს, მესამე მსოფლიო ომი მიმდინარეობსო.***

— ფაქტობრივად, მიმდინარეობს გაუხმაურებელი, პირობითად რომ დავარქვათ, გაუფორმებელი მესამე მსოფლიო ომი. როდესაც მსოფლიოს ასეთი გადანაწილებები ხდება, სხვა რა შეიძლება ვუწოდოთ მას თუ არა გაუფორმებელი მესამე მსოფლიო ომი. რა მოხდა კოსოვოში და აქ? მოხდა ყველაზე მთავარი, ქვეყნის კონსტიტუციაში უხეშად ჩაერივნენ, ადგილობრივ კონსტიტუციას და სამართლებრივ-პოლიტიკურ სისტემას არაფერი დაეკითხნენ და მათ მაგივრად გარედან გადაწყვიტეს, თავს მოახვიეს...

— ***ანუ ამერიკამ კოსოვოში გააკეთა ის, რაც რუსეთმა საქართველოში. შემდგომ თითქოს არჩევნები ჩაატარეს, როგორც რუსეთი აკეთებს ხოლმე ჩვენს ტერიტორიაზე.***

— დიახ, ყველაზე ადრე და უარესი რამ ამერიკამ კოსოვოში გააკეთა. ის, რაც რუსეთმა საქართველოში მოაწყო, ყველაზე ადრე სერბეთში გააკეთა ამერიკამ, რითაც ძალიან საშიში პრეცედენტი შეიქმნა, როდესაც კონსტიტუციის შეცვლა გარედან, იძულებით მოხდა. თუ ადამიანი დამნაშავეა, თუნდაც მთავრობაში იყოს, პრეზიდენტს წარმოადგენდეს, მის გამო ხალხი არ უნდა დაზარალდეს. ერის პოლიტიკური ნება, მისი ისტორიული მემკვიდრეობა, მისი სულიერი წყობა, პოლიტიკური კულტურა არ უნდა დაზარალდეს ვილაცეების გადაწყვეტილების გამო. ყველაზე საშინელი პრეცედენტი ეს იყო. ახლა ამ პრეცედენტის განვრცობა ხდება.

— ***თუმცა, თუ ვიმსჯელებთ იმ კუთხით, რომ იქ ალბანელების გენოციდი მოხდა, საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით განსხვავებული სიტუაცია გვაქვს — საქართველოში ქართველებს მოუწყეს გენოციდი, მაგრამ კოსოვოს პრეცედენტმა მაინც ჩვენს საწინააღმდეგოდ იმუშავა.***

— დიახ, აქ პირიქით მოხდა, მაგრამ პრეცედენტი პრეცედენტია, რადგან პრობლემას გარედან სხვები წყვეტენ, შენ კი არ გაქვს ის ძალა, მათ წინ აღუდგე. მათ წინ რომ აღუდგე, დიპლომატიურად უნდა იმოქმედო და საქმე იქით არ უნდა წაიყვანო, საითაც ჩვენს შემთხვევაში წავიდა. თუ დაიწყო ამ ტენდენციების გამოვლენა, განგაში უნდა ატეხო. ხელისუფლების შენარჩუნების მიზნით ახალი მსოფლიო წესრიგის არქიტექტორებს გვერდით კი არ უნდა დაუდგე. ესაა ჩვენი უბედურება. ჩვენ არ გვაქვს ჩვენი თამაშის წესები. ჩვენ ვერ შევთანხმდით, რომ ხელისუფლება თვითმიზანი არ არის; ბიზნესი არ არის პოლიტიკაში თვითმიზანი. თუ ეს პრინციპები გადაილახა, მაშინ შესაძლებელია ვითარების გამოსწორებაზე ფიქრი.

— ***ანუ ხელისუფლებაში ყოფნა თვითმიზანი არ უნდა იყოს.***

— რა თქმა უნდა. თუ ჩათვლი, რომ ხელისუფლებაში ყოფნით არ ამოიწურება შენი არსებობა და პრობლემებს არ შეგიქმნის შემდგომ ამ პოსტის დატოვება, მოიქცევი ადამიანურად, წინდახედულად, ქვეყნის ინტერესების საკეთილდღეოდ და ქვეყანას არ დააზარალებ. როდესაც სავარძელს ებღაუჭები და თან გარედან დოქტრინებს დაკვეთებით ასრულებ, ამავე დროს შენივე ხალხის გეშინია, ფაქტობრივად, მთლიანად ჩიხში ხარ შესული, ბუნებრივია, გადაწყვეტილების მიღება გაგიჭირდება.

— ***თან გამოცდილებაც არ აქვთ...***

— ამ კუთხით მთლად კატასტროფული ვითარებაა. საქართველოს პრობლემებს სჭირდება სერიოზული გუნდი, რომ გაუმკლავდეს. დაკვეთებით ამის გაკეთება არ შეიძლება. ამერიკამ კოსოვო იმის გამოც აღიარა, რომ მუსლიმანური ანკლავი გაეკეთებინა. თვითონ რა დანაშაულიც ჩაიდინა, იმის კომპენსირება უნდოდა. ამის გამო ჩვენ არ უნდა დავზარალდეთ. კოსოვოს პრეცედენტის საქართველოში გადმოტანა ყოვლად დაუშვებელია. თუმცა, აქ სხვა პრინციპებიც მოქმედებს, რაც არა მარტო საქართველოს ეხება, არამედ მთელ სამყაროს — მთელი სამყარო განიხილება კოსოვოს ფენომენის თვალსაზრისით. ეს პრინციპები მაინცდამაინც ჩვენთვის კი არ არის შემოღებული, არამედ ბადეა. ბადეში რომელი თევზიც მოჰყვება, მას ამოათრევენ და სიცოცხლისუნარიანობის გარეშე დარჩება. ასეთ მდგომარეობაში ჩვენც აღმოვჩნდით. ამიტომ აქედან გამოსვლა ურთულესია. კატასტროფული ვითარებაა.

— ***თქვენ კარლა პონტის გამოძიება ახსენეთ. თუ შეიძლება მისი შედარება ტალიავინის კომისიის გამოძიებასთან?***

— ტალიავინის გამოძიება სავალდებულო არ ყოფილა. თუმცა, მისი დასკვნები საშუალებას იძლევა, რომ ევროკავშირმა თავისი სასამართლო ინსტანციები და მექანიზმები სრულად აამოქმედოს.

— ***რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ეს?***

— ევროკავშირის მექანიზმების ამოქმედება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პოლიტიკური ვითარება იქნება. ეს დასკვნა არის პოლიტიკასა და სამართალს შორის კომპრომისი, კანონიერებასა და სამართალს შორის თავისებური ბალანსი. პოლიტიკის უკან დგას ამერიკა, ხოლო კანონის უკან — ევროპა. ეს დასკვნა მათ შორის დიალოგის საშუალებაა.

— ***რუსეთი?***

— რუსეთი თითქოს შუაში დგას, მაგრამ თავისი სასარგებლო რაც იქნება, მხარს იმას დაუჭერს. პოლიტიკასთან დგომა იქნება სასარგებლო, იქ დადგება, კანონთან იქნება სასარგებლო — კანონთან დადგება. რუსი საკითხს პრაგმატულად უყურებს. მოუმწიფებელი არ არის. მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოს მართვის გამოცდილება აქვს და სადაც სახეიროს ნახავს, იქ დადგება.

— ***მაშინ სუსტი რგოლი სერბეთი აღმოჩნდა, რომელიც, ფაქტობრივად, რუსეთმაც მიატოვა. მოგეხსენებათ, საქართველოს შემთხვევაში ევროკავშირი და ამერიკა თითქოს ჩვენს მოკავშირეებად გამოდიან, თან უძლიერესები არიან. მეორე მხარეს დგას რუსეთი. როგორ ფიქრობთ, საქართველოში მომხდარი გენოციდის გამო, შეიძლება ისეთივე საერთაშორისო სასამართლო გაიმართოს, როგორც კოსოვოსთან დაკავშირებით? რუსეთი შეიძლება დაისაჯოს იმის გამო, რომ ჩვენი ტერიტორიების ოკუპაცია მოახდინა?***

— რუსეთი მკაცრად არც ერთ შემთხვევაში არ დაისჯება. ეს თითქმის გამორიცხულია.

— ***რატომ, ჩვენ ვართ სუსტები?***

— ჩვენ ვართ მოუმწიფებლები. არ ვართ სრულფასოვანი მოთამაშეები, პრინციპულები და არასწორად ვთამაშობთ. რაც ყველაზე მთავარია, სახელმწიფოებრივი შეგნება დაბალია. ფინელებმა, რომლებსაც სახელმწიფოებრიობა არასოდეს ჰქონიათ, ყოველთვის შვეციის შემადგენლობაში იყო, ისეთ გიგანტთან და მონსტრთან, როგორიც სტალინი იყო, გააფთრებული ბრძოლა გაუმართეს და რუსეთს წარმოუდგენელი ზარალი მიაყენეს. 300 ათასი საბჭოთა ჯარისკაცი ლიკვიდირებულ იქნა, რაც ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება. ფინელებმა გაიმარჯვეს, რადგან მათ გამარჯვება უნდოდათ. გამარჯვება უნდა გინდოდეს. ერთი და ორი კაცი — ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და მათი პატარა მიმდევრები გამარჯვების ბედს ვერ გადაწყვეტენ. გამარჯვება მთელმა ერმა უნდა მოინდომოს, როგორც კონსტანტინე გამსახურდია ამბობს. თუ მთელმა ერმა არ მოინდომა, მაკედონელიც ვერ გაამარჯვებინებსო. ფინალებმა მოინდომეს და იმიტომ დაიდო საზავო ხელშეკრულება. პარადოქსულია, მაგრამ იმხელა დანაკლისის მიუხედავად, ფინეთი რუსებისთვის საბჭოთა კავშირის დროსაც №1 პარტნიორი იყო ევროპიდან და დღესაც საკმაოდ მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს. იმიტომ, რომ რუსეთმა ის აღიქვა თანასწორუფლებიან პარტნიორად, რომელსაც პარტნიორობა შეუძლია — ომიც შეუძლია და მშვიდობაც. ჩვენს შემთხვევაში, საუბედუროდ, ამას ვერ ვიტყვი. ეს არის დაქსაქსული, გაორებული, დაქუცმაცებული ერი, რომელსაც არც ომი შეუძლია, არც დიპლომატია აქვს და, საერთოდ, ერთმანეთში ვერ შეთანხმებულა, ანუ ეროვნული თანხმობის პრინციპების რეალიზაცია, ჯერჯერობით, არ ძალუძს.

# გოდერძი ჩოხელის გარდაცვალებიდან ორი წელი გავიდა

ეკა ირემაშვილი

ცნობილი ქართველი მწერლისა და რეჟისორის გოდერძი ჩოხელის გარდაცვალებიდან ორი წელი გავიდა.

მწერალი, სცენარისტი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელი 1954 წლის 2 ოქტომბერს სოფელ ჩოხში (დუშეთის რაიონი) დაიბადა. შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის თეატრალური ინსტიტუტის კინოსარეჟისორო ფაკულტეტის (ლანა ღოღობერიძისა და ომარ გვასალიას სახელოსნო) დასრულებისას მისი სადიპლომო ნამუშევარი „მიწის მზომელები“ იყო, რომელმაც თავისი განსხვავებული რეჟისორული ხედვით კომისიის მოწონება დაიმსახურა.

რეჟისურასთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია გოდერძი ჩოხელის მწერლობა. მისი ჟანრი უმრავლესობისთვის ერთი სიტყვით გამოითქმის — საოცრად სევდიანი და მძიმე, თუმცა, ბატონი გოდერძი წერდა როგორც დრამატულ, ასევე ტრაგიკულ, სატირულ და ეპიკურ ჟანრებში. ყველაფრის მიუხედავად, მისი მიმდინარეობა რეალიზმს არასოდეს გასცდენია. გოდერძი ჩოხელის, როგორც მწერლის, დებიუტი შედგა ნაწარმოებით „წერილი ნაძვებს“.

როგორც თავად მწერალი აღნიშნავდა, მასზე უდიდესი გავლენა იქონიეს ვაჟა-ფშაველამ და რევაზ ინანიშვილმა. მწერალი ხშირად იუმორით აღნიშნავდა, ვაჟა-ფშაველას ცაში ღმერთები ათამაშებდნენ, ხელიდან გაუვარდათ, დედამიწაზე გადმოვარდა, მეც მის ჯიბეში ვიჯექი და ასე ჩამოვედი ამქვეყნადო. გოდერძი ჩოხელზე არანაკლები გავლენა მოახდინა მიხო მოსულიშვილმაც.

გოდერძი ჩოხელი ისეთი რომანების, მოთხრობების და ლექსების ავტორია, თავს რომ მონატრებზენ და ისევ თავისთან მიაბრუნებენ მკითხველს.

მწერალი და რეჟისორი ყოველთვის იყო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მას არც ჟურნალისტები აკლებდნენ თავის ყურადღებას, თუმცა, მწერალმა მოისურვა და თავისი ავტობიოგრაფია თავადვე დაწერა.



„დავიბადე დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში, უფრო სწორად, ჩოხში არა. ჩოხი ითვლებოდა წმინდა ადგილად. ჩოხის წმინდა გიორგის სალოცავი არის იქ და არ შეიძლება მშობიარობა (არც ადრე შეიძლებოდა, რა თქმა უნდა). ამიტომ დედაჩემი წავიდა ზევით მთაში თავის დედმამასთან, სოფელ ბურსაჭირში, მაგრამ იქამდე ვერ მივაღწიე და გზაში გავჩნდი, გზაზე დავიბადე. შემოდგომა იყო, ციოდა. დედაჩემს მდინარის გაღმა სახლი დაუნახია და იქ მისულა. ეს მწყემსების სახლი ყოფილა, მაგრამ არც იმათ შეუშვიათ. სახლშიც არ შეიძლებოდა მშობიარეს შესვლა. გომურში შესულა და ის ღამე იქ გაგვიტარებია. ორმოცი დღე დავრჩენილვარ ბურსაჭირში და მერე დამაბრუნეს ჩოხში. ჩოხში დავამთავრე რვაწლიანი სკოლა. პირველად ფილმი ჩოხში ვნახე, მეოთხე კლასში და იქიდან გადავწყვიტე, რომ კინოსთვის დამეკავშირებინა ჩემი ბედი. შემდეგი ორი წელი ფასანაურში ვსწავლობდი, საშუალო სკოლაში. შემდეგ ჩავაბარე შოთა რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში, კინომცოდნეობის ფაკულტეტზე, მაგრამ გადავედი კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც მოგვიანებით შეიქმნა.

ჩემი პირველი საკურსო ფილმი იყო „ნამეხარი მუხა“. მეორე საკურსო ფილმი იყო „ადგილის დედა“, რომელმაც მიიღო გრან-პრი ქალაქ ობერჰაუზენში, მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალზე. პრიზის მისაღებად არ წავსულვარ. არც ვიცოდი, ჩემი ფილმი ფესტივალზე თუ იყო გაგზავნილი.

ინსტიტუტი დავამთავრე 1979 წელს და იმავე წელს მიმიღეს დამდგმელ რეჟისორად „ქართულ ფილმში“. მწერლობა დავიწყე 1977 წელს. საკურსო ფილმებისთვის ვწერდი სცენარებს და შემდეგ დამიბეჭდეს, როგორც მოთხრობები. რედაქციაში რამდენიმე სცენარი დამიწუნეს და სხვა დაგვიწერეო, მეუბნებოდნენ. თურმე, თავიდანვე მოსწონებიათ და იმიტომ მაწერინებდნენ. პირველი გამოხმაურება ბატონებმა ნოდარ წულეისკირმა და ნიკო კეცხოველმა დამიწერეს.

მერე, ჩოხელები ისეთი ჯიუტები ვართ... ჩოხელი ქვაზე შედგა და აღარ ჩამოდიოდა. ეხვეწნენ, ჩამოდი, გაცივდებიო, მაგრამ არ ჩამოვიდა. ბოლოს მართლა გაცივდა და მოკვდა... ჰოდა, მეც დღემდე ჯიუტად ვწერ...

ჩემი პირველი წიგნი 1980 წელს დაიბეჭდა გამომცემლობა „მერანში“, რომელსაც „წერილი ნაძვებს“ ეწოდებოდა. ჩემი პედაგოგი იყო ქალბატონი ლანა ღოღობერიძე და აღფრთოვანებული იყო ჩემი სცენარებით და მოთხრობებით. მაწერინებდა და მაწერინებდა... სადებიუტო ფილმი იყო „ბაკურხეველი ხევსური“.

1982 წელს მოვიყვანე ცოლი — ნინო. მყავს ორი შვილი — ლუკა და ნიკოლოზი. ჩოხში მამა მყავს. დედა აღარ მყავს. მამა 78 წლისაა. მყავს ერთი და, ელისო, გათხოვილია სოფელ ჭართალში. სკოლის მასწავლებელია — ასე გადმოსცემს თავის ავტობიოგრაფიას მწერალი და რეჟისორი.

გოდერძი ჩოხელის პატივსაცემად მის მშობლიურ ჩოხში უკვე დაწესდა სახალხო დღესასწაული „გოდერძობა“, სადაც მისი მშობლიური კუთხის კულტურა და ხელოვნებაა წარმოდგენილი. პირველად ეს დღესასწაული გასულ წელს ეთერ თათარაიძისა და ამირან არაბულის ძალისხმევით გაიმართა.

გოდერძი ჩოხელი 2007 წლის 16 ნოემბერს გარდაიცვალა. იგი ყოველთვის ამბობდა, რომ ჩოხში დაესაფლავებინათ, მაგრამ როგორც უწმინდესი ბრძანებს, ღვთის ნებით და დაშვებულობით ხელოვანი სამთავაროს დედათა მონასტრის წმინდა მიწაზე დაიკრძალა.

ხელოვანის გარდაცვალების თარიღი მისმა ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, ახლობლებმა და მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებმა მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში მის საფლავთან შეკრებით აღნიშნეს და მწერლის ხსოვნას პატივი მიაგეს.

გამომცემლობა „გორგამ“ კი გოდერძი ჩოხელის მოთხრობების კრებული გამოსცა, რომელსაც მწერლის ერთ-ერთი მოთხრობის სახელწოდება „დამიბრუნეთ ჩემი ირმები“ დაარქვა. მასში ჩოხელის 15 მოთხრობაა შესული და ბავშვებისთვისაა განკუთვნილი.

**როგორც მწერლის მეუღლემ ქალბატონმა ნინომ გვითხრა:**

— ამ წიგნში გოდერძის ცნობილი მოთხრობებია შეტანილი, მათ შორის „ცასწავალა“, „ხუჭუჭულა“, „ბებო“, „დამიბრუნეთ ჩემი ირმები“ და გოდერძის სხვა ნაწარმოებები. ჩემთვის და ჩემი ოჯახისთვის ამ წიგნის გამოცემა ძალიან სასიამოვნოა, რადგან წიგნი ძალიან კარგი დიზაინით არის დამზადებული. გოდერძის ასეთი ილუსტრირებული წიგნი ჯერ არ გამოსულა. განსაკუთრებით იმიტომაა სასიამოვნო, რომ ბავშვებისთვის და მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი. გოდერძის სკოლებში ხშირად ჰქონდა შეხვედრები. პედაგოგები, მშობლები ეკითხებოდნენ ხოლმე, რომელი ნაწარმოები შეიძლება წავაკითხოთ ბავშვებს სხვადასხვა კლასშიო. გოდერძის გარდაცვალების შემდეგ იგივეს მეც ხშირად მეკითხებიან და ამაზე პასუხის გაცემა, ჩემთვის ძნელია, რადგან ამის გაკეთება თვითონ გოდერძისაც უჭირდა — ამბობდა, მე საბავშვო მოთხრობებს არ ვწეროო. პერიოდული საბავშვო გამოცემები სთხოვდნენ ხოლმე, ბავშვებისთვის მოთხრობები მოგვაწოდეო, მაგრამ ამბობდა, არა მაქვს მოთხრობები ბავშვებისთვისო.

***— ამ წიგნისთვის ნაწარმოებები თქვენ შეარჩიეთ?***

— არა. ამ წიგნისთვის გოდერძის მოთხრობები ფსიქოლოგმა ლელა გაფრინდაშვილმა შეარჩია. ძალიან საინტერესო წიგნია. მერწმუნეთ, ეს მოთხრობები მარტო ბავშვებს კი არა, მათ მშობლებსაც დააინტერესებთ. მჯერა, ბავშვები ამ მოთხრობებს რომ წაიკითხავენ, უკვე იმის სურვილი გაუჩნდებათ, რომ კიდევ წაიკითხონ გოდერძი ჩოხელი, უკვე დიდობაში.

***— წიგნი უკვე იყიდება?***

— დიახ, წიგნი უკვე გაყიდვაშია. ყველა მშობელს ვურჩევ შეიძინონ და თავის შვილებს წააკითხონ.

**მაკა ყოლბაია, გამომცემლობა „გორგა“:**

— ჩვენი გამომცემლობა ორი წელია, რაც დაარსდა. ჩვენი გამომცემლობის ძირითად მიმართულებას საბავშვო ლიტერატურული და შემეცნებითი ტიპის გამოცემები წარმოადგენს. დღეს შინაარსობრივად და ვიზუალურად მაღალხარისხიანი პროდუქცია წარმატების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. ჩვენს გამომცემლობას პრიორიტეტული მიმართულებები და პროექტები გააჩნია და ამ გზიდან გადახვევას არ ვაპირებთ.

# ანა კალანდაძის პროზაული მინიატურები საჯაროა

ეკა ირემაშვილი

**ცნობილი ქართველი პოეტის ანა კალანდაძის პროზაული მინიატურები უკვე საჯაროა.**

გამომცემლობა „ინტელექტმა“ ქართველი შემოქმედის წიგნს „სიყვარულისგან ფართოვდება ქვეყანა“ უწოდება. ანა კალანდაძის პროზაული მინიატურების პრეზენტაცია მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში გაიმართება.

ქართველი პოეტი ანა კალანდაძე ჩოხატაურში, სოფელ ხიდისთავში დაიბადა. საშუალო სკოლა ქუთაისში დაამთავრა, იმავე წელს სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც კავკასიური ენების სპეციალობით დაამთავრა.

ანა კალანდაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე მუშაობდა. ეს წოდება სამეცნიერო ხარისხის დაუცველად მას ინსტიტუტის გადაწყვეტილებით მიენიჭა. ქართველი პოეტი წლების განმავლობაში მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი კომისიის წევრად, მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წევრად.

ანა კალანდაძემ ლექსების წერა დაიწყო 11 წლის ასაკში. პირველი ლექსები გაზეთ „ლიტერატურა და ხელოვნებასა“ და ჟურნალ „მნათობში“ გამოაქვეყნა. ლექსების პირველი კრებული კი გამოსცა 1953 წელს, რომელმაც დიდი პოპულარობა და საყოველთაო სიყვარული მოუტანა. ანა კალანდაძის პოეტური კრებულები სხვადასხვა წლებშიც გამოიცა. მისი ლექსები თარგმნილია რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, პოლონურ და სხვა ენებზე.

ყველაზე სრულია ანა კალანდაძის ორტომეული, სადაც ორიგინალური ლექსების გარდა დაბეჭდილია სტეფან მალარმეს, ალექსანდრე პუშკინისა და სხვა პოეტური თარგმანები, აგრეთვე წერილები, ესეები და მოგონებები.

კალანდაძის პოეზიამ იმთავითვე მიიპყრო ყურადღება ლექსის სინატიფითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. მან ქართულ პოეზიაში ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ კვლავ გამოხატა სულიერი სინაზე და სიფაქიზე. მისი შემოქმედების ყველა თემა თუ მოტივი ლირიკული თვითგამოხატვით ცხადდება და უაღრესი ინტიმურობის ელფერს იძენს. მის ლექსებში აქტუალურია მშვიდობიანი ცხოვრების დასაწყისის თემა, ბუნების განცდა. ისტორია პოეტის ლექსში არასოდეს არ გვევლინება გაყინული სახით და თანადროულობაც პოეტის წარმოდგენაში ხშირად იწვევს გარდასულ დროთა ცხოველ მოგონებას. ანა კალანდაძის პატრიოტიზმი გამოხატავს ერის არსებით თვისებათა სიკეთის, ქედუხრელობის, სიდიადის, შეწყალების ორგანულ განცდას, მისი ლექსის ჟღერადობა ეფუძნება თანამედროვე ადამიანის ზნეობრივი სიწმინდისა და ამაღლების დაცვას

სიყვარული ანას შემოქმედებაში განუმეორებელი კდემით აღსავსე, ამაღლებული და სევდანარევი რომანტიკული განცდაა. მისი პოეტური სტილი სისადავითა და ჰარმონიული ფორმით გამოირჩევა.

ქართველ პოეტ-ქალთაგან ანა კალანდაძის პოეზია ყველაზე მეტად აისახება მუსიკალურ ხელოვნებაში, რადგან მან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩენისთანავე მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება საკუთარი, ორიგინალური ხელწერით.



კომპოზიტორმა მერი დავითაშვილმა და ჟურნალისტმა თეიმურაზ ნაცვლიშვილმა პირველებმა მიმართეს ანა კალანდაძის პოეზიას ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში და შექმნეს ვოკალური ნაწარმოებები: სიმღერა „საქართველოო ლამაზო“, რომანსები „არაბი ხარ“ და „თუთა“.

ანა კალანდაძის პოეზიისადმი სათუთი დამოკიდებულებით გამოირჩევა კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი. ამაზე მოწმობს მის მიერ პოეტის ტექსტზე შექმნილი მეოთხე სიმფონია, რომელიც განკუთვნილია სოპრანოს, ტენორისა და ფორტეპიანოსათვის. ანა კალანდაძის ლექსებზე დაწერეს სიმღერები აგრეთვე გივი ციციშვილმა, ტარიელ ბაქრაძემ, ჯემალ ბეგლარიშვილმა, კახა ცაბაძემ და სხვა კომპოზიტორებმა.

ანა კალანდაძე არის „საპატიო ნიშნის“ ორი ორდენისა და ღირსების ორდენის მფლობელი. 1983 წელს იგი თბილისის საპატიო მოქალაქედ დაასახელეს. ათი წლის შემდეგ კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს. ქართველ პოეტს ციკლისათვის „თავაწეული ქართული დროშები“ მიენიჭა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია. იმავე წელს გახდა გალაკტიონ ტაბიძის სახელობის პრემიის ლაურეატი. ასევე მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია პუბლიცისტიკის დარგში თხზულებათა მეორე ტომში შესული პუბლიცისტურ-ესეისტური წერილებისათვის. 2007 წელს მიიღო ლიტერატურული პრემია „საბა“ ლიტერატურაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის. პოეტის განცხადებით, ეს უკანასკნელი მისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ჯილდო გახლდათ, რადგან ამ წოდებით ნათლად ჩანდა, რომ მისი, როგორც პოეტის მისია შესრულებული იყო.

ანა კალანდაძე 2008 წლის 11 მარტს ინსულტის შედეგად გარდაიცვალა. მადლიერმა ქართველმა საზოგადოებამ მას სამუდამო განსასვენებელი მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში მიუჩინა.

ანა კალანდაძის პროზაული მინიატურების ავტორთა განცხადებით, წიგნში შესულია ანა კალანდაძის ის პროზაული მინიატურები, ცნობილი ადამიანების მოგონებები და პორტრეტები, რომელსაც მკითხველი პირველად გაეცნობა.

ანა კალანდაძის პროზაული მინიატურების წიგნის „სიყვარულისგან ფართოვდება ქვეყანა“ მიხეილ თუმანიშვილის კინომსახიობთა თეატრში 17 ნოემბერს გაიმართება.


## განცხადებები

- შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.
- იყიდება! ნებისმიერი სახეობის, ასაკის, ზომის და რაოდენობის წიწვოვან და ფოთლოვან ხე-მცენარეთა ნერგები. ფასი 5-დან 50 ლარამდე. ტელ: 96-62-96 საღამოს, მობ: 897-96-62-96.
- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი“. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.
- ექიმი-გინეკოლოგი ვმკურნალობ ქალურ დაავადებებს, სქესობრივი კონტაქტებით გადამდებ სნეულებებსა და ბუასილს. ორსულთა აღრიცხვაზე აყვანა და კონსულტაცია უფასოა. ტელ: 999-533.

გულრიფშის რაიონის ყოფილ მცხოვრებთა საყურადღებოდ: გამოცემულია სოფელ ვარჩის მკვიდრის ხუხუტი ქუხილავას ავტორობით წიგნი „ეკლიანი გზებით“. შეძენის მსურველებს შეუძლიათ დაგვიკავშირდნენ შემდეგ ტელეფონებზე: 72-51-12; 899-56-82-31.

ამა წლის 22 ნოემბერს, ქ. თბილისში, სამების ტა არში ნოზაძეების გვარს დალოცავს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.
ინფორმაციისათვის დარეკეთ შემდეგ ტელეფონებზე:
897-17-91-95; 899-535-444.




მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.
დარეკეთ!
მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607
ახალი ქსელები 700 608
გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ **სწრაფი გადახდის აპარატები**
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).
ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# საჩოგბურთო სეზონს რვანი შემორჩნენ

პარიზში დასრულდა წლის ბოლო „მასტერსის“ ტურნირი ჩოგბურთში, რომელიც სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა მოიგო. გადამწყვეტ მატჩში, რომელიც თითქმის 3 საათს გაგრძელდა, ჯოკოვიჩმა 6:2, 5:7;7:6 მასპინძელი გაელ მონფილსი დაამარცხა და თავის მე-16 ტიტულთან ერთად საკუთარი ხაზინა 450.000 ევროთიც შეავსო.

ამ მატჩის შემდეგ ჯოკოვიჩს ერთი კვირა დარჩა ლონდონში გასამართი შემაჯამებელი ტურნირისთვის მოემზადოს, ხოლო მონფილსს შეუძლია ჩემოდანი მშვიდად ჩაალაგოს და სადმე დასასვენებლად გაემგზავროს — მისთვის წლევანდელი სეზონი დასრულდა. მეტიც, არა მარტო მონფილსისთვის — 8 ჩოგბურთელის გარდა, რომელიც შემაჯამებელ ტურნირზე ითამაშებს, თვე-ნახევარი მოუწევთ დასვენება.

რაც შეეხება ბოლო „მასტერსის“ ფინალს, ისეთი 2 მებრძოლი ხასიათის ჩოგბურთელებს შორის, როგორიც ჯოკოვიჩი და მონფილსია, ღირსეული დახურვა გამოდგა სეზონის. სერბმა და ფრანგმა ჩოგბურთელმა ფინალი ისეთ ტრილერად აქციეს, რომლის სცენარის დაწერა წინასწარ შეუძლებელია. ყველაფერი მხოლოდ გადამწყვეტი, მესამე სეტის ტაიბრეიკზე გაირკვა, ხოლო ნამატჩევს ჯოკოვიჩმა მეტოქეს ყველაზე ამოუცნობი ჩოგბურთელი უწოდა.

თავად მონფილსი კი თავის თავს სულაც არ თვლის ექსტრაორდინალურ ჩოგბურთელად. უბრალოდ, მშვიდად თამაშობს მატჩიდან მატჩამდე და მოგებას ცდილობს. თუმცა, სწორედ ბოლო ფინალი არ შეიყვანა მშვიდი მატჩების რიგებში.

— სულაც არ ვთვლი თავს დაღლილად. ვიცი, რომ მძიმე ფინალი მელის და მის მოსაგებად სიცოცხლეს გავიღებ. ხანგრძლივი მეოთხედფინალური და ნახევარფინალური მატჩების ჩატარება მომიწია. ძალიან მინდა ამ ფინალის მოგება და ჩემს სხეულს არ მოვუსმენ. ყველაფერს გავიღებ, რათა ჯოკოვიჩი დავამარცხო, — ამბობდა მატჩის წინ ფრანგი ჩოგბურთელი.

მაგრამ მოსაგებად, მხოლოდ მონფილსის სურვილი საკმარისი არ აღმოჩნდა. ყველაფერთან ერთად, ამ ჩოგბურთელების ურთიერთსტატისტიკაც კი სერბი ჩოგბურთელის უდავო უპირატესობით გამოიყურებოდა. წლევანდელი სეზონის მიხედვითაც ჯოკოვიჩი უფრო კარგ თამაშს აჩვენებდა — სერბმა წელს მე-10 ფინალი ითამაშა, ხოლო რამდენიმე კვირის წინ სულაც ფედერერს მოუგო მშობლიურ შვეიცარიაში. მონფილსს კი აქამდე მხოლოდ ერთი ფინალი ჰქონდა ნათამაშევი და ისიც მოგებული, მაგრამ საშინაო არენაზე მოგება ყველაფრად ულირდა. თუ აფროამერიკული წარმოშობის ფრანგი ამ ტურნირს მოიგებდა, არა მარტო მეოთხე ფრანგი გახდებოდა, ვისაც ეს ტურნირი მოუგი, არამედ წლის ბოლო ტურნირის შემდეგ საუკეთესო 10 ჩოგბურთელთა სიაშიც მოხვდებოდა. ჰო, „მასტერსის“ ტურნირის ფინალში კი საერთოდ „დებიუტი“ ჰქონდა — არადა, ტურნირის დაწყების წინ არც არავინ ფიქრობდა, რომ მონფილსი ფინალს უწევდა.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ მსოფლიოს პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი ამ ტურნირის პირველი წრეში გამოვარდა, მეორე ჩოგანმა რაფაელ ნადალმა კი ნახევარფინალამდე გააღწია და შვეიცარიელთა სხვაობა შეამცირა. სამაგიეროდ, ნადალმა ჯოკოვიჩთან წააგო, ვინც რეიტინგში მესამეა — ერთია, ამ ჩოგბურთელებს ერთმანეთთან შესახვედრად დრო ლონდონშიც აქვთ.

ყველაფერთან ერთად პარიზულმა ტურნირმა სწორედ ის 8 ჩოგბურთელი გამოავლინა, რომლებიც წლის ბოლო ტურნირზე ითამაშებენ. 6 მათგანს ეს მანამდეც ჰქონდათ მოპოვებული, დანარჩენი 2 საგზური კი რუსმა ნიკოლაი დავიდენკომ და ესპანელმა ფერნანდო ვერდასკომ შეავსეს.

**სალონდონოდ გამზადებული ჩოგბურთელები არიან: როჯერ ფედერერი (შვეიცარია), რაფაელ ნადალი (ესპანეთი), ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი), ენდი მიურეი (დიდი ბრიტანეთი), ხუან მარტინ დელ პოტრო (არგენტინა), ენდი როდიკი (აშშ), ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი), ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი).**

# ბუფონისა და კასიალიასის ასიანები

კვირას ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს იტალიისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები შეხვდნენ და ერთმანეთს უგოლოდ გაეყარნენ. ეს მატჩი კიდევ იმით იყო აღსანიშნავი, რომ საიუბილეო გამოდგა იტალიელთა მეკარე ჯან ლუიჯი ბუფონისთვის, რომელმაც მე-100 მატჩი ითამაშა „სკუადრა აძურას“ შემადგენლობაში.

ბუფონის იუბილე გასაკვირი არ არის, რადგან მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მეკარე სტაბილურად დგას იტალიელთა კარებში. გასაკვირი უფრო ის არის, რომ ამ მატჩის შემდეგ აპენინელთა მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ ბუფონი ნაკრებიდან დაითხოვა. ვერ გეტყვით სამუდამოდ მოკვეთა თუ არა, მაგრამ ფაქტია, რომ ხვალ შვედეთთან მატჩისთვის ბუფონი ნაკრების განკარგულებაში არ იმყოფება.

შესაძლოა, ლიპის გადაწყვეტილება სხვა ფეხბურთელების გამოსაცდელად ავხსნათ, რადგან ბუფონთან ერთად ლიპიმ კიდევ 3 წამყვან ფეხბურთელი დაუბრუნა თავიანთ გუნდებს — ბუფონის თანაგუნდელი იუვენტუსელი ფაბიო კანავარო და მილანელები — ანდრეა პირლო და ჯანლუკა ძამბროტა.

რადგან ბუფონის იუბილე აღვნიშნეთ, გეტყვით იმასაც, რომ თავისი მე-100 სანაკრებო მატჩი ითამაშა ესპანელთა მეკარე იკერ კასილიასმაც. მისმა ესპანეთმა კი ხაბი ალონსოს დუბლით 2:1 დაამარცხა არგენტინის ნაკრები, რომელთა მხრიდან ლეო მესი გამოირჩა.

# ახალგაზრდული შვეიცარიაში სახეშეცვლილი ჩავიდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

შევეცდებით ეს კარგად გამოვიყენოთ. ჩვენი დიდი ნკლი კი ბავშვური შეცდომები და მომენტების გამოუყენებლობაა. გასაკვირია, მაგრამ ფეხბურთელები ვარჯიშებზე კარგად გამოიყურებიან, მოედანზე კი რასაც ვეუბნები, ვერ აკეთებენ. ხიდეშელისა და სანაიას დამატება დაცვაში საქმეს გაგვიიოლებს, რადგან ირლანდიასთან გამოუცდელი ფეხბურთელები გვყავდა და გოლიც სწორედ მათი შეცდომის შედეგად მივიღეთ — მცველებმა დროულად ვერ დააზღვიეს ერთმანეთი. სხვათა შორის, ირლანდიაშიც სწორედ ასე გაგვიტანეს. წინასწარ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ შევეცდებით შვეიცარიელებს ტოლი არაფერში დავუდოთ, — გვითხრა გაბელიამ შვიცარიაში გამგზავრების წინ.

ლუგანოში გაბელიამ შემდეგი ფეხბურთლები იახლა, ხოლო ვის გამოიყვანს ძირითად შემადგენლობაში, მატჩის წინ გადაწყვეტს.

**მეკარეები: როინ კვასხვაძე (ზესტაფონი), რევაზ თევდორაძე (გაგრა);**

**მცველები: ლევან კაკუბავა, გულვერდ თომაშვილი, გიორგი გეთიაშვილი (ყველა დინამო), გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი), გიორგი ხატიაშვილი (ლოკომოტივი), ნიკა კვეკვესკირი (ბაია), ამირან სანაია (ლე მანი, საფრანგეთი);**

**ნახევარმცველები: მურთაზ დაუშვილი (ზესტაფონი), ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია), ვაჟა ნემსაძე (დინამო), თორნიკე ოქრიაშვილი (გაგრა), თემურ შონია (სპარტაკი), ლევან კუტალია (სლავია, ბოსნია);**

**თავდამსხმელები: ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია), გიორგი ჭედია (ოლიმპი), გიორგი გაბედავა (გაგრა), გიორგი ივანიშვილი (ვოლენი, შვეიცარია).**

ჩვენი ჯგუფის სხვა მატჩებში დღეს სომხები საკუთარ მოედანზე ირლანდიის ნაკრებს დაუხვდება, ხოლო ხვალ თურქები ესტონელებს უმასპინძლებენ.

# *ანდრეი შევჩენკო:* „შევეცდებით შეცდომები დონეცკში გამოვასწოროთ“

უკრაინის ნაკრებს შესანიშნავი შანსი მიეცათ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მეორედ ითამაშოს. უკრაინელებმა ჯერ ჯგუფში მეორე ადგილის დასაკავებლად იბრძოლეს და მხოლოდ იმის წყალობით მოახერხეს პლეი-ოფში გასვლა, რომ ინგლისელებს ხორვატიის ნაკრებთან ძველი ანგარიშები ჰქონდათ გასასწორებელი, მაგრამ ამაში ყველაზე ნაკლებად სწორედ უკრაინელები არიან დამნაშავეები. ჯგუფურ ეტაპზე შესრულებული პროგრამა მინიმუმის შემდეგ უკრაინის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში წამსვლელი საგზურის მოპოვება ბერძნებთან ორმატჩიან ბრძოლაში უხდებათ. თუმცა, უკრაინელებმა საქმე სანახევროდ გააკეთეს — პირველი მატჩი, რომელიც ათენში გაიმართა, უგოლო ფრედ დასრულდა და ახლა უკრაინის ნაკრები მოედნის უპირატესობით დაუხვდება მეტოქეს.



პირველი მატჩის საუკეთესო მოთამაშედ კი უკრაინელთა კაპიტანი ანდრეი შევჩენკო იქნა დასახელებული.

***— ანდრეი, პირველ ტაიმში თანაგუნდელებს რამდენჯერმე მიეცით შენიშვნა, უფრო კონკრეტულად ოლეგ გუსევის მიმართ იყავით კრიტიკული. რაში გამოიხატებოდა თქვენი უკმაყოფილება?***

— იყო ერთი კონკრეტული მონეტი, როდესაც ბურთი ჩემკენ მოდიოდა და კარგ პოზიციაში ვიყავი, მაგრამ ოლეგი ბურთს გზად შეეხო, რომელმაც მიმართულება შეიცვალა. ერთი შეხედვით არაფერია, მაგრამ სწორედ ასეთი წვრილმანები წყვეტენ შედეგის მნიშვნელობას. პოზიცია ძალიან კარგი მქონდა და არავინ იცის, რა მოხდებოდა შემდეგში. მეორე მხრივ ვხვდები, რომ თანაგუნდელი ვერ მხედავდა და ამიტომ არ ვბრაზდები მასზე. მატჩის შემდეგ მსგავსი ემოციები წამიერად ქრება და ისევ მეგობრები ვართ.

***— როგორ ნაწილდება ფუნქციები შეტევისას თქვენსა და არტიომ მილევსკის შორის?***

— ვთვლი, რომ ორივე მათგანმა ძალიან კარგად ვითამაშეთ და ფუნქციებს პერიოდულად ვცვლიდით. შეტევის წინა ხაზზე ხან მე ვიყავი, ხანაც — მილევსკი, მაგრამ ამით ჩვენ ურთიერთგაგებას არაფერი მოკლებია. საერთოდ, მილევსკისთან თამაში ძალიან მეადვილება.

***— მთლიანად მატჩზე რას იტყოდით?***

— საბერძნეთის ნაკრების წინააღმდეგ პირველად არ მითამაშია და მინდა აღვნიშნო, რომ წინა შეხვედრების მსგავსად ესეც ძალიან რთული აღმოჩნდა. თამაშის შედეგს პოზიტიურად ვაფასებ, მაგრამ უფრო დარწმუნებით ამაზე საუბარი მხოლოდ საშინაო განმეორებითი მატჩის შემდეგ შეიძლება.

***— რა იყო ძირითადი სირთულეები, რომელსაც ათენის ოლიმპიურ სტადიონზე წააწყდით?***

— პირველ რიგში ძალიან რთული იყო მოედანზე თამაში. მინდვრის ხარისხმა მაინცდამაინც ვერ მომხიბლა. ამასთან, რამდენიმე კარგი შანსი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, მაგრამ ეს უკვე ისტორიაა და ამაზე ფიქრი აღარ მინდა. შევეცდებით შეცდომები დონეცკში გამოვასწოროთ, სადაც 50.000 მაყურებელი შეიკრიბება. დარწმუნებული ვარ, მათი მხარდაჭერა დაგვეხმარება იმ იღბლიანი გოლის გატანაში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურს მოგვიტანს.

***— ეთანხმებით იმ აზრს, რომ ორივე გუნდი შეშინებული იყო, რომ გოლი არ გაეშვათ და თამაში უფრო დაცვაზე ორიენტირებულებმა ააგეს?***

— მთლიანობაში კი. ჩვენ დაცვაში ძალიან სოლიდურად ვითამაშეთ, არ დაგვიშვია არც ერთი უხეში შეცდომა. არანაკლებ შესაქებია ჩვენი გუნდის მეკარეც.

***— რას გრძნობდით მატჩის დასრულების შემდეგ?***

— განსაკუთრებულს არაფერს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნებთან ორმატჩიანი დაპირისპირება გვაქვს, ჩავთვალოთ, რომ მხოლოდ პირველი ტაიმი ვითამაშეთ. მეორეში უფრო უკეთ უნდა ვითამაშოთ და რაც მთავარია, გავიტანოთ.

***— და მაინც, სამხრეთ აფრიკის მიმავალი გზა უფრო შემოკლდა.***

— არ მინდა მოვლენებს გავუსწრო. ჯერ კიდევ მძიმე თამაში გველის. შემიძლია მხოლოდ ერთს შეგპირდეთ — ჩემი და მთლიანად გუნდის მონდომება გაორმაგდება.

***— უკრაინელი ჟურნალისტების აზრით საბერძნეთის ნაკრებს რაიმე განსაკუთრებული მოედანზე არაფერი უჩვენებია. მეტიც, უკრაინის ნაკრებს თავისუფლად შეეძლო მატჩის მოგება.***

— შეეძლო, მაგრამ ვერ მოიგო. ამიტომ საჭიროა მიღწეულით დავკმაყოფილდეთ და ჩვენს შეცდომებზე მეტი ვიმუშავოთ. იმის გაფიქრებაც კი არ შეიძლება, რომ სტუმრად ფრე ვითამაშეთ და ამიტომ საშინაო მატჩში მეტი უპირატესობა გვექნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ოტო რეჰაგელის გუნდი ბოლომდე იბრძოლებს, როგორც ეს პირველი მატჩისას გააკეთა.

***— ესე იგი გინდათ თქვათ, რომ პირველი მატჩის ანგარიში ლოგიკური იყო?***

— უფრო მართალი იქნება, თუ ასე ვიტყვი — ბურთს ძალიან კარგად ვაკონტროლებდით, ბერძნებს სივრცეებს ვუზღუდავდით და არ ვაძლევდით საშუალებას ჩვენს კართან რაიმე სერიოზული საფრთხე შეექმნათ. ბერძნები უფრო სტანდარტული სიტუაციებით და სუმბურული ჩაწოდებებით დამამახსოვრდნენ.

***— უკრაინის ნაკრების სტანდარტულ სიტუაციებზეც გკითხავ. ბევრი ელოდა, რომ მარცხენა ფლანგზე დანიშნული საჯარიმოების ჩაწოდების უფლებას იაროსლავ რაკიცკის დაუთმოვდით. რატომ არ მოხდა ასე?***

— საქმე ის არის, რომ რაკიცკის მუშა ფეხი მარცხენაა და ძლიერად ურტყამს კარში. მარცხნივ კი საჯარიმოები ისეთ პოზიციებზე დაინიშნა, საიდანაც კარში დარტყმა შეუძლებელი იყო. ერთმანეთში მოკლე თათბირი მოვაწყვეთ და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ იმ სტანდარტულებს მე შევასრულებდი. შემდეგში, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენს გუნდს მიეცემა შანსი, რათა რაკიცკის მარცხენა ფეხით კარში დარტყმა შეეძლება, ამ მისიას იაროსლავი შეასრულებს.

***— პირველ მატჩში რა არ გამოგივიდათ იმ ჩანაფიქრებიდან, რომელიც მატჩის დაწყებამდე გქონდათ?***

— გოლის გატანა.

***— მეტი არაფერი?***

— არა. ყველა სხვა ჩანაფიქრი და დავალება შევასრულე.

***— რა გითხრათ მატჩის შემდეგ ალექსეი მიხაილიჩენკომ?***

— განსაკუთრებით გამოყო, რომ უკრაინის ნაკრებმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად მოახერხა, რომ საპლეიოფო მატჩებისას სტუმრად გოლი არ გაუშვა.

***— თამაშის მსვლელობისას თუ ფიქრობდით იმაზე, რომ ერთი ყვითელი ბარათი უკვე გქონდათ და მეორეს მიღების შემთხვევაში საპასუხო მატჩის გამოტოვება მოგიხდებოდათ?***

— არანაირად. საერთოდ, კორექტული მოთამაშე ვარ და არც იმ მატჩში არ ყოფილა იმის საშიშროება, რომ ყვითელ ბარათს მივიღებდი. მშვიდად ვთამაშობდი და ვცდილობდი ნერვები არ ამეშალა არც ჩემთვის და არც თანაგუნდელებისთვის.

***— ზუსტად ასე თამაშობდნენ სხვა თანაგუნდელებიც, არავის არ სურდა დონეცკში გასამართი მატჩის გამოტოვება.***

— კარგის მეტი რა უნდა ვთქვა. ბიჭები მართლაც ჩინებულად გაისარჯნენ.

***— გარედან ისე ჩანდა, რომ მსაჯი მატჩის მიმდინარეობისას ფეხბურთელებს ბრძოლის საშუალებას აძლევდა და ზედმეტად არ უსტვენდა.***

— გეთანხმებით. მსაჯმა მართლაც შესანიშნავად გაართვა თავი საქმეს და ფეხბურთელებს მოგვცა იმის საშუალება, რომ მაყურებლისთვის ნამდვილი ბრძოლა გვეჩვენებინა.

# ნედველი ბრუნდება

გუშინდელმა ტუტუსპორტის გამოცემამ ტურინის „იუვენტუსის“ გულშემატკივრები ძალიან გაახარა — გუნდში ჩეხი პაველ ნედველი ბრუნდება. მას შემდეგ, რაც ნედვედმა ამ ზაფხულს ფეხბურთს თავი დაანება, ძალიან ხშირად აცხადებდა, რომ უფეხბურთოდ ვერ ძლებს და დიდი სურვილი აქვს ისევ დაბრუნდეს სპორტის ამ სახეობაში — და ნედვედიც ბრუნდება, მაგრამ არა ფეხბურთელად.

ტუტოსპორტის ინფორმაციით ნედვედი ჩირო ფერარას სამწვრთნელო შტაბში შევა. გუშინვე კლუბის სპორტული დირექტორი ალესიო სეკო და ნედვედი კონტრაქტის პირობებს შეათანხმებდნენ. იმავე ტუტოსპორტის ცნობით, სანამ ნედვედი ფერარასთან დაიწყებს მუშაობას, მანამდე რამდენიმე ხნით პრიმავერას კლუბში იმუშავებს.

ამ ნაბიჯით „იუვენტუსის“ ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ნედვედის გამოცდილება და ავტორიტეტი მნიშვნელოვნად გააძლიერებს ახალგაზრდა ფეხბურთელების განვითარებას.

## შედეგები

### ფეხბურთი

**მჩ-2010. შესარჩევი ეტაპი. პლეი-ოფი**

| | |
|---|---|
| კოსტა რიკა-ურუგვაი | 0:1 |

**მჩ-2010. შესარჩევი ეტაპი. აფრიკა**

| | |
|---|---|
| განა-მალი | 2:2 |

**მჩ-2009. (17)**

**მესამე ადგილისთვის**

| | |
|---|---|
| კოლუმბია-ესპანეთი | 0:1 |

### ფინალი

**ნიგერია-შვედეთი 0:1**

**ეჩ (21). საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| სერბეთი-ნორვეგია | 3:2 |
| შვედეთი-ყაზახეთი | 5:1 |

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ერაყი-აზერბაიჯანი | 1:0 |
| ა.გ.ემირატები-ჩეხეთი | 0:0(3:2პ) |

**იტალია. სერია ბ**

| | |
|---|---|
| ანკონა-ვიჩენცა | 2:0 |
| მანტოვა-ჩეზენა | 0:1 |
| მოდენა-კროტონე | 0:2 |
| პიაჩენცა-ტორინო | 0:0 |
| ტრიესტინა-ასკოლი | 2:0 |
| ჩიტადელ-გალიპოლი | 1:2 |
| ლეჩე-პადოვა | 2:1 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კორდობა-სალამანკა | 2:0 |
| ჰერკულესი-ნუმანსია | 1:0 |
| კარტაგენა-ტარაგონა | 0:2 |
| ბეტისი-სელტა | 1:1 |

**პორტუგალია. ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| ოლჰანენსე-ფერეირა | 0:1 |
| სეტუბალი-გიმარაეში | 1:2 |

### პლაჟის ფეხბურთი

**მსოფლიოს ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ურუგვაი-სოლომონის კუნძ. | 6:7 |
| შვეიცარია-ბახრეინი | 6:5 |
| იტალია-არგენტინა | 3:2(დდ) |
| კოტ დივუარი-სალვადორი | 7:6 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ფეტროიტი-დალასი | 90:95 |
| ოკლაჰომა-კლიპერსი | 93:101 |
| ფინიქსი-ტორონტო | 101:100 |
| ლეიკერსი-ჰიუსტონი | 91:101 |

### ფრენბურთი

**ჩემპიონთა თასი. ქალები**

| | |
|---|---|
| ბრაზილია-ტაილანდი | 3:0 |
| დომ.რესპუბლიკა-ს.კორეა | 3:0 |
| იტალია-იაპონია | 3:1 |

### ჩოგბურთი

**პარიზი. ატპ. პარი**

**ფინალი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-მონფილსი | 6:2;5:7;7:6 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| კაროლინა-მინესოტა | 4:4(1:0ბ) |
| ატლანტა-ედმონტონი | 3:2 |
| ჩიკაგო-სან ხოსე | 4:3(ოტ) |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი

**17 ნოემბრისთვის**



**წლის 321-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 44 დღე.**

### საეკლესიო კალენდარი

24-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.

წმიდათა და მართალთა იოანე, სტეფანე და ესაია ქართველთა, საკრძალთა თაყვანისცემა. ხსენება ღირსი იოანიკე დიდისა (846); მღვდელმოწამე ნიკანდრესი - მირელი ეპ., და ერმი ხუცისა.

ღირსი იოანიკე დიდი დაიბადა 752 წელს. ის ბავშვობიდანვე ეზიარა ღვთისადმი სიყვარულს. იმ ხანებში იმპერატორ ლევ მეოთხის მრავალრიცხოვანი მსტოვარნი მთელ იმპერიაში აგროვებდნენ საუკეთესო ჭაბუკებს სამხედრო სამსახურისთვის. იმპერატორის ლაშქარში ჭაბუკი იოანიკეც გაიწვიეს, სადაც 6 წელი იმსახურა. როცა ამა ქვეყნისაგან განდგომა დააპირა, განზრახული ჰ ქონდა უდაბნოში განმარტოება, მაგრამ ბერებმა ურჩიეს ჯერ მონასტერში გაეტარებინა ორიოდე წელი. ამის შემდეგ ის უდაბნოში განმარტოვდა, სადაც დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. ღირსმა იოანიკემ 70 წელი დაჰყო მკაცრ მონაზვნურ ღვაწლში. წმიდა იოანიკეს წინასწარ ეუწყა მოახლოებული აღსასრული და მშვიდობით ჩაბარდა უფალს 846 წელს.

მღვდელმოწამენი: ნიკანდრე, ეპისკოპოსი მირონისა და ერმი ხუცი უმთავრეს მოციქულ პავლეს თანამოსაგრის - ტიტეს მოწაფენი იყვნენ. დაუღალავი სამწყემსო საქმიანობით წმიდანებმა - ნიკანდრმა და ერმეოსმა მრავალი წარმართი მოაქციეს ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე. ამისთვის ისინი შეიპყრეს და განსასჯელად ქალაქის თავს ლიბანიოსს მიჰგვარეს. ვერც შეგონებით და ვერც მუქარით ვერ დაითანხმეს ისინი ქრისტესაგან განდგომაზე, რის შემდეგაც სატანჯველს მისცეს: მათ ცხენებს გამობმულთაც დაათრევდნენ, გახურებულ ღუმელშიც ჩააგდეს და რკინის მსხვილი კავებით დაგლიჯეს ხორცი. ბოლოს მტარვალებმა დიდი ლურსმნებით განუმსჭვალეს თავები და გულები, რის შემდეგაც ორმოში ჩამარხეს.

### დაიბადნენ

ჩვ. წ. აღ. 9 — ტიტუს ფლავიუს ვესპასიანე, რომის იმპერატორი. გარდაიცვალა 79 წელს.

1503 — აგნოლო ბრონზინო, იტალიელი ფერმწერი, გარდაიცვალა 1572 წელს.

1755 — ლუი XVIII, საფრანგეთის მეფე. გარდაიცვალა 1824 წელს.

1891 — გალაკტიონ ტაბიძე, მეოცე საუკუნის უდიდესი პოეტი. გარდაიცვალა 1959 წელს.

1916 — ავგუსტ ვილჰელმ ამბროსი, ავსტრიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1876 წელს.

1926 — კოტე მახარაძე, მსახიობი, გარდაიცვალა 2003 წელს.

### გარდაიცვალნენ

375 — ვალენტინ I, რომის პაპი.

1497 — ჯიოვანი მირანდოლა დელა პიკო, იტალიელი ფილოსოფოსი.

1558 — მარია I ტიუდორი, ინგლისის დედოფალი.

1917 — ოგიუსტ როდენი, ფრანგი მოქანდაკე, გრაფიკოსი.

### მოვლენები

1558 — ინგლისის კათოლიკე დედოფლის მარია ტიუდორის დასჯის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი პროტესტანტი და - ელიზაბეტ I, მეფე ჰენრიხ VIII-სა და ანა ბოლეინის ქალიშვილი.

1800 — აშშ-ს კონგრესი პირველად შეიკრიბა ვაშინგტონში.

1855 — აფრიკის შოტლანდიელმა მკვლევარმა დევიდ ლივინგსტონმა ევროპელთაგან პირველმა დაინახა ჩანჩქერი მდინარე ზამბეზიზე, რომლის სიმაღლე 120 მეტრია. მან ჩანჩქერს დედოფალ ვიქტორიას სახელი უწოდა.

1869 — გაიხსნა სუეცის არხი.

1913 — პანამის არხში პირველი გემი გავიდა.

1966 — დაფიქსირდა ყველაზე დიდი მეტეორული წვიმა.

1988 — ბენაზირ ბჰუტო პაკისტანის პრემიერ-მინისტრი გახდა.

1989 — პოლიციამ პრაღაში მშვიდობიანი დემონსტრაცია დაშალა. დაიწყო „ხავერდოვანი გადატრიალება".

### ღირსახსოვარი დღეები

სტუდენტთა საერთაშორისო დღე.

ზაირი — არმიის დღე.

აზერბაიჯანი — ეროვნული აღორძინების დღე.

**მედიანიუსი**

# ერთადერთი ადამიანი, ვისაც ბრილიანტი შეიძლება ვაჩუქო, დედაჩემია

მხატვრულ ფილმში, „სისხლიანი ალმასი" ჰოლივუდის ვარსკვლავმა ლეონარდო დიკაპრიომ სამხრეთაფრიკელი კონტრაბანდისტის, დენი არჩერის როლი ითამაშა. მისი პარტნიორი იყო მსახიობი ჯიმონ ჰუნსუ, რომელმაც ფილმში აფრიკელი მეთევზის როლი შეასრულა. მოქმედება ალმასებით მდიდარ სიერა ლეონეში მიმდინარეობს, სადაც ეს ძვირფასი ქვები 1990-იან წლებში სამოქალაქო ომის მიზეზად იქცნენ. ფილმის გმირები ერთად ეძებენ ვარდისფერ ალმასს, ოღონდ ერთს მხოლოდ გამორჩენა ამოძრავებს, მეორეს კი შვილის გადარჩენა სურს. ორივე მსახიობი ამ ფილმისათვის ოსკარზე წარადგინეს. დიკაპრიო ინტერვიუში, რომელიც მას პრემიერის შემდეგ ჩამოართვეს, ფილმის შესახებ საუბრობს.

***— მოზარდების კერპი ადრეულ ასაკში გახდით, არა?***

— ტელევიზიით მაჩვენებდნენ, ჩემს ფოტოებს მოზარდთა ჟურნალების გარეკანზე ბეჭდავდნენ, თუმცა, ეს ალიაქოთი არ მაინტერესებდა.

***— ამბობენ, რომ ოდესღაც ტელეშოუ „რომპერ რუმის" გადასაღები მოედნიდან გაგაძევეს.***

— მაშინ სამი წლისა ვიყავი, კამერასთან მივირბინე, ჯანჯღარი დავუწყე და ვიმეორებდი, „შემომხედე, მე შემომხედე".

***— თქვენი პირველი სამსახიობო ნამუშევარი.***

— 12 წლის ასაკში ავტომობილ „მათჩბოქსის" ტელერეკლამაში გადამიღეს.

***— იქონია თუ არა რომელიმე ფილმმა მსახიობად გახდომის სურვილზე ზეგავლენა?***

— შვიდი წლის რომ ვიყავი, აგენტს ვეძებდი. მაგრამ პროფესიონალურ მსახიობად გახდომა 16 წლის ასაკში, ფილმის „ამ ბიჭის ცხოვრება" შემდეგ გადავწყვიტე, გარდა ამისა, ფილმში „სამოთხიდან აღმოსავლეთით" ჯეიმს დინის თამაშის ნახვის შემდეგ. მახსოვს საკუთარ თავს ვუთხარი, „არ მეგონა, ასე კარგად თამაში თუ შეიძლებოდა". ძალიან მომინდა რაიმე ძალიან მნიშვნელოვანი როლის შესრულება.

***— შემდეგ გადაგიღეს ფილმში „ტიტანიკი".***

— ამ ფილმის შემდეგ ჰოლივუდის კიდევ ერთ „სიმპათიურ ხორცის ნაჭრად" მიმიჩნევდნენ. ძალიან დამწყდა გული, გარკვეული დრო გადაღებებზე უარი ვთქვი, მაგრამ „ტიტანიკმა" დიდი შესაძლებლობები გამიხსნა და



პირველად ჩემს ცხოვრებაში კარიერაზე პასუხისმგებლობა ვიგრძენი.

***— ადარებთ თუ არა თქვენს ამჟამინდელ სამსახიობო დონეს „ტიტანიკის" დროინდელ ოსტატობას***

— მახსოვს, 14-15 წლის ასაკში 160-მდე კინოსინჯებზე ვიყავი და ერთი როლიც ვერ მივიღე. რატომ მოხდა ასე? იმიტომ, რომ ჰოლივუდის სხვა ბავშვ მსახიობებს ვგავდი, რომლებიც ქასთინგის დირექტორების გულის მოგებას ცდილობენ — „გამარჯობა, მე ლეო ვარ, ახლა თქვენთვის ჩემს როლს შევასრულებ, დიახ, გმადლობთ, სკოლაში შესანიშნავი დღე გავატარე, ძალიან მიყვარს ჩემი სკოლა". შემდეგ შევწყვიტე ვინმეს გულის მოგებაზე ფიქრი, ახლა, ბავშვები რომ მეკითხებიან, მსახიობი როგორ უნდა გავხდეთო, ვპასუხობ, „ისწავლეთ როლი, იმუშავეთ მასზე, დაწყებულს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ", თუმცა, სინამდვილეში უნდა ვუთხრა, „მთავარია, ნუ იფიქრებთ იმაზე, თუ რას ფიქრობენ თქვენზე სხვები".

***— თქვენ ტიტულოვანი მსახიობი ხართ, მუშაობა არ მოგბეზრდათ?***

— არა, მიყვარს კინო.

***— „სისხლიანი ალმასის" სცენარმა ამიტომ მიგიზიდათ?***

— სცენარის ხარისხისაგან დამოუკიდებლად ეს ისტორია მომეწონა. პირადად მე პოლიტიკურ ან სოციალ-ეკონომიკური ხასიათის ფილმებზე არ დავდივარ. კინო უპირველეს ყოვლისა გასართობი უნდა იყოს, მაშინაც კი, თუკი საზოგადოებრივი მნიშვნელობის სათქმელი აქვს მაყურებლისათვის. მაგრამ ვიგრძენი, რომ ამ ისტორიას დიდი პოტენციალი ჰქონდა იმისათვის, რომ ჭკუის სწავლების გარეშე გაერთო მაყურებელი. დენი არჩერს ძლიერი ხასიათი აქვს, თუმცა მორალურად წესრიგში არ არის. ნაკლებად წარმატებული ადამიანების ექსპლოატაცია, გარშემო მყოფნი არ ადარდებს. აფრიკაში ეთნიკური კონფლიქტების და ომების ფინანსირებისათვის აქტიურად იყენებენ „უკანონო ალმასებს". საზოგადოება ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რომ „შავი" ბაზრის ალმასები გარდა „უკანონოსი", „კონფლიქტურიც" არის.

***— სამხრეთაფრიკული აქცენტის მიღწევა ძნელი იყო?***

— ადგილობრივ მოსახლეობასთან დიდი დრო გავატარე, მათთან ერთად ლუდს ვსვამდი და მათ საუბარს ვუსმენდი. გადაღებების დროს აქცენტის კარგი მასწავლებელი გვერდიდან არ მშორდებოდა.

***— როლისათვის მოსამზადებლად კიდევ რა დაგჭირდათ?***

— ვსაწვლობდი აფრიკულ ჯუნგლებში გზის გაკაფვას, ნადირობას. ადგილობრივმა სამხედროებმა, რომლებსაც ჯუნგლებში თვეობით ცხოვრება შეუძლიათ, იმდენი რამ მასწავლეს, რომ ასობით წიგნშიც ვერ ამოიკითხავ. დასვენების დღეებში საფარიზე მივდიოდით, რათა გვენახა ყველაზე საოცარი, რაც აფრიკაში არსებობს — მისი ბუნება პირდაპირ გამაოგნებელია.

***— რა იყო თქვენთვის ყველაზე ჭკუის სასწავლებელი ამ თავგადასავალში?***

— ახლა მოზამბიკი ეკონომიკური აღმავლობის გზაზეა, მაგრამ სტატისტიკის თანახმად, ყოველი მეოთხე ადამიანი შიდსით არის ავად ან ვირუსის მატარებელია. მიუხედავად ამისა, ადამიანები ქუჩებში ცეკვავენ, საოცარ ენერგიას ასხივებენ და ყოველი დღე უხარიათ. ამიტომ, შინ რომ დავბრუნდი, ნაცნობების წუწუნის მოსმენა აღარ მინდოდა. ამერიკელების ყოველდღიური პრობლემების შედარებაც არ შეიძლება იმასთან, რაც ნახევარი წლის განმავლობაში აფრიკაში ვნახე. ამიტომ არ მომერიდა და ჩემს თანამემამულეებს ვუთხარი, „წუწუნს რომ მორჩეთ, აფრიკაში ერთხელ მაინც უნდა ჩახვიდეთ-მეთქი".

***— გადაღებებმა პრობლემების გარეშე ჩაიარა?***

— მუხლი დავიშავე, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა.

***— ამ ფილმამდე ალმასების ინდუსტრია თუ გაინტერესებდათ?***

— ვფიქრობ, ისევე როგორც სხვებმა, რაღაც ვიცოდი, ოღონდ ბუნდოვნად.

***— მოჰყვა თუ არა ამ ფილმს რაიმე რეაქცია ალმასების ინდუსტრიის ბოსების მხრიდან?***

— ასეთ რეაქციას არ ველოდები.

***— როდის იყიდეთ უკანასკნელად ბრილიანტი?***

— არ მახსოვს. ერთადერთი ადამიანი, ვისაც შეიძლება ბრილიანტი ვაჩუქო, დედაჩემია. მაგრამ ბოლო დროს მათ ტარებაზე უარს ამბობს. არა, ბრილიანტების ყიდვა ცუდ ტონად არ მიაჩნია. უბრალოდ, მაღაზიაში ბრილიანტის საყიდლად რომ შედიხართ, სერთიფიკატი მოითხოვეთ, რათა დარწმუნდეთ, რომ ნამდვილია. რომ იგი კონფლიქტური არ არის, ისეთი, რომლის გულისთვისაც სისხლი იღვრება.

***— მსახიობი რომ არ გამოსულიყავით, ვინ იქნებოდით?***

— ბიოლოგი გავხდებოდი, გარემოს დაცვაზე ვიმუშავებდი. ყოველთვის მიტაცებდა ეს საქმე.

„სისხლიანი ალმასის" ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ ჰოლივუდში ბრილიანტები მოდიდან გადავიდა. ბრჭყვიალა სამშვენისების სიყვარულის გამო პირველს ჯენიფეერ ლოპესს მოხვდა, რომელსაც მანამდე ძვირფასი ქურქებისათვის თათხავდნენ. შემდეგ ბეიონს ნოულზის რიგი დადგა.

პაპარაციების ობიექტივში მოხვედრილი ლეონარდო დიკაპრიოს გვერდით ყოველთვის ქალია ხოლმე, დედა, ბებია ან ბარ რაფაელი, მისი მეგობარი მოდელი, ბარ რაფაელი. რაფაელი ლას ვეგასში საერთო ნაცნობმა გააცნო. „ალმასის" გადაღებების დროს რამდენიმე კვირა აფრიკაში, ვილაში ერთად გაატარეს.

დიკაპრიო ჯერჯერობით ცოლის მოყვანას არ აპირებს, თუმცა, ერთხელ ბრედ პიტთან და „შოტლანდიის უკანასკნელ მეფე" ფორესტ უითაკერთან ერთად ბარში რომ მოხვდა, სადაც მისი თანამეინახენი დიდი გატაცებით საუბრობდნენ შვილების შესახებ, ლეომ საკუთარ თავს სთხოვა, „მეც ხომ არ ვიყოლიო შვილებიო".

# ვენეციელებმა თავიანთი ქალაქი დაკრძალეს

იტალიის ქალაქ ვენეციის მოქალაქეების ერთმა ნაწილმა შაბათს თეატრალიზებულ სამგლოვიარო პროცესიაში მიიღო მონაწილეობა — მათ საკუთარი ქალაქი „დაკრძალეს" და ამგვარად მოსახლეობის რიცხვის შემცირებისადმი საზოგადოების ყურადღების მიპყრობა სცადეს. ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ ბოლო 50 წლის განმავლობაში ვენეციის მოსახლეობა 60 ათასი ადამიანით შემცირდა და კვლავაც მცირდება, რამაც ბოლოს და ბოლოს ქალაქის დაღუპვა შეიძლება გამოიწვიოს.

იმავდროულად, ვენეციის მერმა მასიმო კაჩარიმ ქალაქის „დაკრძალვას" სრული სისულელე უწოდა. ქალაქის ხელისუფლების ვარაუდით, ვენეცია მხოლოდ ტურისტებით სავსე „აჩრდილი" სულაც არ არის. ცერემონიალის დროს რამდენიმე გონდოლასაგან შემდგარმა კორტეჟმა, რომელთაგან ერთ-ერთზე მეწამული ქსოვილით შებურვილი ცარიელი კუბო ესვენა, „მიცვალებული" უკანასკნელ გზაზე გააცილა. სამგლოვიარო პროცესია მერიის შენობასთან დასრულდა. იმავდროულად, აქციის დროს ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა მონაწილეებს დნმ-ს ნიმუშები აუღო. ვუსტერის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო პროექტს იტალიაში ვენეციელების განსახლების შესწავლა სურს.

1950-იანი წლებიდან ვენეციის მოსახლეობა ორი მესამედით შემცირდა. ვენეციელები მშობლიურ ქალაქს იმიტომ არ ტოვებენ, რომ ქალაქი ნელნელა წყალში იძირება. მათი გადასახლების მიზეზი ტურისტების მოძალებაა.

ყოველდღიურად წყალზე გაშენებულ ცნობილ ქალაქში 55 ათასამდე ტურისტი ცხოვრობს. ამდენი სტუმრის წყალობით ძალიან გაძვირდა ბინები, აგრეთვე კვების პროდუქტები. ამის გამო მრავალი ვენეციელი საცხოვრებლად უფრო იაფი ქალაქებისაკენ გაეშურა. იმავდროულად, რესტორნებისა და სასტუმროების მფლობელებისათვის მასობრივი ტურიზმი ხელსაყრელია.

მეცნიერების შეფასებების თანახმად, ვენეციის მოსახლეობის ისეთივე სწრაფი ტემპებით შემცირების შემთხვევაში უკანასკნელი ვენეციელი 2030 წელს შეიძლება აღესრულოს.

ვენეციის „დაკრძალვის" ერთ-ერთი ორგანიზატორის, მათეო სეჩის თქმით, ორი წლის წინ ვენეციელებმა გადაწყვიტეს, რომ იმ შეთხვევაში, თუკი ვენეციის მოსახლეობის რიცხვი 60 ათასს ჩასცდებოდა, ვენეციას „დაკრძალავდნენ", რადგან მათი აზრით, ქალაქი, სადაც 60 ათასზე ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ქალაქი კი არა, უკვე სოფელია. მათგან განსხვავებით, ვენეციის ხელისუფლები მსგავს განცხადებას ნაადრევად მიიჩნევენ. მათი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის ცენტრში მოსახლეობა მართლაც შემცირდა, ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ვენეციაში ჯერჯერობით 60025 ადამიანი ცხოვრობს.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების თქმით, ღონისძიების ორგანიზატორებს არ გაუთვალისწინებიათ ქალაქის ფარგლებში მყოფი კუნძულების, მურანოსა და ლიდოს მოსახლეობა, რაც 120 ათასს აღწევს.

იმავდროულად, ხელისუფლები აღნიშნავენ, რომ ძირძველი ვენეციელების შესანარჩუნებლად ქალაქის ხელისუფლებს მეტი ძალისხმევა მართებთ.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1. წმინდანად შერაცხული ქართველი მეფე; 2. ვეგეტატიური, უსქესო გამრავლების გზით წარმოშობილი შთამომავლობა; 3. ბროშში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 4. პერუში მცხოვრები უძველესი ცივილიზაციის მქონე ინდიელთა ტომი; 5. მინდვრის ყვავილი; 6. მე-19 საუკუნის ინგლისელი მწერალი; 11. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 13. მაღალხარისხოვანი შალის საკოსტუმე ქსოვილი; 14. დანიელი მეზღაპრე; 15. მოკლე დისტანციებზე მორბენალი მძლეოსანი; 17. ბოშათა წინამძღოლი; 18. ამერიკის სტეპებში გავრცელებული მგელი; 19. ფულის ერთეული ალბანეთში.

**თარაზულად:** 7. ამერიკული სიგარეტი; 8. ფოტოხელოვნების ფუძემდებელი საქართველოში; 9. სამურაების მეთაური; 10. იოლი, შემოსავლიანი თანამდებობა; 12. შვეიცარიაში გამოყვანილი, სამაშველო სამუშაოებისთვის განკუთვნილი დიდი ტანის ძაღლი; 14. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 16. ამირანის პროტოტიპი აფხაზურ ფოლკლორში; 18. ქვეყნის ყველა მდინარის რესურსების სისტემატური კრებული; 20. ვაშლის ღვინო; 21. აფრიკული ანტილოპა; 22. მოკლებეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 23. აზრი, ჩანაფიქრი; 24. პოპულარული კაფე-რესტორანი ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი.

**შეადგინა თ. გოგინაშვილმა**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. პიონერი; 4. ტაქსა; 8. ბალბა; 9. ვილა; 10. ომლეტი; 12. ინტერნი; 14. რემა; 15. მიგრანტი; 16. კროსი; 18. კრემი; 21. ცაცია; 22. სარდინი; 23. გარსონი.

**შვეულად:** 1. პითონი; 2. ოვალი; 3. რაბი; 5. სავანა; 6. სკამი; 7. ელინები; 11. ტრომბი; 13. ტრიკონი; 14. რიონი; 15. მეტეორი; 16. კულექსი; 17. საცერი; 19. იმაგო; 20. მადა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. ივნისი; 2. „ქართუ"; 3. სი; 4. ია; 5. საია; 6. რეტი; 7. კუ; 8. ტიბალდი; 9. რური; 10. ანატომია; 11. ხბო; 12. იარუსი; 13. პაროლი; 14. პინია; 15. აპართეიდი; 16. ნახირი; 17. ბასრი; 18. ბუერა; 19. ლონდრე; 20. პოლკოვნიკი; 21. სადმელი; 22. აფრა; 23. ივრითი; 24. არმაღანი; 25. ლილვი; 26. ნეო; 27. კონსომე; 28. კარადა; 29. ორ; 30. სალათა; 31. მალარმე; 32. ოი.

**სურათებზე:** კატრინ დენევი; ლიონელ მესი.

# პალესტინელები გაეროს დამოუკიდებლობის აღიარების თხოვნით მიმართავენ

პალესტინის ხელისუფლების მიერ ავტონომიის დამოუკიდებლობის საერთაშორისო ინსტანციებში აღიარების გეგმებზე ისრაელმა მკვეთრი რეაგირება მოახდინა.

ოფიციალურმა იერუსალიმმა გამოაცხადა, რომ პალესტინის სახელმწიფოს შექმნის საკითხი მხოლოდ მოლაპარაკებების გზით შეიძლება გადაწყდეს.

ისარელის პრემიერ-მინისტრის, ბენიამინ ნეთანიაჰუს თქმით, მსგავსმა ცალმხრივმა ნაბიჯებმა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის დამყარების მიმართულებით ბოლო დროს მიღწეული შეთანხმებები შეიძლება გააქარწყლოს.

პალსტინელი ხელისუფლები, თავის მხრივ აცხადებენ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში პალესტინის ავტონომიის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნობის თხოვნის წარდგენა მათ სწორედ სამშვიდობო მოლაპარაკებების განახლებაში პროგრესის არარსებობამ აიძულა.



პალესტინის წარმომადგენლები გარდა ამისა, აღნიშნავენ, რომ ისრაელი მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირზე ებრაული დასახლებების მშენებლობას აგრძელებს და იმედგაცრუებას გამოხატავენ იმის გამო, რომ აშშ ამ მშენებლობის აღკვეთას ვერ ახერხებს.

პალესტინის წარმომადგენელმა მოლაპარაკებებზე საებ ერაქათმა განაცხადა, რომ ისრაელის მოქმედება, რომელიც 1967 წელს ოკუპირებული მიწების ათვისებას აგრძელებს, პალესტინის ავტონომიის წარმომადგენლებს სხვა არჩევანს არ უტოვებს.

ტერიტორია, სადაც პალესტინელებს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა სურთ, მოიცავს ღაზას სექტორს, მდინარე იორდანეს დასავლეთ ნაპირს და აღმოსავლეთ იერუსალიმს.

საებ ერაქათის თქმით, რიგი არაბული ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებს გადაწყვეტილი აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს შესაბამისი თხოვნით მიმართონ. ეს გადაწყვეტილება არაბული ქვეყნების წარმომადგენელთა ამასწინანდელ სამიტზე კაიროში მიიღეს.

პალესტინელი პოლიტიკოსის თქმით, პალესტინელები ორი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შესახებ უკვე 18 წელია ლაპარაკობენ.

უშიშროების საბჭოში თხოვნის წარდგენამდე პალესტინის ხელისუფლებს გადაწყვეტილი აქვთ კონსულტაციების ჩატარება რუსეთის, ევროკავშირისა და საერთაშორისო ასპარეზის სხვა მნიშვნელოვან წარმომადგენლებთან.

ერაქათმა განაცხადა, რომ პალესტინელები არსად არ ჩქარობენ და მათ საკმარისი დრო აქვთ იმისათვის, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობას თავიანთი პოზიცია გააცნონ.

პალესტინელთა გეგმების პასუხად, ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ მსგავსი პროცესი მხოლოდ ისრაელსა და პალესტინის ავტონომიას შორის მოლაპარაკებების გზით შეიძლება გადაწყდეს.

ნეთანიაჰუს თქმით, ნებისმიერ ცალმხრივ ნაბიჯს ისრაელის მხრიდან ასევე ცალმხრივი ნაბიჯები შეიძლება მოჰყვეს.

# კოსოვოში ადგილობრივი არჩევნები ჩატარდა

კოსოვოში, სერბიის ყოფილ პროვინციაში, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების არჩევნებში, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ პირველად გაიმართა, მონაწილეობა მოსახლეობის 45%-მა მიიღო.



კოსოვის ხელისუფლები აცხადებდნენ, რომ პატიოსანი და სამართლიანი არჩევნების გამართვა სურდათ, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ როგორც ალბანელები, ასევე სერბული უმცირესობის წარმომადგენლებიც, რომლებსაც, ოფიციალურმა ბელგრადმა, რომელიც კოსოვოს დამოუკიდებლობას არ აღიარებს, არჩევნების იგნორირებისაკენ მოუწოდებდა.

დღეისათვის გაეროს წევრი 192 სახელმწიფოდან კოსოვოს დამოუკიდებლობა 63-მა სახელმწიფომ აღიარა. დღემდე აქ ნატოს წევრი ქვეყნების ათასამდე მშვიდობისმყოფელია განთავსებული.

კვირას გამართული არჩევნების დროს უსაფრთხოების ზომები ყველგან გამკაცრდა, განსაკუთრებით იქ, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ სერბები. საარჩევნო უბნები საღამოს 19 საათისთვის დაიხურა, შედეგებს ორშაბათისთვის ელოდებოდნენ.

კოსოვოს პრემიერ-მინისტრმა ჰაშიმ ტაციმ არჩევნებს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდგომი პერიოდის უმნიშვნელოვანესი მოვლენა უწოდა.

სერბიის ხელისუფლებმა კოსოვოელ სერბებს მოუწოდეს, არჩევნებში მონაწილეობა არ მიეღოთ და ამით კოსოვოს დამოუკიდებლობისათვის ლეგიტიმურობა არ მიენიჭებინათ.

მიმომხილველების თქმით, სერბების უმეტესობა ამ პოზიციას იზიარებს, თუმცა კოსოვოელი სერბი პოლიტიკოსების ერთ ნაწილს უფრო მართებულად ბელგრადის მოწოდებების იგნორირება მიაჩნია.

სერბული წინააღმდეგობის მოძრაობის, მომჩილო ტრაიკოვიჩის თქმით, რომელიც პრიშტინას მახლობლად მდებარე გრაჩანიცას ანკლავის მერის პოსტის დაკავებას ცდილობდა, კვირას გამართული არჩევნები კოსოვოელი სერბებისათვის გზაჯვარედინად იქცა.

მისი თქმით, სერბებს არჩევნებში მონაწილეობა ორიდან უმცირეს ბოროტებად მიაჩნიათ და შესაძლოა, მცირე ბოროტება რაიმე უკეთესში გადაიზარდოს.

იმავდროულად, არჩევნების ბოიკოტის მოწოდებები ბარიკადების მეორე მხარესაც გაისმოდა. ერთ-ერთმა ოპოზიციურმა ალბანურმა დაჯგუფებამ გამოაცხადა, რომ არჩევნებში მონაწილეობა არ შეიძლება, რადგან იგი ძალიან დიდ ძალაუფლებას ანიჭებს მუნიციპალიტეტებს, რომლებიც ნაწილობრივ სერბების ხელში შეიძლება აღმოჩნდნენ.

კოსოვოს სისხლისმღვრელი ომის დამთავრებიდან 10 წლის შემდეგაც კი კოსოვოში ერთიანობის ნიშნები არ შეიმჩნევა. მიმომხილველების თქმით, იმ შემთხვევაშიც, თუკი ეს არჩევნები მართლაც სამართლიანად გაიმართა, შესაძლოა, მან ხელი შეუწყოს იმას, რომ დროთა განმავლობაში კოსოვოს დამოუკიდებლობა უფრო მეტმა სახელმწიფომ აღიაროს.

# იტალია ევროკავშირს საერთო არმიის შექმნას შესთავაზებს

იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ფრანკო ფრატინის თქმით, იტალიამ ევროპის თანასაზოგადოებისათვის საერთო არმიის შექმნის შეთავაზება გადაწყვიტა.

ბრიტანული „თაიმსისათვის“ მიცემულ ინტერვიუში იტალიელმა მინისტრმა განაცხადა, რომ ამ წინადადებას იტალია 19 ნოემბერს ევროკავშირის სამიტზე გაიტანს.

ფრატინის თქმით, ლისაბონის შეთანხმების თანახმად, რომელიც ძალაში 1 დეკემბრიდან შედის, იმ შემთხვევაში, თუკი ევროპის ქვეყნები სამხედრო კავშირის შექმნას მოისურვებენ, ამის სრული უფლება აქვთ.

მინისტრის თქმით, სტრატეგიული მნიშვნელობის ასეთი გაერთიანება ერთხელ უკვე დაფიქსირდა, ევროკავშირის ფარგლებში უვიზო მიმოსვლის შესახებ შენგენის შეთანხმების დადების დროს.

გარდა ამისა, ერთიანი ვალუტის შემოღების დროს.

ამჯერად იტალია ევროპის სახელმწიფოებს იგივე პრინციპის საერთო ევროპულ თავდაცვით პოლიტიკაზე გავრცელებას სთავაზობს.

ევროკავშირის არაფორმალურ სამიტზე, რომელიც 19 ნოემბრისათვის არის დანიშნული, ევროკავშირის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა მინისტრი უნდა აირჩიონ.

ევროკავშირის მიმდინარე თავმჯდომარემ, შვედეთის პრემიერ-მინისტრმა საგანგებო სამიტის გამართვა სხვა ქვეყნების ლიდერებთან წინასწარი კონსულტაციების რაუნდის შემდეგ მიიღო.

ფრანკო ფრატინის აზრით, იმ შემთხვევაში, თუკი ევროპის სახელმწიფოები ერთიან პოლიტიკას არ გაატარებენ, არსებობს რისკი იმისა, რომ ევროპის აზრს საერთაშორისო არენაზე აღარ გაითვალისწინებენ.

აშშ-ისა და ჩინეთის „დიდ ორიანში“ გაერთიანების და ამგვარად „წყნარი ოკეანის ღერძის“ შექმნის შემთხვევაში, ატლანტიკური ალიანსი შეიძლება გვერდზე დარჩეს.



იმავდროულად, ევროპის ქვეყნები პოლიტიკოსებისაგან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს ევროპაში დომინირებასთან დაკავშირებითაც მოელიან და იმედგაცრუებული დარჩებიან, თუკი პოლიტიკოსები ამ მიმართულებით არაფერს გააკეთებენ. ფრანკო ფრატინის თქმით, ერთიანი არმიის არსებობა ავღანეთში ამჟამად არსებული ვითარების გათვალისწინებითაც იქნებოდა სასარგებლო.

იტალიელი მინისტრის თქმით, ამჟამად თითოეული ქვეყანა ვალდებულია სამხედრო რესურსების დუბლირება მოახდინოს.

იმავდროულად, ევროპის არმიის შექმნის შემთხვევაში იტალია ავღანეთში თვითმფრინავების, საფრანგეთი ჯარისკაცების, დიდი ბრიტანეთი ჯავშანტექნიკის გაგზავნას შეძლებდა.

ამჟამად ევროპაში ევროკავშირის სამხედრო კომიტეტი მოქმედებს, რომელიც ევროპის ქვეყნების საერთო უსაფრთხოებაზე ზრუნავს. მასში ევროპის 27 ქვეყნის თავდაცვის მინისტრები არიან გაერთიანებული და მათ ბრიუსელში მუდმივი წარმომადგენლები ჰყავთ.

ევროკავშირმა თებერვალში სწრაფი რეაგირების ძალების შექმნის გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ნატოსაგან გამოყოფილი და აშშ-ზე დამოუკიდებელია.

# ულიანოვსკში იარაღის საწყობი აფეთქდა

გავრცელებული ცნობების თანახმად, ულიანოვსკში, არსენალზე მომხდარი აფეთქებების შედეგად არანაკლებ 60 ადამიანი დაშავდა.

საჭურველის ქარხანა „არსენალის“ საწყობში მომხდარი აფეთქება პარასკევს დაიწყო. ხანძარმა ორი სამხედრო მოსამსახურე იმსხვერპლა.



ადგილობრივი ხელისუფლების თქმით, მეზობელი სახლების ეზოებში კვლავაც პოულობენ აუფეთქებელ ჭურვებს და მოსახლეობას კვლავაც საფრთხე ემუქრება.

ულიანოვსკის მერიამ ორშაბათს განაცხადა, რომ სწავლა განაახლა ქარხნის მიმდებარე რაიონის 17-დან 14 სკოლამ. აფეთქების შედეგად მრავალი მათგანი დაზიანდა.

შენობების აღდგენაში სარემონტო ბრიგადებთან ერთად სამხედროებიც მონაწილეობდნენ.

უშუალოდ აფეთქებული საწყობის მახლობლად მდებარე დასახლებაში ხელისუფლებმა გაზით მომარაგების აღდგენის შესახებ გამოაცხადეს.

იმავდროულად, ადგილობრივი მოსახლეობა ხელისუფლების არასაკმარისი თანადგომის გამო ჩივის. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩამსხვრეული ფანჯრების აღდგენა თავად მოუხდათ.

ულიანოვსკში ტემპერატურა ნულზე დაბლა ეშვება და სითბოს შესანარჩუნებლად ადამიანებს ფანჯრების საბნებითა და ბავშვების სათამაშოებით ამოქოლვა უხდებათ.

აფეთქების შემდეგ დასახლებაში ფანჯრის მინები მიიტანეს, მოსახლეობას დაურიგეს, მაგრამ მინები ყველას არ ეყო და მოსახლეობა კვლავაც იყინება.

ხანძარი საწყობში პარასკევს, დღის მეორე ნახევარში დაიწყო, შუაღამისას გავრცელდა ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის შესახებ. მიუხედავად ამისა, შაბათსა და კვირას სამხედრო საჭურველის ხუთი აფეთქება მოხდა, რამაც სამხედრო ნაწილის გარშემო მდებარე შენობებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა.

ექსპერტების შეფასებით, ხანძრის შედეგად იარაღის საწყობში 120 ტონა სამხედრო საჭურველი დაიწვა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, ხანძრის შედეგები ადამიანებისა და ეკოლოგიისათვის სახიფათო არ არის. აღნიშნულ საწარმოში ქიმიურ იარაღს არ ამზადებდნენ.

ადგილობივი ჰიდრომეტეოცენტრის გამოკვლევის თანახმად, ატმოსფეროში შესაძლოა 30 ტონამდე მავნე ნივთიერება მოხვდა, მაგრამ ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო იგი 1.5 კმ-ის სიმაღლეზე ატმოსფეროში გაიფანტა და გარემოს დაბინძურება არ გამოუწვევია.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

## სამგლოვიარო განცხადებები

მურმან ედილაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება

**თორნიკე ჯებაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მანანა ბაკურაძე, ცისანა მესხი, გურამ კობრავა, მერაბ მგალობლიშვილი დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი მეგობარი

**ლამარა თოფურია**

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**



მეუღლე ნონა ჭანტურია, შვილი მარიამ ლონდარიძე, მამა სულიკო, მამიდა ნინა ლონდარიძეები, მამიდაშვილი ნანა თაყნიაშვილი, ცოლისდები ნანი, ნინო, ნაირა ჭანტურიები, ქვისლები გურამ ფიფია, გვანჯი მანია, რევაზ ღვინჯილია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

**ალექსანდრე (საშა) ლონდარიძე**

პანაშვიდი: 17, 18 ნოემბერს, 16 საათზე.
დაკრძალვა: 19 ნოემბერს, 14 საათზე.
მისამართი: ბუდაპეშტის ქუჩა 8.

გამომცემლობები „ინტელექტი“ და „არტანუჯი“ სამძიმარს უცხადებენ მაყვალა ხატიაშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

დაკრძალვა: 17 ნოემბერს, 14 საათზე სიღნაღში.

## TV პროგრამა

**სამშაბათი 17 ნოემბერი**

**08.00** ან. სერ. "პიტი და კენტროფი" **08.30** სერ. "**ფილიპის ფილოსოფია**" **09.00** დოკ. ფილმი "მსოფლიო ქალაქები" **10.00, 12.00, 16.00, 20.00** მოამბე **10.10** მხ. ფილმი "**ჩამოსხმულია შატოში**" **12.30** სერ."**ელიზას ქალიშვილი**" **13.30** დოკ. ფილმი "აფრიკა, ჯადოსნური კონტინენტი" **14.00** მეხსიერება **15.00** სერ. "**პირისპირ**" **17.00** ევროვიზია ჯუნიორი **2009** – დღიური **17.30** ან. სერ. "ადამიანიობობა" **18.00** დოკ. ფილმი "ოკეანის ფსკერი" **19.05** "მეხსიერება" **20.45** "ნანინა" **21.00** სერ. "**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** დიალოგი **23.00** სერ. "**სულებთან მოჩურჩულე**" (12) **00.00** მხ. ფ. "**სასაზღვრო ქალაქი**" (18) (ჯ. ლოპესი) **02.05** მოამბე

**11.00** პარლამენტი **19.00** ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" **19.25** ნანინა **19.40** სერ. "ფილიპის ფილოსოფია" **20.30** დოკ. ფილმი "ფვთაებრივი მიქელანჯელო" **21.05** სერ."**ელიზას ქალიშვილი**" **22.00** სერ. "**პირისპირ**" **23.00** მხ. ფილმი "**ცხოვრება პიკასოსთან ერთად**" (12)

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. "**შურისძიების ცეცხლში**" **11.00** კომედი შოუ **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერ. "**გზა დიდებისკენ**" **13.30** ბიზნეს-კურიერი **14.00** სერ. "**უფრთხილდი ანგელოზს**" **15.25** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **15.50** სერ. "**გულის ძახილი**" **16.50** სერ. "**დონ ხუანი და ლამაზმანი**" **18.30** სერ. "**ჩვენი ოფისი**" **19.00** სერ. "**ჭამი ყვავილობისა**" **19.50** სერ."**ანხელის საიდუმლო**" **22.00** ვა-ბანკი **23.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**" **00.00** პატრული **00.20** მხ. ფილმი "**ტყვიაგაუმტარი**" (18) (დ. უეინსი)

**08.00** მულტფილმი "რიპლი" **09.00** სერ. "**მარია ემილია**" **09.50** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **10.50** სერ. "**ტყუპები**" **12.00** სერ. "**სი-ეს-აი**" **12.40** მხ. ფილმი **15.00** სერ."**მარტოხელა მტრედი**" **15.50** მხ. ფილმი **17.00** სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **19.30** სერ. "**ჩემი შეყვარებული**" **20.20** სერ. "**ტყუპები**" **21.10** ძილისპირული **21.30** ვიქტორინა "ქეშ შოუ" **22.35** ეტალონი **23.40** სერ. "**სი-ეს-აი**" **00.30** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **10.00** სერ. "**ორმაგი თამაში**" **11.25, 14.35** ტვ-მარკეტი **11.40** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **12.00** სერ. "**ვინმე**" **13.00** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **15.00** მხ. ფილმი "**დათა თუთაშხია**" მე-**3** ს. **16.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **17.35** დოკ. ფილმი "ყველაზე, ყველაზე, ყველაზე" **18.00** სერ. "**სიყვარულის აჩრდილი**" **19.05** სერ. "**მარადიული გრძნობა**" **21.00** სერ. "**განრისხებული ანგელოზი**" **22.00** სიმართლის დრო **23.00** ქ. სერ. "**კლინიკა**" **00.00** სერ. "**უილ თრეველერის საიდუმლო**" **1**-ლი ს. **01.00** მხ.ფ."**ამანათები წარსულიდან**" (15) (ჟ. ბინოში) **03.05** ქრონიკა **03.20** სერ. "**კლონი**"

**08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **08.15** მულტფილმი **08.50** მხ. ფილმი "**მომხიბვლელობის სკოლა**" **10.30** სერ. **11.45, 21.00** სერ. "**ცხოვრების ქარცეცხლში**" **12.45** მხ. ფ. "**დუელიანტები**" **14.50** პერსონა **15.20** მხ. ფილმი "**მარტივი ისტორია**" **18.00** დოკ. ფილმი **19.00** ნოვოსტი **19.30** სერ. **23.00** მხ. ფილმი "**სერაფინა სანლესიდან**" **01.00** მხ. ფ. "**შეუძცევადობა**"

**ერთსულოვნება** **08.10** დილის პროგრამა "განთიადი" **10.30** სატ. არქივიდან **11.00** ჟურნალისტის დღიური **11.30** ერთსულოვანი ოჯახი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საგალობელი **12.05, 15.05** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**რაჭა ჩემი სიყვარული**" **13.30** კონცერტი **15.10** მულტსერ. "რედვოლი" **15.35** მხ. ფილმი "**ქვიშანი დარჩებიან**" **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** დედა ეკლესია **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.30** დებიუტი **19.15** მხ. ფილმი "**მოხეტიალე რაინდები**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დროის ჩაანწერები **22.00, 00.00** სიახლენი **22.15** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკლემ. ფილმი

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 17 ნოემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6825 | ევრო —2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7536 | რუსული რუბლი — 0,0533 |

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-13, ღამით — 3-7
**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 1§-29, ღამით — §-11,
**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 5-19, ღამით — -6-6,

## ამინდის პროგნოზი 17 ნოემბრისთვის







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

### უებარი წამალი

"სალხინო" აწესრიგებს შარდ-სასქესო ორგანოების მოქმედებას, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, აგვარებს თესლის ნაადრევ გამოყოფას, აღადგენს სექსუალურ სისუსტეს. წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის; კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

პრაქტიკამ დაადასტურა ისიც, რომ "სალხინო" სარძევე ჯირკვლების დაავადებების დროს ხსნის ტკივილებს მკერდის, ბეჭის და იღლიის არეში. მასტოპათიების შემთხვევაში, უნარი აქვს გაიწოვოს სიმსივნური წარმონაქმნები. თუ გამოიყენებთ "სალხინო"-ს მშობიარობის შემდეგ (პროფილაქტიკის მიზნით), აიცილებთ მასტიტს და შეინარჩუნებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით. „სალხინო"-ში შემავალი უნიკალური ნივთიერებების არსებობა და მისი უებარი სამკურნალო თვისებები შემოწმებულია და დამტკიცებულია სხვადასხვა ქვეყნების ათეულობით სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, კლინიკებსა და კათედრებზე. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ახალგაზრდული შვეიცარიაში სახეშეცვლილი ჩავიდა

**ხვალ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩს გამართავს შვეიცარიის ნაკრებთან. ოთარ გაბელიას გუნდი გუშინ, დილით გაემგზავრა ლუგანოში. ირლანდიელებთან მატჩის შემდეგ გაბელიას შემადგენლობაში ცვლილების შეტანა მოუხდა. შვეიცარიელებთან ნაკრებს ვერ დაეხმარება ჯანო ანანიძე, რაც ყველაზე დიდი დანაკლისი იქნება გუნდისთვის. ანანიძემ ირლანდიელებთან მატჩში მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და მატჩს ამის გამო გამოტოვებს. ლევან ყენიას საკითხი მანამდეც გარკვეული იყო — „შალკეს" ნახევარმცველს ტრავმა აწუხებს. თბილისში დარჩნენ გაგრელი ლაშა თოთაძე და ვიტესელი გიორგი ჯანელიძე — მათი შვეიცარიელებთან თამაში საჭიროდ გაბელიამ არ მიიჩნია. ნაკრებში შევსებაც იქნება — ლუგანოში გუნდთან ერთად წავიდა ზესტაფონელი გიორგი ხიდეშელი, რომელმაც ირლანდიასთან მატჩი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა. შვეიცარიაშივე შეუერთდება გუნდს „ლე მანის" მცველი ამირან სანაია.**



— შვეიცარიელების თამაში შესწავლილი გვაქვს. ვნახეთ მათი თამაში სომხეთის ნაკრებთან, შვეიცარიაშივე მოგვაწოდებენ თურქეთი — შვეიცარიის მატჩის ვიდეოჩანაწერს. თუმცა, საქმეს ისიც ართულებს, რომ მათი მწვრთნელი შემადგენლობას ხშირად ცვლის. ბოლო დროს შვეიცარიელები თითქმის ყველა ასაკობრივ ტურნირში წარმატებით თამაშობს, რაც მათ სიძლიერეზე მეტყველებს, ამიტომ ძალიან მძიმე და რთული მატჩი გველის. ძალიან კარგი და ორგანიზებული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. ერთადერთი სუსტი წერტილი, რაც შევნიშნე სომხებთან მატჩში, ეს იყო ტანდაბალი მცველები და

გაგრძელება მე-9 გვერდზე

## ანჯელინა ჯოლის კიდევ ერთი გოგონას შვილად აყვანა სურს



ჰოლივუდის ვარსკვლავი ანჯელინა ჯოლი მიღწეული შედეგით დაკმაყოფილებას არ აპირებს და კიდევ ერთი ბავშვის, რიგით მეშვიდის შვილად აყვანას აპირებს.

როგორც ვარაუდობენ, მსახიობის შვილებს დაიკო ახლო აღმოსავლეთიდან, სავარაუდოდ, სირიიდან შეიძლება შეეძინოთ.

როგორც ჩანს, ბავშვების წარმომავლობის არჩევის საკითხში ანჯელინა ჯოლი გეოგრაფიული პრინციპით ხელმძღვანელობს. აფრიკელი და აზიელი ბავშვები მას უკვე აყვანილი ჰყავს.

უნდა ითქვას, რომ ანჯელინა ჯოლის 45 წლის პარტნიორი ბრედ პიტი ამ პერსპექტივას არ აღუფრთოვანებია.

— მან თქვა, რომ მისთვის ექვსი შვილიც ნამეტანია, — განაცხადა მსახიობის გარემოცვის წარმომადგენელმა რეპორტიორებთან შეხვედრისას, — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ანჯელინა ჯოლის ცისარტყელას ფერების შესაბამისი შვილების ყოლა სურს.

თუმცა ანჯელინა ჯოლის შეჩერება ალბათ შეუძლებელი იქნება. პირველი შვილი, მედოქსი, მან კამბოჯაში იშვილა. მაშინ იგი მსახიობ ბილი ბობ თორნტონის ცოლი იყო და ქმრის აზრს ყურადღება არ მიაქცია.

როგორც ამბობენ, თორნტონთან განქორწინების ერთ-ერთ მიზეზად ეს გარემოებაც იქცა.

როგორც ცნობილი გახდა, ბავშვის შვილად აყვანის გადაწყვეტილება ანჯელინა ჯოლიმ ამჯერადაც ერთპიროვნულად მიიღო. ვაშინგტონის საიმიგრაციო სამსახურში წარდგენილ განცხადებაში მხოლოდ მისი გვარია ჩაწერილი.

მანამდე მედიაში უკვე გავრცელდა ინფორმაცია იმ კონფლიქტების შესახებ, რაც ჯოლისა და პიტს შორის ანჯელინას მიერ თვალში მოსული ყველა ბავშვის შვილად აყვანის სურვილით იყო გამოწვეული.

რეპორტიორებმა უკვე დაბეჭდეს ბრედ პიტის სიტყვები, მან თავისი მეუღლე ზოომაღაზიაში შესულ გულჩვილ ბავშვს შეადარა, რომელსაც ყველა უპატრონო ლეკვი და კნუტი ეცოდება.

გ.თ.

## ასტროპროგნოზი 17 ნოემბრისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

ნუ იქნებით ეჭვიანი.

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, თამამად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — წარმატებული დღეა, თქვენი საქმე კარგად მიდის. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — გზიდან ფულს მიიღებთ, შეიძლება ამანათიც მიიღოთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **სასწორი** — სახლში სიახლეა, დიდი ხნის ოცნება აგისრულდებათ. **მორიელი** — ეს დღე საკუთარ თავს დაუთმეთ, სხვები მოიცდიან. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი სიურპრიზს გიმზადებთ. **მერწყული** — ახალი საქმე საინტერესო აღმოჩნდება, მთავარია მას სერიოზულად მიუდგეთ. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეებს!

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ადამიანის ბიოველი; 2. სახელმწიფო გადატრიალების მომწყობი სამხედროების ჯგუფი; 3. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 4. წნევისა და მექანიკური ძაბვის საზომი საერთაშორისო ერთეული; 5. ქალაქი საფრანგეთში, სადაც განთავსებულია კოსმოსური კვლევის ეროვნული ცენტრი; 6. სასჯელი ქურდობისთვის ძველად საქართველოში; 8. სახელმწიფო ევროპაში; 10. უმოტორო საფრენი აპარატი; 11. ჩინურ-იაპონური დამწერლობის გრაფიკული ნიშანი; 14. ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა; 15. მიქელანჯელოს ქანდაკება; 16. წყლის საქაჩი მოწყობილობა.

**თარაზულად:** 1. იაპონიის იმპერატორი; 4. განაპირა კუთხეების მმართველი ძველად საქართველოში; 7. ესპანეთის ნაკრებისა და „ლივერპულის" ფეხბურთელთა გუნდების მეკარე; 9. ცნობილი პოლონელი კინორეჟისორი; 12. ავსტრალიური ქოჩრიანი თუთიყუში; 13. მოედანი პარიზში, სადაც ტარდებოდა დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა; 14. იტალიელი მოდელიორი; 17. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი; 18. დიდი, მდიდრული ბინა; 19. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 20. ქოთანში მზარდი, მინიატურული ჩინური ხე.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

## იუმორი



***

ორი ტიპი მაღაზიის წინ საუბრობს.

— გინდა, ამ მაღაზიიდან ნებისმიერი ნივთს გამოგიტან.

— კარგი ერთი!

— ოც დოლარზე დავნიძლავდეთ.

— კარგი.

პირველი მაღაზიაში შევიდა, ხუთი წუთის შემდეგ ჩაის სერვიზით გამოვიდა და მეორეს ფული მოსთხოვა.

— რა ფული, პოლიციელი ვარ, განყოფილებაში წამომყევით.

— რა განყოფილება, მაღაზიის პატრონი ვარ....

***

— ადამიანები სანახაობისათვის ფულს თუ იხდიან, საჭმელი ჯერ კიდევ ჰქონიათ...

***

— გავთხოვდები კრიზისის დროს, ცოტას ვლაპარაკობ, გემრიელად ვამზადებ, თავი არ მტკივა...

***

— მგონი, ცოლი ცუდი თვალით მიყურებს.

— საიდან მოიტანე.

— ყოველ დილით ჰალსტუხს სულ უფრო და უფრო მაგრად მიჭერს.

— იქნებ უნებლიედ მოსდის.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ დღეს დილით გასაპნა...

***

ქმარი მივლინებაში მიდის. ცოლი ეკითხება:

— საქორწინო ბეჭედი რატომ არ გიკეთია?

— ამ სიცხეში?

გ.თ.

## ადვილია თუ არა თქვენთან ურთიერთობა?

ტესტი



1. ფული გაგიჩნდათ. შეგიძლიათ ყველაფრის მეგობრებისთვის დახარჯვა?
2. ძმაკაცი თავისი პრობლემების შესახებ გიყვებათ, აგრძნობინებთ, რომ მისი პრობლემები არ გაინტერესებთ?
3. ხშირად თუ ეუბნებით ადამიანებს კომპლიმენტებს, რათა ხასიათი გამოუკეთოთ?
4. თუ თქვენი პარტნიორი ჭადრაკს ან სხვა რომელიმე თამაშს ცუდად თამაშობს, მოგების შესაძლებლობას მისცემთ?
5. გიყვართ ბოროტი ხუმრობა?
6. გულღვარძლიანი ხართ?
7. შეგიძლიათ თუ არა მოთმინებით მოუსმინოთ იმას, რაც არ გაინტერესებთ?
8. ახერხებთ თქვენი შესაძლებლობების რეალიზებას?
9. თუ აგებთ, წყვეტთ თამაშს?
10. უარს თუ ამბობთ ოპონენტის არგუმენტის მოსმენაზე, თუ კამათის დროს საკუთარ სიმართლეში ხართ დარწმუნებული?
11. ხალისით ასრულებთ თხოვნას?
12. შეგიძლიათ თუ არა ვინმეს დასცინოთ, რომ სხვები გაამხიარულოთ?

**პასუხები**

1, 3, 4, 11 შეკითხვებზე დადებითი, ხოლო დანარჩენებზე უარყოფითი პასუხები თითო ქულით შეაფასეთ.

0-4 ქულა: როგორც ჩანს, თქვენთან ურთიერთობა უახლოეს მეგობრებსაც კი უჭირთ. უფრო კეთილგანწყობით მოეკიდეთ ადამიანებს და მეგობრების რიცხვიც გაიზრდება.

5-8 ქულა: კეთილგანწყობას ყველას მიმართ არ იჩენთ. ზოგისთვის შეიძლება ყველაფერი გაიღოთ, სხვებთან კი არც გაიღიმოთ. ეს ცუდი არ არის, მაგრამ ჯობს ყველას ზრდილობიანად მოექცეთ.

9-12 ქულა: თქვენ კეთილი, მოყვარული ადამიანი ხართ. შეგიძლიათ ადამიანებთან ურთიერთობა და ბევრი მეგობარიც გახვევიათ თავს. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ყველასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება შეუძლებელია და არც არის საჭირო.

გ.თ.